

პენიტენციური დაწესებულებებიდან  
მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის  
მომზადების პროცესი, როგორც „გარდამავალი  
მენეჯმენტის“ შემადგენელი ნაწილი

*კვლევის ანგარიში*

2018

წინამდებარე კვლევა ჩატარდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით პროექტის „გაუმჯობესებული შესაძლებლობები: პატიმრების, ყოფილი პატიმრების და პრობაციონერების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისათვის“ ფარგლებში. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციები: საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“, „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ და ჰოლანდიური ორგანიზაცია „მეინლაინ ფაუნდეიშენი“. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია არ გამოხატავს ევროკავშირის წარმომადგენლობის ხედვას.

## წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი შეიქმნა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „გაუმჯობესებული შესაძლებლობები: პატიმრების, ყოფილი პატიმრების და პრობაციონერების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისათვის“ ფარგლებში. პროექტის ძირითადი მიზანია პატიმრების, ყოფილი პატიმრებისა და პრობაციონერების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის შესაძლებლობების გაუმჯობესება. პროექტის განმახორციელებლები არიან საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ და ჰოლანდიური ორგანიზაცია „მეინლაინ ფაუნდეიშენი“. პროექტის ერთ-ერთი მიმართულება მოიცავს პენიტენციურ და პრობაციის დონეზე მიმდინარე ე.წ. „გარდამავალი მენეჯმენტის“ პროცესის შეფასებას, ასევე ამ პროცესში დანაშაულის პრევენციის ცენტრის როლის ანალიზს. „გარდამავალი მენეჯმენტი“ წარმოადგენს პენიტენციური სისტემიდან მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში, უწყებებს შორის თანამშრომლობის პროცესს, რომელიც მოიცავს - მსჯავრდებულთა შეფასებას; მათთვის სპეციალური სერვისების შეთავაზებას; განთავისუფლებისათვის მომზადებას; უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლას და უწყებათაშორისი თანამშრომლობის სხვა კომპონენტებს.

პროექტის ფარგლებში დაიგეგმა კვლევის ჩატარება „გარდამავალ მენეჯმენტში“ ხარვეზების გამოვლენის მიზნით და ამ მიმართულებით სამომავლო ნაბიჯების დასაგეგმად რეკომენდაციების შემუშავება. დოკუმენტში წარმოდგენილია საჯარო ინფორმაციის საფუძველზე განხორციელებული სამაგიდო კვლევის და ხარისხობრივი ფორმატით ჩატარებული ინტერვიუების დამუშავების შედეგები, ძირითადი მიგნებები, დასკვნები და ანალიზის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები. დოკუმენტი შედგება რამდენიმე ურთიერთდამოკიდებული ნაწილისგან:

ა) ზოგადი სიტუაციის აღწერა (სამაგიდო კვლევა) „გარდამავალ მენეჯმენტში“ მსჯავრდებულთა განთავისუფლებისთვის მომზადების პროცესთან დაკავშირებით საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე,

ბ) მსჯავრდებულთა განთავისუფლებისთვის მომზადების პრაქტიკული განხორციელების პროცესის შეფასება ხარისხობრივი კვლევის საფუძველზე

გ) ევროპული ქვეყნების (გერმანია, ჰოლანდია და ლიტვა) გამოცდილების მიმოხილვა მსჯავრდებულთა და პრობაციონერთა რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის პროგრამების განხორციელების თაობაზე.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია რელევანტურია 2017 წლის აგვისტოს მდგომარეობით.

ამ კვლევის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს აქტიური მხარდაჭერის გარეშე, რისთვისაც კვლევის განმახორციელებელი ორგანიზაციები ამ უწყებებს მადლობას უცხადებენ.

მკვლევარები განსაკუთრებულ მადლობას უხდიან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაქვემდებარებულ პენიტენციური დეპარტამენტის და პრობაციის ეროვნული სააგენტოს და იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის თანამშრომლებს კვლევის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

## სარჩევი

<i>წინასიტყვაობა</i>	<i>1</i>
<i>შესავალი</i>	<i>5</i>
<i>სამაგიდო კვლევა - მსჯავრდებულთა პენიტენციური სისტემიდან განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესი, როგორც „გარდამავალი მენეჯმენტის“ ნაწილი</i>	<i>8</i>
კვლევის მეთოდოლოგია	8
სიტუაციური ანალიზი	10
საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო	10
ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩო და პრაქტიკა	12
ძირითადი დასკვნები	33
<i>თვისობრივი კვლევა - მსჯავრდებულთა პენიტენციური სისტემიდან განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესი, როგორც „გარდამავალი მენეჯმენტის“ ნაწილი</i>	<i>36</i>
შესავალი	36
კვლევის მეთოდოლოგია	36
კვლევის შედეგები	39
ინდივიდუალური მიდგომა	40
სერვისები	55
უწყებათაშორისი თანამშრომლობა	72
ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა	81
სამომავლო გეგმები	99
ძირითადი მიგნებები, დასკვნები და რეკომენდაციები	102
ინდივიდუალური მიდგომა	102
სერვისები	106
უწყებათაშორისი თანამშრომლობა	113
ხარისხის კონტროლის სისტემა	117
<i>მიმოხილვა - ციხის სარეაბილიტაციო პროგრამების საუკეთესო პრაქტიკა ნიდერლანდებში, გერმანიასა და ლიტვაში</i>	<i>123</i>
რეზიუმე	124
შესავალი	125
ნიდერლანდები	127

ნიდერლანდების მართლმსაჯულების სისტემის მიმოხილვა და კონტექსტი	127
სასჯელის დანიშვნა ნიდერლანდებში	128
პატიმრები და ნივთიერებათა მოხმარება ნიდერლანდების პენიტენციურ სისტემაში	129
რეინტეგრაციის პროექტების მაგალითები ნიდერლანდებში	130
განმეორებითი დანაშაულის პრევენციის პროგრამა	132
ანგარიშვალდებულებისა და მხარდაჭერის წრეები	134
<b>გერმანია</b>	<b>136</b>
გერმანიის პენიტენციური სისტემის მიმოხილვა და კონტექსტი	136
სასჯელის დანიშვნა გერმანიის ციხეებში	136
პატიმრები და ნივთიერებათა მოხმარება გერმანიის პენიტენციურ სისტემაში	137
რეინტეგრაციის პროექტები გერმანიაში	138
<b>ლიტვა</b>	<b>142</b>
ლიტვის პენიტენციურ სისტემის მიმოხილვა და კონტექსტი	142
სასჯელი ლიტვის ციხეებში	142
პატიმრები და ნივთიერებათა მოხმარება ლიტვის პენიტენციურ სისტემაში	143
ლიტვის სარეაბილიტაციო პროექტების მაგალითები	144
<b>წყაროები</b>	<b>148</b>
<b>დანართები:</b>	<b>153</b>
ეფექტიანი პროგრამის პრინციპების განსაზღვრებები	153
ჩაღრმავებული ინტერვიუსა და ფოკუსირებული დისკუსიის სახელმძღვანელო კითხვარები	154

## შესავალი

2014 წელს საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრომ განაცხადა სასჯელაღსრულების სისტემის ფუნდამენტური რეფორმირების ახალი ტალღის შესახებ. რეფორმის ერთ-ერთი მიმართულება ეხებოდა სოციალური სამსახურის მოდერნიზაციას, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ახალი პროგრამების დანერგვასა და განვითარებას.

სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის განცხადებაში ნათქვამია: „ვიმედოვნებ, ჩვენ მიერ დაწყებული რეფორმა იქნება წარმატებული და ერთხელ და სამუდამოდ აღადგენს ნდობას სისტემისადმი. ჩვენი სურვილია, რომ რეფორმამ უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების უსაფრთხოების სტანდარტის გაუმჯობესება, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია“<sup>1</sup>.

რეფორმის განსახორციელებლად დაიგეგმა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც კანონმდებლობაში 30-მდე ცვლილებას ითვალისწინებდა. ცვლილებებს საფუძვლად დაედო თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკა, ასევე სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები.

ოთხი წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემის საკანონმდებლო რეგულირების მიმართულებით არაერთი ინიციატივა განხორციელდა, რამაც დადებითი გამოხმაურება ჰპოვა, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. რეფორმირების გზაზე მდგომი სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო მიმდინარე პერიოდში უფრო მჭიდროდ თანამშრომლობს სახალხო დამცველის აპარატთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან. ამ თანამშრომლობის შედეგია 2015 წელს დაწყებული ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე პროექტები, რომლებიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ჩარჩო-თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება და EU4Justice („მართლმსაჯულების რეფორმების მხარდაჭერის პროგრამა“) პროგრამის სახელითაა ცნობილი. EU4Justice პროგრამის ფარგლებში სამი მიმართულების პროექტები მიმდინარეობს, ერთ-ერთი ამ მიმართულებათაგანია „პენიტენციური და პრობაციის სისტემის ხელშეწყობის პროექტი - ერთობლივი ძალისხმევით სრულ რესოციალიზაციამდე“. ამ ქოლგის ქვეშ მიმდინარე პროექტების მიზანია პატიმრების, ყოფილი პატიმრების, პირობით მსჯავრდებულებისა და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისა და მოზარდების რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობა. პროექტებში ჩართული ორგანიზაციები, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან ერთად, სამიზნე ჯგუფებისთვის პროფესიული განათლებისა და დასაქმების

<sup>1</sup><http://www.moc.gov.ge/en/press-service/news/article/18987-1413144000>

შესაძლებლობების გაზრდის, მათი ფსიქოსოციალური და სამედიცინო დახმარების, ასევე, დანაშაულის პრევენციის მიმართულებით ახორციელებს საქმიანობას. აღნიშნული პროექტების განხორციელება პენიტენციური და პრობაციის სისტემისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯია, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მიმდინარე ცვლილებების მიზანი არის პენიტენციური სისტემის ევროპულ სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოება და სისტემაში ადამიანის უფლებათა და სარეჟიმო პირობების დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა. ამ პროცესში ერთ-ერთ პრიორიტეტად განცხადებულ იქნა რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის პროგრამების დახვეწა/დანერგვა. საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის განცხადებაში ნათქვამია: „ჩვენთვის პატიმართა რესოციალიზაცია პრიორიტეტულია. ამ მხრივ, მსჯავრდებულებს მრავალფეროვან პროგრამებს ვთავაზობთ. ადამიანს განთავისუფლების შემდეგ საკუთარი თავის, ოჯახის შენახვის საშუალება უნდა ჰქონდეს. უნდა შეეგუოს გარე სამყაროს ისე, რომ კანონთან კონფლიქტში აღარ მოვიდეს. .... გარე სამყაროსთან ადაპტაციისა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციის მიზნით, საჭიროა სხვადასხვა სახის პროგრამა“<sup>2</sup>. აღნიშნული მიმართულების ეფექტურად განხორციელების მიზნით აქცენტი გაკეთდა მსჯავრდებულთა სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესის და მის ფარგლებში მსჯავრდებულთა განთავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის მაღალ სტანდარტებზე. ერთიანი, ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით გაძლიერდა თანამშრომლობა ისეთ სტრუქტურებს შორის, როგორიცაა საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტები, აღწერილი პროცესი გადის გრძელ და რთულ გზას, რომელიც მოითხოვს დინამიკაში მეთვალყურეობას და საჭიროებისამებრ მიდგომათა დახვეწას, რათა პროგრამა სრულად მოერგოს ქვეყნის სპეციფიკას და მიღებულ იქნეს საუკეთესო შედეგი. 2017 წლის იანვარში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „გაუმჯობესებული შესაძლებლობები: პატიმრების, ყოფილი პატიმრების და პრობაციონერების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისათვის“ ფარგლებში ჩატარდა სამაგიდო კვლევა „მსჯავრდებულთა პენიტენციური სისტემიდან განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესი, როგორც „გარდამავალი მენეჯმენტის“ ნაწილი“, სადაც მოწოდებულია ამ პერიოდისთვის სფეროში არსებული დოკუმენტაციის (ნორმატიული აქტები, რეგულაციები, პროტოკოლები) ანალიზი. შემდგომ, მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განხორციელდა ხარისხობრივი კვლევა განთავისუფლებისთვის მომზადების პროცესის პრაქტიკული მხარის აღწერის, პროცესში მონაწილე სუბიექტთა ხედვების, დამოკიდებულების და რეკომენდაციების მიღების მიზნით.

<sup>2</sup> <http://www.moc.gov.ge/ka/pressamsakhuri/akhali-ambebi/article/22357-gathavisuflebishvis-momzadebis-thavisuflebis-aghkvethis-datsesebuleba-sheiqmneba>



მსჯავრდებულთა პენიტენციური  
სისტემიდან განთავისუფლებისათვის  
მომზადების პროცესი, როგორც  
„გარდამავალი მენეჯმენტის“ ნაწილი

*სამაგიდო კვლევა*



## სამაგიდო კვლევა - მსჯავრდებულთა პენიტენციური სისტემიდან განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესი, როგორც „გარდამავალი მენეჯმენტის“ ნაწილი

### კვლევის მეთოდოლოგია

სამაგიდო კვლევის ფარგლებში მკვლევრებმა ჩაატარეს მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესის (ე.წ. „გარდამავალი მენეჯმენტის“) მარეგულირებელი ადგილობრივი კანონმდებლობის დეტალური და შედარებითი ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში. მოხდა შემდეგი სახის დოკუმენტების ანალიზი:

საერთაშორისო დონის დოკუმენტები: გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები);

ადგილობრივი დონის დოკუმენტები: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, საქართველოს პატიმრობის კოდექსი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №118 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №11 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №68 მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №179 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №903 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს

იუსტიციის მინისტრის ბრძანება №16 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ.

გარდა ამისა, ჩატარდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, ასევე იუსტიციის სამინისტროსგან ოფიციალურად გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის და ვებ-რესურსების (<http://www.moc.gov.ge>; <http://prevention.gov.ge>) მეშვეობით მიღებული ინფორმაციის ანალიზი. კერძოდ, კვლევის განხორციელების პროცესში, 2017 წლის მარტი-მაისის პერიოდში, მკვლევრების მიერ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული პენიტენციური დეპარტამენტის და პრობაციის ეროვნული სააგენტოდან, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან. ინფორმაცია ეხებოდა 2013-2016 წლებში აღნიშნული სტრუქტურების მიერ განხორციელებული მსჯავრდებულთა განთავისუფლებისთვის მომზადების და პატიმართა, ყოფილ პატიმართა და პრობაციონერების საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო-დასაქმების პროგრამების მიმდინარეობას. მიღებული მონაცემების და საჯარო სივრცეში ხელმისაწვდომი რელევანტური დოკუმენტაციის (ანგარიშები, რეგულაციები, ბრძანებები) საფუძველზე შეიქმნა მსჯავრდებულთა განთავისუფლებისთვის მომზადების პროცესის, როგორც „გარდამავალი მენეჯმენტის“ ნაწილის, ზოგადი სიტუაციური აღწერა, მასში მონაწილე სუბიექტების კომპეტენციების და ჩართულობის დეტალიზებით. კვლევისას მიგნებები საფუძვლად დაედო რეკომენდაციებს ზემოთ აღწერილი პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

## სიტუაციური ანალიზი

### საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო

საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავს იმ მიზანს, თუ რას უნდა ემსახურებოდეს სასჯელი - „სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის, ან ნებისმიერი მსგავსი ღონისძიების დანიშვნის მიზანი, საბოლოო ჯამში, არის საზოგადოების დაცვა დანაშაულისაგან და რეციდივის შემცირება“<sup>3</sup>. ხოლო ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუკი „ციხეში გატარებული პერიოდი შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფს განთავისუფლების შემდეგ ამ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას“.<sup>4</sup>

ამ მიზნის მისაღწევად შესაბამისმა პენიტენციურმა დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ პატიმრების საჭიროებებზე მორგებული „განათლება, პროფესიული სწავლება და მუშაობა, სხვა ხელმისაწვდომი სათანადო სახის აღმზრდელობითი, მორალური, სულიერი, სოციალური და ჯანდაცვასთან დაკავშირებული და სპორტული ხასიათის დახმარების სახეები“<sup>5</sup>. საერთაშორისო სტანდარტები ასევე განმარტავს, რომ სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზება უნდა იყოს აგებული სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაზე და ასეთი სახის გეგმები უნდა მოიცავდეს - მსჯავრდებულთა დასაქმებას; განათლებას და განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესს.<sup>6</sup>

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, „პატიმრობის დასაწყისიდანვე საჭიროა იმ მომავალზე ფიქრი, რომელიც ელის პატიმარს ციხიდან გამოსვლის შემდეგ. ამიტომ მას უნდა გაეჩიოს დახმარება იმ პირებთან და უწყებებთან ურთიერთობების შენარჩუნებასა და გამყარებაში, რომლებიც ციხის გარეთ არიან და რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან მისი ოჯახის ინტერესები და ხელი შეუწყონ მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას განთავისუფლების შემდეგ“<sup>7</sup>. იქვე განმარტებულია, რომ „საზოგადოების მოვალეობა არ სრულდება პატიმრის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ“<sup>8</sup>, არანაკლებ მნიშვნელოვანი პროცესი იწყება სწორედ განთავისუფლების შემდეგ. ზუსტად ამ მიზნით მნიშვნელოვანია მსჯავრდებულების განთავისუფლებისათვის მომზადება.

<sup>3</sup> გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 4 (1).

<sup>4</sup> იქვე, წესი 4 (1).

<sup>5</sup> იქვე, წესი 4 (2).

<sup>6</sup> მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), წესი 103.4

<sup>7</sup> მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), წესი 107

<sup>8</sup> გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 90

მსჯავრდებულებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის პროგრამებში, რომლებიც დაეხმარება მათ, საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი გაიარონ უმტკივნეულოდ.<sup>9</sup> ამ მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული ყველა შესაძლებლობა - „რელიგია, განათლება, ტრენინგი, სოციალური დაცვა, დასაქმება, ფიზიკური განვითარება, მორალური დამოკიდებულებების განვითარება. ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა შეესაბამებოდეს პატიმრის პიროვნულ ხასიათს. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი: პატიმრის კრიმინალური წარსული, სასჯელის ზომა და წინასწარ განსაზღვრული პერსპექტივები მისი განთავისუფლების შემდეგ<sup>10</sup>“.

საერთაშორისო სტანდარტები განსაკუთრებულად უსვამს ხაზს მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში უწყებათაშორისი თანამშრომლობის და კოორდინაციის მნიშვნელობას: „ციხის ადმინისტრაციამ შეიძლება მჭიდროდ ითანამშრომლოს სხვადასხვა სააგენტოებსა და ორგანოებთან, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას და ეხმარებიან განთავისუფლებულ პატიმრებს საზოგადოებაში მათი ადგილის დამკვიდრებაში, განსაკუთრებით კი საყოფაცხოვრებო და სამსახურეობრივ სფეროში“<sup>11</sup>. ასეთი სახის სამსახურების/სააგენტოების წარმომადგენლებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, შევიდნენ პენიტენციურ დაწესებულებაში, გაესაუბრონ მსჯავრდებულებს და დაეხმარონ მათ განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში<sup>12</sup>. „სამთავრობო ან სხვა ორგანოებმა და დაწესებულებებმა, რომლებიც ეხმარებიან პატიმრებს საზოგადოებაში ადგილის მოძებნაში, უნდა იზრუნონ იმაზე, რომ თუ ეს შესაძლებელია, ციხის ფარგლებს გარეთ, ნორმალურ საზოგადოებაში, განთავისუფლების შემდეგ პატიმრებს ჰქონდეთ წასასვლელი სახლი და სამუშაო, შესაბამისი დოკუმენტები და სეზონის შესაფერისი ტანსაცმელი, ასევე დანიშნულ ადგილამდე გამგზავრებისა და თავის შენახვის სახსრები“<sup>13</sup>. „სასურველია, რომ ასეთი სახის დაწესებულებების სამუშაო იყოს შეძლებისდაგვარად ცენტრალიზებული და კოორდინირებული, რათა მოხერხდეს მათი სამუშაოს მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება“<sup>14</sup>.

<sup>9</sup> მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), წესი 107.1

<sup>10</sup> გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 92 (1)

<sup>11</sup> მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), წესი 107.4

<sup>12</sup> იქვე, წესი 108 (2) /იქვე, წესი 107.5

<sup>13</sup> გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 108 (1)

<sup>14</sup> იქვე, წესი 108 (3)

## ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩო და პრაქტიკა

ადგილობრივი კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ მიზანს, რასაც უნდა ემსახუროდეს სასჯელი, კერძოდ, სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და დამნაშავის რესოციალიზაციას<sup>15</sup>. არასრულწლოვნებთან მიმართებაში, კანონმდებლობა განსხვავებულია და აღნიშნულია, რომ „არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება“. აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერი ხაზს უსვამს, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში პრიორიტეტს წარმოადგენს არა მარლთმსაჯულების ინტერესი (სამართლიანობის აღდგენა), არამედ ბავშვის საუკეთესო ინტერესი. არასრულწლოვანთა მარლთმსაჯულების კოდექსის უმთავრეს პრინციპს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა წარმოადგენს.<sup>16</sup>

პატიმრობის კოდექსის თანახმად, „მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება“. იქვე აღნიშნულია, რომ რესოციალიზაციის საშუალებებია: სასჯელის მოხდა დადგენილი წესის შესაბამისად; სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება; აღმზრდელობითი მუშაობა არასრულწლოვანთა მიმართ; მსჯავრდებულთა დასაქმება; ზოგადი და პროფესიული განათლების მიღება; საზოგადოებასთან ურთიერთობა<sup>17</sup>.

კანონმდებლობით დადგენილია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთათვის ტარდება სარეაბილიტაციო პროგრამები, რომელთა მიზანია „მსჯავრდებულში კანონის, სხვა ადამიანების, შრომის, ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისა და ნორმებისადმი პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება; თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულთა შორის ნორმალური ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა; მსჯავრდებულთა განათლებისა და პროფესიული დონის ამაღლება; მსჯავრდებულთა მომზადება განთავისუფლებისათვის; სხვადასხვა დამოკიდებულების მექანე პირთა რეაბილიტაცია“.<sup>18</sup> კანონმდებლობით დადგენილია, რომ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიზნით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო უნდა თანამშრომლობდეს სახელმწიფო უწყებებთან და სხვა ორგანიზაციებთან.<sup>19</sup> გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ პენიტენციური დაწესებულების

<sup>15</sup> სისხლის სამართლის კოდექსი, მ.39 (1)

<sup>16</sup> არასრულწლოვანთა მარლთმსაჯულების კოდექსი, მ.4

<sup>17</sup> პატიმრობის კოდექსი, მ.116

<sup>18</sup> იქვე, მ.117

<sup>19</sup> იქვე, მ.118 (1)



დღის განრიგი უნდა ითვალისწინებდეს სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულთა მონაწილეობის დროს<sup>20</sup>.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2013-2016 წლების განმავლობაში პენიტენციურ სისტემაში ცენტრალიზებულად ხორციელდებოდა შემდეგი სახის პროგრამები:

N	პროგრამის დასახელება	პენიტენციურ დაწესებულება
1.	ცხოვრების ჯანსაღი წესი	N2, N5, N8, N12, N14, N15, N16, N17, N11
2.	„პენიტენციურ სტრესის დაძლევის“ პროგრამა	N2, N5, N8, N12, N14, N15, N16, N17, N11
3.	კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება - „COSO“.	N2, N5, N8, N12, N14, N15, N16, N17, N11
4.	ბრაზის მართვის პროგრამა	N2, N5, N8, N12, N14, N15, N16, N17, N11
5.	“EQUIP” (დანაშაულის გაცნობიერება, ანტისოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვნების სარეაბილიტაციო პროგრამა)	N11
6.	„პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება“	N17
7.	„სასარგებლო უნარების განვითარების ჯგუფი“	N2, N5, N8, N12, N14, N15, N16, N17, N11
8.	„ოჯახურ სირთულეებთან გამკლავების პროგრამა“ (ოჯახში და გენდერულ ძალადობაზე, ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის)	N5
9.	„პოზიტიური ქცევის როლი ოჯახურ ურთიერთობაში“ (გენდერული სენსტიურობის ამაღლება მსჯავრდებულ მამაკაცებში)	N2, N5, N8, N12, N14, N15, N16, N17
10.	„განთავისუფლებისათვის მზადება“	N2, N5, N8, N12, N14, N15, N16, N17, N11
11.	ბიბლიო თერაპია	N2, N5, N8, N12, N14, N15, N16, N17, N11
12.	„ატლანტისი - 12 ნაბიჯი (სტაციონარული ტიპის სარეაბილიტაციო პროგრამა წამალდამოკიდებულთათვის)“	N2, N5
13.	არტ-თერაპია	N2, N5, N8, N12, N14, N15, N16, N17, N11
14.	„ნაბიჯი ცვლილებისკენ“ (დანაშაულის გაცნობიერების პროგრამა)	N16

<sup>20</sup> იქვე, მ.118 (3)

	ზრდასრულთათვის)	
15.	წამალდამოკიდებულება და კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია	N12, N16
<b>ფსიქოსოციალური ტრენინგები</b>		
1.	ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებები	N2, N5, N8, N12, N14, N15, N16, N17, N11
2.	ტრეფიკინგი, მონობის თანამედროვე ფორმა	N2, N5, N8, N12, N14, N15, N16, N17, N11
3.	ტუბერკულოზი	N2, N5, N8, N12, N14, N15, N16, N17, N11
4.	აივ ინფექცია და შიდსი	N2, N5, N8, N12, N14, N15, N16, N17, N11
5.	B და C ჰეპატიტი	N2, N5, N8, N12, N14, N15, N16, N17, N11
6.	სტიგმა და დისკრიმინაცია	N2, N5, N8, N12, N14, N15, N16, N17, N11

იმავე წყაროს თანახმად, ამჟამად მიმდინარეობს შემდეგი სახის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამები:

N	პენიტენციურ დაწესებულება	პროგრამების დასახელება
1.	N2	„ატლანტისი“, არტ-თერაპია, ბიბლიოთერაპია, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარების ტრენინგი, პენიტენციური სტრესის მართვის ტრენინგი, პოზიტიური აზროვნების ტრენინგი.
2.	N5	„ატლანტისი“, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარების ტრენინგი.
3.	N12	განთავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა, პოზიტიური აზროვნების განვითარების პროგრამა, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარების პროგრამა.
4.	N15	კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარების პროგრამა.
5.	N16	ბიბლიოთერაპია, პენიტენციური სტრესის მართვა, ხეზე კვეთა, კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია და წამალდამოკიდებულება, კულინარიის შემსწავლელი კურსი, ადამიანის განვითარება სოციალურ გარემოში, არტ-თერაპია, განთავისუფლებისათვის მომზადების



		პროგრამა, სასარგებლო უნარების განვითარების პროგრამა, დანაშაულის გაცნობიერების პროგრამა, მღებავის კურსი.
5.	N17	არტ-თერაპია, განთავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა, სასარგებლო უნარების განვითარების პროგრამა, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარების პროგრამა.

ცალკე არასრულწლოვანი ბრალდებულებისთვის/მსჯავრდებულებისთვის ხორციელდება შემდეგი სახის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამები:

N	პენიტენციურ დაწესებულება	პროგრამის დასახელება
1.	N2, N8, N11	პენიტენციურ სტრესის დაძლევის პროგრამა
2.	N2, N8, N11	არტ-თერაპია
3.	N2, N11	ცხოვრების ჯანსაღი წესი
4.	N11	ბრაზის მართვის პროგრამა
5.	N11	მომზადება განთავისუფლებისათვის

გარდა ამისა, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, პენიტენციურ დაწესებულებებში 2017 წელს ფუნქციონირებდა დასაქმების პროგრამები, კერძოდ:

- სამეურნეო მომსახურება - მსჯავრდებულები დასაქმებული არიან N2, N3, N5, N6, N7, N8, N12, N14, N15, N16, N17, N19 პენიტენციურ დაწესებულებებში. 01.03.2017 მდგომარეობით დასაქმებულია 458 მსჯავრდებული. მათგან 4 - სილამაზის სალონში (N5, N12, N15);
- ინდივიდუალური საქმიანობით შექმნილი ხელნაკეთი ნივთები - მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, დაამზადონ და ონლაინ მაღაზიაში განათავსონ ნამუშევრები. ამჟამად რეგისტრირებულია 41 მსჯავრდებული - N5, N6, N8, N12, N14, N15, N17 პენიტენციურ დაწესებულებებში;
- დასაქმების მინი კერები - სამკერვალო ფუნქციონირებს N5 დაწესებულებაში, სადალაქო - N5, N12 და N15 დაწესებულებებში, ხოლო პურის საცხობი - N16, N15, N14 და N8 დაწესებულებებში.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ მიღებული ინფორმაციის თანახმად, განთავისუფლებისათვის მომზადების სპეციალური პროგრამა 2017 წელს ფუნქციონირებდა მხოლოდ N11, N12, N16 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში, თუმცა, სამინისტროს განმარტებით, იმ დაწესებულებებში, სადაც სპეციალური პროგრამები არ ფუნქციონირებს, განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში მყოფ ყველა მსჯავრდებულს ჰქონდა

შესაძლებლობა, ჩართულიყო სხვა სახის პროგრამებში, რომლებიც ზემოთ არის აღნიშნული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სასჯელის მოხდის ეფექტიანად ორგანიზების მიზნით. როგორც წესი, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის ნაწილს წარმოადგენს მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადების ეტაპიც. აქედან გამომდინარე, მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადება სასჯელის მოხდის ერთიანი გეგმის ნაწილად უნდა იქნეს განხილული.

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, 2017 წლის დასაწყისში სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა ხორციელდებოდა N5, N8, N11, N12, N15, N16, N17, N18 და N19 პენიტენციურ დაწესებულებებში. სრულწლოვნებისთვის სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა დაიწყო 2015 წელს, ხოლო არასრულწლოვნებისთვის - 2009 წლიდან. 2015-2016 წლებში ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი ხორციელდებოდა N5, N8, N12, N16, N17, N18 და N19 დაწესებულებებში.

2015-2016 წლებში ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა:

პენიტენციური დაწესებულება	ინდივიდუალურ დაგეგმვის პროცესში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა 2015 წლის 31 დეკემბერს <sup>21</sup>
N5 დაწესებულება	173	294
N8 დაწესებულება	17	2327
N12 დაწესებულება	20	267
N16 დაწესებულება	153	80
N17 დაწესებულება	10	1901
N18 დაწესებულება	2	110
N19 დაწესებულება	4	116
N11 დაწესებულება	70	16

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე 2017 წლის დასაწყისში ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა:

	ინდივიდუალურ დაგეგმვის პროცესში	ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა 2017 წლის 31
--	---------------------------------	--

<sup>21</sup> [http://www.moc.gov.ge/images/files/pdf/text\\_14550774211.pdf](http://www.moc.gov.ge/images/files/pdf/text_14550774211.pdf)

	ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	იანვარს
N5 დაწესებულება	189 <sup>22</sup>	259
N8 დაწესებულება	25	2308
N12 დაწესებულება	25	281
N16 დაწესებულება	81	91
N17 დაწესებულება	19	1882
N18 დაწესებულება	2	106
N19 დაწესებულება	4	88
N11 დაწესებულება	9	10

აქვე ქვემოთ მოყვანილია საინტერესო ინფორმაცია 2013-2016 წლებში განთავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში ჩართული მსჯავრდებულების შესახებ, პენიტენციური დაწესებულებების მიხედვით.

2013 წელი

N5 დაწესებულება	68 მსჯავრდებული
N12 დაწესებულება	16 მსჯავრდებული
N17 დაწესებულება	67 მსჯავრდებული
სულ	151 მსჯავრდებული

2014 წელი

N5 დაწესებულება	33 მსჯავრდებული
N8 დაწესებულება	80 მსჯავრდებული
N12 დაწესებულება	36 მსჯავრდებული
N2 დაწესებულება	41 მსჯავრდებული
N14 დაწესებულება	87 მსჯავრდებული
N15 დაწესებულება	57 მსჯავრდებული
N17 დაწესებულება	45 მსჯავრდებული
სულ	379 მსჯავრდებული

2015 წელი

N5 დაწესებულება	12 მსჯავრდებული
N12 დაწესებულება	9 მსჯავრდებული
N16 დაწესებულება	17 მსჯავრდებული
N17 დაწესებულება	12 მსჯავრდებული

<sup>22</sup> აქედან ერთი არასრულწლოვანი გოგონა.

N11 დაწესებულება	15 მსჯავრდებული
სულ	65 მსჯავრდებული

2016 წელი

N11 დაწესებულება	17 მსჯავრდებული
N12 დაწესებულება	7 მსჯავრდებული
N16 დაწესებულება	13 მსჯავრდებული
N17 დაწესებულება	10 მსჯავრდებული

ადგილობრივი კანონმდებლობა პენიტენციური დაწესებულებიდან მსჯავრდებულის განთავისუფლების შემდეგ საფუძვლებს ითვალისწინებს:

- სასჯელის მოხდის შემდეგ;
- სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე განთავისუფლებისას;
- სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისას;
- განაჩენის კანონით დადგენილი წესით შეცვლის ან გაუქმების გამო;
- ამნისტიით ან შეწყალებით;
- ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო;
- სასამართლოს მიერ განაჩენის აღსრულების გადავადების შემთხვევაში<sup>23</sup>.

განთავისუფლებული მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდის დამთავრების დღის წინა დღეს. თუ განთავისუფლების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მსჯავრდებული თავისუფლდება წინა სამუშაო დღეს<sup>24</sup>.

მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა:

- ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;
- მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი;
- განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი;
- სამი მეოთხედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გაათავისუფლეს და პირობით ვადამდე განთავისუფლება გაუქმდა კანონმდებლობით დადგენილი წესით<sup>25</sup>. თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები.

<sup>23</sup> პატიმრობის კოდექსი, მ.37 (1)

<sup>24</sup> იქვე, მ.38 (1)

<sup>25</sup> იქვე, მ.40 (1)

არასრულწლოვანი მსჯავრდებულების შეთხვევაში აღნიშნული ვადები განსხვავებულად არის რეგულირებული. კერძოდ:

- ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;
- მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;
- განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი<sup>26</sup>.

აქვე წარმოგიდგენთ ინფორმაციას 2013-2015 წლებში პენიტენციური სისტემიდან განთავისუფლებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების შესახებ, განთავისუფლების საფუძვლების მითითებით:

2013 წელი<sup>27</sup>

	საფუძველი	რაოდენობა
1.	კალენდარულად (სასჯელის მოხდის შემდეგ)	3506
2.	შეწყალება	854
3.	ამნისტია	8729
4.	გათავისუფლდა, თუმცა დარჩენილი ჰქონდა პირობითი მსჯავრი (სსკ-ს 63-ე და 64 მუხლები)	433
5.	ვადაზე ადრე განთავისუფლება -სრულწლოვნების (სსკ-ის 72 მუხლი)	1544
6.	ვადაზე ადრე განთავისუფლება - არასრულწლოვნების (სსკ-ის 98-ე მუხლი)	34
7.	სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა (სსკ 73-ე მუხლი)	23
8.	განთავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმული ასაკის გამო (სსკ 74-ე მუხლი)	91
9.	განაჩენის აღსრულების გადავადება (სსსკ 283-ე მუხლი)	10
10.	სხვა სახის განთავისუფლება (გირაო, საქმის შეწყვეტა, ექსტრადიცია და სხვა)	3421
სულ		18645

<sup>26</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.95 (1)

<sup>27</sup> [http://www.moc.gov.ge/images/files/pdf/text\\_14214085111.pdf](http://www.moc.gov.ge/images/files/pdf/text_14214085111.pdf)

2014 წელი<sup>28</sup>

	საფუძველი	რაოდენობა
1.	კალენდარულად (სასჯელის მოხდის შემდეგ)	2637
2.	შეწყალება	554
3.	ამნისტია	17
4.	გათავისუფლდა, თუმცა დარჩენილი ჰქონდა პირობითი მსჯავრი (სსკ-ს 63-ე და 64 მუხლები)	421
5.	ვადაზე ადრე განთავისუფლება -სრულწლოვნების (სსკ-ის 72 მუხლი)	873
6.	ვადაზე ადრე განთავისუფლება - არასრულწლოვნების (სსკ-ის 98-ე მუხლი)	22
7.	სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა (სსკ 73-ე მუხლი)	70
8.	განთავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმული ასაკის გამო (სსკ 74-ე მუხლი)	26
9.	განაჩენის აღსრულების გადავადება (სსკ 283-ე მუხლი)	7
10.	სხვა სახის განთავისუფლება (გირაო, საქმის შეწყვეტა, ექსტრადიცია და სხვა)	3022
სულ		7649

2015 წელი<sup>29</sup>

	საფუძველი	რაოდენობა
1.	კალენდარულად (სასჯელის მოხდის შემდეგ)	2591
2.	შეწყალება	731
3.	ამნისტია	8
4.	გათავისუფლდა, თუმცა დარჩენილი ჰქონდა პირობითი მსჯავრი (სსკ-ს 63-ე და 64 მუხლები)	375
5.	ვადაზე ადრე განთავისუფლება -სრულწლოვნების (სსკ-ის 72 მუხლი)	1007
6.	ვადაზე ადრე განთავისუფლება - არასრულწლოვნების (სსკ-ის 98-ე მუხლი)	26
7.	სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა (სსკ 73-ე მუხლი)	57

<sup>28</sup> [http://www.moc.gov.ge/images/files/pdf/text\\_14308146981.pdf](http://www.moc.gov.ge/images/files/pdf/text_14308146981.pdf)

<sup>29</sup> <http://www.moc.gov.ge/images/temp/2016/05/11/8c55a3858cba21b237b1857221442da0.pdf>



8.	განთავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმული ასაკის გამო (სსკ 74-ე მუხლი)	24
9.	განაჩენის აღსრულების გადავადება (სსსკ 283-ე მუხლი)	13
10.	სხვა სახის განთავისუფლება (გირაო, საქმის შეწყვეტა, ექსტრადიცია და სხვა)	3110
სულ		7942

გადაწყვეტილებას სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე განთავისუფლებასთან და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებით იღებს ამ საკითხების განმხილველი ორგანო - ადგილობრივი საბჭო. საბჭოების რაოდენობას და ტერიტორიული განსჯადობას გასაზღვრავს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი<sup>30</sup>.

შუამდგომლობის განხილვისას საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის ქცევას, მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებს, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე<sup>31</sup>. თუ საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას პირობით ვადამდე განთავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ, იმავე საკითხზე შუამდგომლობის ხელახლა განხილვა შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება ან/და არსებობს განსაკუთრებული გარემოება. მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლების საკითხის განხილვა სავალდებულოა ყოველ 6 თვეში<sup>32</sup>. ადგილობრივი საბჭო, იმავე პრინციპების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე<sup>33</sup>.

სასჯელის ვადის ამოწურვამდე, არაუგვიანეს 3 თვისა, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია, მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან განთავისუფლების, მისი საცხოვრებელი ადგილის, შრომისუნარიანობისა და სპეციალობის შესახებ. პენიტენციურ დაწესებულების ადმინისტრაცია, ასევე, ვალდებულია ამის თაობაზე შეატყობინოს შინაგან საქმეთა

<sup>30</sup> პატიმრობის კოდექსი, მ.41 (1)

<sup>31</sup> პატიმრობის კოდექსი, მ.42 (3)

<sup>32</sup> იქვე, მ.42 (3)

<sup>33</sup> იქვე, მ.43



სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს<sup>34</sup>. დაწესებულების ადმინისტრაციას ცალკე ვალდებულება აქვს ოჯახში ძალადობისთვის მსჯავრდებული პირის პენიტენციური დაწესებულებიდან განთავისუფლების შემთხვევაში, ამის თაობაზე შეატყობინოს საუბნო პოლიციას<sup>35</sup> დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით.

პენიტენციური სისტემიდან მსჯავრდებულთა განთავისუფლების პროცესში, პენიტენციურ დაწესებულებასთან კოორდინაციაში ჩართულია ორი სახელმწიფო უწყება - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პრობაციის ეროვნული სააგენტო და იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრი. დღეს არსებული პრაქტიკით ამ ორ უწყებას სხვადასხვა როლი და ფუნქცია აქვს აღნიშნულ პროცესში. ამის გათვალისწინებით, ცალ-ცალკე განვიხილავთ მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესს ამ ორ უწყებასთან პენიტენციური დაწესებულებების კოორდინაციისას.

პირველ ეტაპზე განვიხილავთ განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში პენიტენციური და პრობაციის სისტემის კოორდინირებული საქმიანობის წესს. დღეს არსებული სამართლებრივი რეგულაციებით, განთავისუფლებისათვის მომზადების წესი, ამ ეტაპზე, დეტალურად რეგულირებულია მხოლოდ არასრულწლოვან და ქალ მსჯავრდებულებთან მიმართებაში. ეს პროცესი ამ ორი კატეგორიის მსჯავრდებულებთან მიმართებით ფაქტობრივად იდენტურია, გარდა იმ კონკრეტული შემთხვევებისა, რაც კანონმდებლობით სხვადასხვაგვარად არის რეგულირებული.

პენიტენციურ დაწესებულებებში ამ პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელია სოციალური განყოფილებები, რომელთა ფუნქციასაც წარმოადგენს<sup>36</sup>:

- მსჯავრდებულის ბიო-ფსიქოსოციალური შეფასება, შემუშავება, ინდივიდუალური გეგმის შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;
- ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიზნით ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირება;
- მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელშემწყობი პროგრამების დანერგვა/განხორციელება;
- განთავისუფლებისთვის მზადების ხელშემწყობი პროგრამების დანერგვა და განხორციელება;

<sup>34</sup> იქვე, მ.45

<sup>35</sup> იქვე, მ.45'

<sup>36</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №118 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №11 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, მ.10

- მსჯავრდებულთა სპორტული, რელიგიური, კულტურული და სხვა სარეაბილიტაციო ღონისძიებების ორგანიზება;
- მსჯავრდებულის სარეაბილიტაციო პროცესის ხელშეწყობის მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, დანაშაულის პრევენციის ცენტრთან და სხვა შესაბამის სამსახურებთან ინფორმაციის გაცვლა და კოორდინაცია;
- მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობა და მათთან თანამშრომლობის მიზნით წინადადებების მომზადება;
- მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების ორგანიზება;
- მსჯავრდებულთათვის საბიბლიოთეკო მომსახურების გაწევა;
- მსჯავრდებულის დასაქმების ხელშეწყობა;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლებისათვის ან/და დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისათვის გათვალისწინებული ვადის ფაქტობრივად მოხდამდე 3 თვით ადრე წერილობით მიმართოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს, დაწესებულების გარეთ ამ მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების თაობაზე<sup>37</sup>.

დაწესებულების მიმართვა უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას: ა) დაწესებულების მიმართვის საფუძველი; ბ) მსჯავრდებულის შესახებ ზოგადი დემოგრაფიული მონაცემები; გ) ინფორმაცია ჩადენილი დანაშაულის შესახებ; დ) ინფორმაცია მსჯავრდებულის ოჯახის შესახებ;

ე) დაწესებულების დასახელება, სადაც მსჯავრდებული იხდის სასჯელს; ვ) მსჯავრდებულის დაწესებულებაში განთავსების თარიღი; ზ) დარჩენილი სასჯელის ვადა და სასჯელის მოხდის დასრულების თარიღი; თ) სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლებისათვის ან/და დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის

<sup>37</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №68 მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (1) / საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №179 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (1). / არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.98 (3)

უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისათვის კანონით დადგენილი ვადის მოხდის თარიღი; ი) დაწესებულებაში მსჯავრდებულთან მომუშავე სოციალური მუშაკის სახელი და გვარი; კ) დაწესებულების საკონტაქტო მონაცემები; ლ) ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელზეც მსჯავრდებულის ოჯახის შეფასებისას სააგენტოს სოციალურმა მუშაკმა უნდა გაამახვილოს ყურადღება<sup>38</sup>.

იმ შემთხვევაში, თუკი მსჯავრდებულს სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის გარდა, ასევე განსაზღვრული აქვს პირობითი მსჯავრის მოხდაც, დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია, მსჯავრდებულისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ვადის დასრულებამდე 3 თვით ადრე წერილობით მიმართოს პრობაციის შესაბამის ბიუროს (მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), დაწესებულების გარეთ იმ მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების თაობაზე, რომელსაც თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის შემდგომ განსაზღვრული აქვს პირობითი მსჯავრი<sup>39</sup>, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსჯავრდებულის განთავისუფლება ხდება პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლების ან სასჯელის მოხდის გადავადების გამო<sup>40</sup>.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულების შემთხვევაში, ასეთი სახის შეფასება არ მზადდება, თუკი სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 3 თვეს არ აღემატება<sup>41</sup>.

პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია სრულწლოვანი მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობით<sup>42</sup> (არასრულწლოვნის შემთხვევაში მისი კანონიერი

<sup>38</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №68 მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (2) / საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №179 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (2). / არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.98(3)

<sup>39</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №68 მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (5) / საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №179 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (4).

<sup>40</sup> პატიმრობის კოდექსი, მ.37 (ბ,ზ).

<sup>41</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.98 (6)

წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით<sup>43</sup>) მიმართავს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასების თხოვნით. მიმართვაში აღნიშნული უნდა იყოს: ა) დაწესებულებიდან მსჯავრდებულის შესახებ ინფორმაციის გაცემის საფუძველი; ბ) მსჯავრდებულის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და პირადი ნომერი; გ) დაწესებულების დასახელება, სადაც მსჯავრდებული იხდის სასჯელს; დ) მსჯავრდებულის დაწესებულებაში განთავსების თარიღი; ე) სასჯელის მოხდის დასრულების თარიღი; ვ) დაწესებულებაში მსჯავრდებულთან მომუშავე სოციალური მუშაკის სახელი და გვარი; ზ) დაწესებულების საკონტაქტო მონაცემები; თ) მსჯავრდებულისათვის დაწესებულებაში ჩატარებული სარეაბილიტაციო მომსახურებები; ი) მსჯავრდებულის დამოკიდებულება დანაშაულთან მიმართებაში; კ) საკუთარი თავისადმი ან/და სხვა პირისადმი ზიანის რისკის შეფასება; ლ) განთავსულების შემდგომ მსჯავრდებულის გეგმები და მოლოდინები; მ) მსჯავრდებულის ინტერესები. ამ დოკუმენტებს თან უნდა ერთვოდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო ცნობა. დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია პრობაციის ბიუროში (საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) გადააგზავნოს მსჯავრდებულის დაწესებულებიდან განთავსულებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში<sup>44</sup>.

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აღნიშნული პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელია სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს<sup>45</sup>:

<sup>42</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №68 მსჯავრდებულის განთავსულებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (6)

<sup>43</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №179 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის განთავსულებისათვის მომზადების პროცესში არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (4)

<sup>44</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №68 მსჯავრდებულის განთავსულებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (7,8) / საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №179 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის განთავსულებისათვის მომზადების პროცესში არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ, მ.2 (5,6).

<sup>45</sup> საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №903 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე, მ.9.



- პრობაციის ეროვნული სააგენტოს იურისდიქციაში მყოფ მსჯავრდებულთა, განრიდებულთა ინდივიდუალური ბიო-ფსიქოსოციალური შეფასების ორგანიზება;
- ფსიქოსოციალური, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამების მოდელების შემუშავება-ადაპტირება, განხორციელება და მართვა;
- სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების პერიოდული პროფესიული გადამზადების ორგანიზება;
- მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიმართულებით, პროფესიული სტანდარტების შემუშავება და დანერგვა;
- რეაბილიტაციის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა-ფუნქციონირება;
- მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადებისა და რეაბილიტაციის მიმართულებით პენიტენციურ სისტემასთან კოორდინირებული თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა, შესაბამისი საქმიანობის განხორციელებას.

მომართვის მიღების შემდეგ, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს უფროსი მომართვას გადასცემს სოციალურ მუშაკს, რომელიც ვალდებულია, მსჯავრდებულის ოჯახსა და სოციალურ გარემოში არსებული რისკ-ფაქტორების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, მსჯავრდებულის ოჯახში განახორციელოს მინიმუმ 1 ვიზიტი. შეფასების დასრულების შემდეგ, შეფასების დოკუმენტი იგზავნება შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციაში<sup>46</sup>.

ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასების პროცესში სოციალური მუშაკი ძირითად აქცენტს აკეთებს შემდეგ საკითხებზე: ა) ოჯახის სოციალური გარემოს მზაობა მსჯავრდებულის დაბრუნების მიმართ; ბ) ოჯახის წევრთა დამოკიდებულება მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ; გ) განთავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის თავშესაფრის არსებობა; დ) მსჯავრდებულზე დამოკიდებული პირების საჭიროებები; ე) განთავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის და/ან მისი ოჯახის წევრების სავარაუდო შემოსავლის წყარო; ვ) სარეაბილიტაციო მომსახურებების რესურსები და მათი ხელმისაწვდომობა განთავისუფლების შემდეგ<sup>47</sup>.

<sup>46</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №68 მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ, მ.3 (1,4) / საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №179 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში არასრულწლოვანის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ, მ.3 (1,4).

<sup>47</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №68 მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის

არასრულწლოვანი მსჯავრდებულების შემთხვევაში, განთავისუფლებამდე სულ მცირე 2 თვით ადრე მაინც, უნდა მომზადდეს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ვადის დაცვა შეუძლებელია პირობით ვადამდე განთავისუფლების ან ამნისტიის/შეწყალების აქტის გამოცემის ანდა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის გამო<sup>48</sup>. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმის მოსამზადებლად მისი განთავისუფლებიდან 3 თვემდე ვადის განმავლობაში პრობაციის ეროვნული სააგენტო თანამშრომლობს დანაშაულის პრევენციის ცენტრთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სადაც არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილი მდებარეობს ან სადაც ის აპირებს დაბრუნებას<sup>49</sup>.

საზოგადოებაში ეფექტიანი ინტეგრაციის მიზნით, უფრო მეტად მნიშვნელოვანი პროცესი იწყება პენიტენციური სისტემიდან მსჯავრდებულის განთავისუფლების შემდეგ. საინტერესოა თუ როგორ არის აწყობილი განთავისუფლების შემდგომ მსჯავრდებულთა მიმართ ზრუნვის სისტემა.

პრობაციის ეროვნული სააგენტო, ე.წ. „გარდამავალი მენეჯმენტის“ პროცესში თანამშრომლობს მხოლოდ N11 და N5 პენიტენციურ დაწესებულებებთან. მათ მიერ, 2013-2016 წლებში მოხდა 129 პირობით ვადამდე ადრე განთავისუფლების მომზადების პროცესში ოჯახისა და სოციალური გარემოს შესწავლა და შესაბამისი ანგარიშის მომზადება შესაბამისი კომისიისთვის/საბჭოსთვის წარგდენის მიზნით.

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვის კრიტერიუმი არის ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების საშუალო ან მაღალი რისკის გამოკვეთა. ეს ვრცელდება ყველა პირობით მსჯავრდებულზე და ასევე პენიტენციურ დაწესებულებიდან განთავისუფლებულ მსჯავრდებულებზე. პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, პენიტენციური დაწესებულებიდან განთავისუფლებულ მსჯავრდებულს აქვს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში ჩაერთოს ყველა სერვისში, რომელიც არის პრობაციის ეროვნულ სააგენტოში.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სააგენტოში 2017 წლის დასაწყისში მოქმედებდა 20 სახის სარეაბილიტაციო პროგრამა.

---

*სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ, მ.3 (7) / საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №179 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ, მ.3 (5).*

<sup>48</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.98 (7)

<sup>49</sup> იქვე, მ.98 (8)

პროგრამები იყოფოდა სამ მიმართულებად - ფსიქოსოციალური, პროსოციალურ ქცევაზე მიმართული და ადიქციის ქცევის შემცირებაზე მიმართული:

- ადამიანის უფლებების, მოწყვლადი ჯგუფებისადმი ტოლერანტობის განვითარების ტრენინგ-პროგრამა;
- ადიქტოლოგია - ჩავარდნის პროფილაქტიკა;
- ეფექტური კომუნიკაცია;
- თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის სატრენინგო მოდული;
- საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროგრამა;
- ტრეფიკინგი;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა;
- ცხოვრებისეული ფასეულობები;
- ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული რესურსები;
- მომავლის დაგეგმვა;
- დანაშაულის გაცნობიერება;
- პენიტენციური სტრესის მართვის სატრენინგო მოდული;
- კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა;
- ბრაზის მართვა;
- პოზიტიური აზროვნების პროგრამა;
- აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება;
- ძალადობრივი ქცევის მართვის - გენდერული ძალადობის სარეაბილიტაციო პროგრამა.

2017 წლის დასაწყისში პროგრამებში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით:

რეგიონები		მსჯავრდებულთა რაოდენობა
1.	თბილისი	180
2.	ქვემო ქართლი	38
3.	შიდა ქართლი	32
4.	სამცხე-ჯავახეთი	14
5.	იმერეთი	39
6.	აჭარა	51
7.	რაჭა-რეჩხუმი, ქ.სვანეთი	2
8.	სამეგრელო, ზ.სვანეთი	13
9.	გურია	29
10.	კახეთი	6
11.	მცხეთა-მთიანეთი	32
სულ		436



ზემოაღნიშნულ ბენეფიციარებთან მუშაობის პროცესში მათი ჩართულობა პროგრამების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

- ადიქტოლოგია - ჩავარდნის პროფილაქტიკა - 23;
- ეფექტური კომუნიკაცია - 2;
- თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის სატრენინგო მოდული - 10;
- საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროგრამა - 7;
- საინფორმაციო ხასიათის ტრენინგი - 4;
- სოციალური გარემოში ადაპტაციის პროგრამა - 7;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა - 1;
- ცხოვრებისეული ფასეულობები - 38;
- მომავლის დაგეგმვა - 6;
- დანაშაულის გაცნობიერება - 16;
- პენიტენციური სტრესის მართვის სატრენინგო მოდული - 6;
- კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა - 1;
- ბრაზის მართვა - 12;
- პოზიტიური აზროვნების პროგრამა - 1;
- აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება - 7;
- ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა - 4.

დასაქმების ძირითად სფეროს წარმოადგენდა სამშენებლო სამუშაოები, ხის საამქრო, ქალაქის პარკებისა და სკვერების გამწვანება-დასუფთავების სამუშაოები. 2017 წლის დასაწყისში დასაქმებულ მსჯავრდებულთა სტატისტიკა:

N	რეგიონები	სრულწლოვანი	არასრულწლოვანი	საერთო
1.	თბილისი	9	0	9
2.	შიდა ქართლი	0	0	0
3.	მცხეთა-მთიანეთი	1	0	1
4.	ქვემო ქართლი	0	0	0
5.	კახეთი	6	0	6
6.	სამცხე-ჯავახეთი	0	0	0
7.	იმერეთი	5	0	5
8.	გურია	3	0	3
9.	სამეგრელო-ზ.სვანეთი	0	0	0
10.	რაჭა-რეჩხუმი და ქ.სვანეთი	0	0	0
11.	აჭარა	0	0	0
სულ		24	0	24

2013-2016 წლებში დასაქმებულ მსჯავრდებულთა სტატისტიკური მონაცემები:

N	რეგიონები	სრულწლოვანი	არასრულწლოვანი	საერთო
1.	თბილისი	126	0	126
2.	შიდა ქართლი	64	0	64
3.	მცხეთა-მთიანეთი	22	0	22
4.	ქვემო ქართლი	40	0	40
5.	კახეთი	113	0	113
6.	სამცხე-ჯავახეთი	14	0	14
7.	იმერეთი	40	0	40
8.	გურია	10	0	10
9.	სამეგრელო-ზე.სვანეთი	20	0	20
10.	რაჭა-რეჩხუმი და ქ.სვანეთი	1	0	1
11.	აჭარა	28	0	28
სულ		478	0	478

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდებას ძირითადად უზრუნველყოფენ სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები. თუმცა ამ ფუნქციების გარდა, მათ საქმიანობაში (განსაკუთრებით სოციალური მუშაკების) შედის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების (განრიდებისას, სასჯელის დანიშვნისას, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას) მომზადება არასრულწლოვანთა მიმართ; განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების აღსრულების მონიტორინგი; რისკებისა და საჭიროებების შეფასება სხვადასხვა კატეგორიის მსჯავრდებულების მიმართ და ა.შ

პენიტენციური სისტემიდან მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადების ცალკე პროცესია ორგანიზებული იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრთან თანამშრომლობის გზით. არსებობს რამდენიმე სახის დოკუმენტი, სადაც ეს პროცესი არის რეგულირებული - 1. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომელიც მხოლოდ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესს აწესრიგებს; 2. დანაშაულის პრევენციის ცენტრის დებულება; 3. დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა და მისი განხორციელების წესი<sup>50</sup>; 4. თანამშრომლობის მემორანდუმი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და იუსტიციის შორის.

<sup>50</sup> <http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/aqtebi/programa.pdf>

დანაშაულის პრევენციის ცენტრის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია<sup>51</sup>, რაც ხორციელდება მისი ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის - ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველოს მიერ. აღნიშნული სამმართველოს ფუნქციებს წარმოადგენს<sup>52</sup>:

- ყოფილ პატიმართათვის საჭირო სერვისების იდენტიფიკაცირება და არსებული სერვისების შესახებ მათი ინფორმირება, ცენტრისადმი მომართვიანობის გაზრდა, მათ შორის პენიტენციურ დაწესებულებებში რეგულარული ვიზიტების განხორციელების გზით;
- ყოფილი პატიმრების მომართვიანობის აღრიცხვა/გადანაწილება, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი, ბენეფიციარების შეფასება, მათი საჭიროებების გამოკვეთა და პროცესის მონიტორინგი;
- ბენეფიციარების და/ან მათი ოჯახის წევრებისთვის საჭიროებებზე მორგებული სერვისების მიწოდება;
- სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, ეფექტიანი რეფერალური სისტემის განვითარების ხელშეწყობა;
- პროგრამაში ჩართული სპეციალისტების მუშაობის ერთიანი სტანდარტების დანერგვა/განვითარება, პროფესიული ზრდის ხელშეწყობა და მათ საქმიანობაზე ზედამხედველობა;
- სატრენინგო მოდულების შექმნა, ტრენინგ-სემინარების დაგეგმვა და განხორციელება;
- ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში აქტიურ მონაწილეობა;
- ყოფილი პატიმრების დასაქმების მიზნით სოციალური საწარმოების შექმნა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა.

არასრულწლოვანთა მარლთმსაჯულების კოდექსის თანახმად, საპატიმრო სასჯელის არანაკლებ ორი მესამედის მოხდის შემდეგ, მაგრამ განთავისუფლებამდე არაუგვიანეს 3 თვისა, პენიტენციური დაწესებულება ატყობინებს არასრულწლოვან მსჯავრდებულს, მის კანონიერ წარმომადგენელს და დანაშაულის პრევენციის ცენტრს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის განთავისუფლების მოახლოებულ თარიღს.<sup>53</sup>

გარდა ამისა, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია არასრულწლოვანი ჩართოს განთავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში<sup>54</sup> და

<sup>51</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №16 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ, მ.2 (1,ბ).

<sup>52</sup> იქვე, მ.11

<sup>53</sup> არასრულწლოვანთა მარლთმსაჯულების კოდექსი, მ.98, 1 (ა)

<sup>54</sup> იქვე, მ.98, 1 (ბ)

მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში ამზადებს სოციალური ჩართულობის საქმეს დანაშაულის პრევენციის ცენტრისთვის გადასაცემად.

განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში დანაშაულის პრევენციის ცენტრის წარმომადგენლები ხვდებიან არასრულწლოვანს დაწესებულებაში და იღებენ ყველა საჭირო ზომას, რათა არასრულწლოვნისთვის გასაგები იყოს მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმის პირობები და საჭიროება. გარდა ამისა, ეცნობიან არასრულწლოვნის სოციალური ჩართულობის საქმეს.<sup>55</sup>

განთავისუფლების შემდეგ არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ მათთვის მიმართვის შემთხვევაში ამტკიცებენ მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმას მიმართვიდან არაუგვიანეს 3 თვისა.<sup>56</sup> დანაშაულის პრევენციის ცენტრი კოორდინაციას უწევს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდიდან სულ მცირე 6 თვის განმავლობაში<sup>57</sup>. გარდა ამისა, კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვნის საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის მის პრაქტიკულ და ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციის ცენტრი.<sup>58</sup>

დანაშაულის პრევენციის ცენტრი, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ახორციელებს საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო და დასაქმების შემდეგი სახის პროგრამებს - იურიდიული კონსულტაცია; ფსიქოლოგიური მომსახურება; არაფორმალური განათლება; სპორტულ-კულტურული და სარეაკრეაციო აქტივობები; პროფესიული გადამზადება; დასაქმების ხელშეწყობა. აღნიშნული პროგრამები ხორციელდება დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური სამსახურისა და სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. აღნიშნული პროგრამებით, 2013-2016 წლებში ისარგებლა 1750 ბენეფიციარმა.

დანაშაულის პრევენციის ცენტრში ცალკე ხორციელდება ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა. 2017 წლის 1 იანვრიდან მარტის თვის ჩათვლით აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 372 ბენეფიციარმა. კერძოდ:

ქალაქი/რეგიონი	ბენეფიციარების რაოდენობა	კაცი	ქალი
თბილისი	205	169	36
ქუთაისი	72	65	7
ზუგდიდი	55	57	7

<sup>55</sup> იქვე, მ.98, 2 (ა,ბ,გ)

<sup>56</sup> იქვე, მ.98 2 (დ)

<sup>57</sup> იქვე, მ.99, 2

<sup>58</sup> იქვე, მ.99, 3

ბათუმი	38	29	9
სულ			

## ძირითადი დასკვნები

სიტუაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადებისას, ამ პროცესში ჩართულ უწყებებში ჩამოყალიბებულია არაერთგავროვანი პრაქტიკა და პროცესში იკვეთება საკანონმდებლო ხარვეზები. კერძოდ:

- სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი ხორციელდება მხოლოდ რამდენიმე დაწესებულებაში და არ არის ნათლად ჩამოყალიბებული, თუ რა პრინციპით იქნა შერჩეული აღნიშნული დაწესებულებები;
- განთავისუფლებისათვის მომზადების პროგრამები 2013, 2014, 2015 წლებში ხორციელდებოდა სხვადასხვა დაწესებულებებში, ხოლო 2016 წელს - მხოლოდ N11 დაწესებულებაში. არ ჩანს, თუ რა მიზნით მოხდა აღნიშნული დაწესებულებების შერჩევა ან/და განთავისუფლებისთვის მომზადების პროგრამების გაუქმება ამ დაწესებულებებში;
- 2013 წელს ვადაზე ადრე და კალენდარულად პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლდა 5084 მსჯავრდებული, ხოლო განთავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში ჩართული იყო მხოლოდ 151 მსჯავრდებული. 2014 წელს ვადაზე ადრე და კალენდარულად პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლდა 3532 მსჯავრდებული, ხოლო განთავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში ჩართული იყო მხოლოდ 379 მსჯავრდებული. 2015 წელს ვადაზე ადრე და კალენდარულად პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლდა 3624 მსჯავრდებული, ხოლო განთავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში ჩართული იყო მხოლოდ 65 მსჯავრდებული. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, განთავისუფლებული მსჯავრდებულების მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ჩართული განთავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში.
- განთავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში ჩართვის ერთადერთ კრიტერიუმად მითითებულია მსჯავრდებულის სურვილი და ერთ წელზე ნაკლები სასჯელის არსებობა. ამის გათვალისწინებით, არ არის ნათელი, აღნიშნული პროგრამების გაუქმების/შეწყვეტის მიზეზი არის მსჯავრდებულების სურვილის არარსებობა, თუ სხვა რამ. ასევე შესაფასებელია, რა გამოცდილებაზე დაყრდნობით იქნა შემუშავებული აღნიშნული კრიტერიუმები;
- იკვეთება უწყებებს შორის ფუნქციების გადაფარვის პრობლემა და ასევე საკანონმდებლო დონეზე არსებული ბუნდოვანება. კერძოდ, თუ პირს დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთაც და პირობითი მსჯავრიც, იგი შესაძლოა გათავისუფლდეს როგორც ვადაზე ადრე, ასევე კალენდარულად. ამ

შემთხვევაში, არ არის ნათელი, როდის იწყება განთავისუფლებისთვის მზადების პროცესი, ვადაზე ადრე განთავისუფლებამდე 3 თვით ადრე, თუ კალენდარულად განთავისუფლებამდე 3 თვით ადრე. ასევე, არასრულწლოვან და ქალ მსჯავრდებულთა შემთხვევაში, კალენდარულად განთავისუფლებამდე, არ არის ნათელი, ვინ ერთვება განთავისუფლებისთვის მზადების პროცესში - პრობაციის ეროვნული სააგენტო, დანაშაულის პრევენციის ცენტრი თუ ორივე ერთად.

#### **რეკომენდაცია:**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არსებული საკითხების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, მნიშვნელოვანია თვისობრივი კვლევის ჩატარება განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში ჩართულ სუბიექტებს შორის.



მსჯავრდებულთა პენიტენციური  
სისტემიდან განთავისუფლებისათვის  
მომზადების პროცესი, როგორც  
„გარდამავალი მენეჯმენტის“ ნაწილი

*თვისობრივი კვლევა*

## თვისობრივი კვლევა - მსჯავრდებულთა პენიტენციური სისტემიდან განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესი , როგორც „გარდამავალი მენეჯმენტის“ ნაწილი

### შესავალი

კვლევის შედეგების საფუძველზე გაკეთებული ანალიზი ასახავს მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესის მიმდინარეობას და ამ პროცესში არსებულ ტენდენციებს, ასევე ამ მიმართულებით ამ სფეროში არსებული უწყებების სამომავლო ხედვებს. კვლევის მიგნებების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები „გარდამავალი მენეჯმენტის“ პროცესის გაუმჯობესების და ეფექტური, საჭიროებებზე მორგებული სამომავლო ინტერვენციების დაგეგმვის მიზნით.

### კვლევის მეთოდოლოგია

#### კვლევის მიზანი

კვლევის “პენიტენციურ დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესის, როგორც „გარდამავალი მენეჯმენტის“ ნაწილი” ძირითადი მიზანია პენიტენციურ დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესის შეფასება. კვლევის ამოცანებია: პროცესში ჩართული აქტორების დამოკიდებულებების, არსებული პრაქტიკების აღწერა, პროცესის სამართლებრივად მაღალ დონეზე წარმართვის ხელისშემშლელი ფაქტორების (სამართლებრივი, ტექნიკური, სოციალური, გეოგრაფიული და სხვ.) იდენტიფიცირება; იმ საჭიროებების გამოვლენა, რაც პროცესის უკეთ წარმართვისა და ადამიანთა უფლებების სრული დაცვისათვის არის საჭირო.

#### კვლევის განმახორციელებლები:

კვლევა განახორციელეს ორგანიზაციებმა: ა(ა)იპ საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა, ა(ა)იპ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ და ჰოლანდიური ორგანიზაცია „მეინლაინ ფაუნდეიშენი“, 2017 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით.

სამიზნე ჯგუფებად შერჩეული იყო:

- მსჯავრდებულთა განთავისუფლების და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის პროგრამების დაგეგმვა/განხორციელებაზე პასუხისმგებელი რგოლის თანამშრომლები;
- პენიტენციური დეპარტამენტის მენეჯმენტის წარმომადგენლები;
- პრობაციის ეროვნული სააგენტო მენეჯმენტის წარმომადგენლები;
- დანაშაულის პრევენციის ცენტრის მენეჯმენტის წარმომადგენლები.
- მსჯავრდებულთა განთავისუფლების და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის პროცესში ჩართული დაწესებულებების თანამშრომლები;
- N11, N5, N17, N16, N14 პენიტენციური დაწესებულების სოციალური მუშაკები;
- პრობაციის ეროვნული ბიუროს სოციალური მუშაკები;
- დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური მუშაკები.
- მსჯავრდებულთა განთავისუფლების და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის პროგრამებში მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- ყოფილი პატიმრები - მსჯავრდებულთა განთავისუფლების და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის პროგრამებში მომსახურების მიმღებნი.

თვისობრივი კვლევისთვის გამოყენებული იყო ფოკუსირებული ჯგუფური დისკუსიის და ჩაღრმავებული პირისპირ ინტერვიუების მეთოდები წინასწარ შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის) გამოყენებით. თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის შეიქმნა სპეციფიკურად მორგებული კითხვარი, რომელთა შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის „თანადგომა“, ორგანიზაციის „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ და ჰოლანდიური ორგანიზაცია „მეინლაინ ფაუნდეიშენის“ ექსპერტებმა. კითხვარებმა მოიცვა შემდეგი თემები:

- მსჯავრდებულთა განთავისუფლებისთვის მომზადების პროცესში და ყოფილ მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო-დასაქმების პროგრამებში პენიტენციური დეპარტამენტის, პრობაციის ეროვნული სააგენტოს და დანაშაულის პრევენციის ცენტრის ჩართულობა;
- მსჯავრდებულთა განთავისუფლებისთვის მომზადების პროცესში სხვადასხვა უწყებების თანამშრომლობა;
- მსჯავრდებულთა განთავისუფლებისთვის მომზადების პროცესის და ყოფილ მსჯავრდებულთა/პრობაციონერთა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო-დასაქმების პროგრამების მიმდინარეობა;
- მსჯავრდებულთა განთავისუფლებისთვის მომზადების პროცესის და ყოფილ მსჯავრდებულთა/პრობაციონერთა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო-დასაქმების პროგრამების მიმდინარეობის მონიტორინგი და შეფასება;

- რესპონდენტთა მხრიდან მსჯავრდებულთა განთავისუფლებისთვის მომზადების პროცესის და ყოფილ მსჯავრდებულთა/პრობაციონერთა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო-დასაქმების პროგრამების განვითარების სამომავლო ხედვები და რეკომენდაციები.

რესპონდენტთა შერჩევისთვის გამოიყენებულ იქნა არაალბათური შერჩევის მეთოდი - Nonprobability Convenience Sampling, რომლის დროს კვლევაში მონაწილეობის მიღება შესთავაზეს ნებისმიერ პირს, რომელიც მიეკუთვნებოდა საკვლევ ჯგუფებს და ხელმისაწვდომი იყო მკვლევრებისთვის.

კვლევისათვის მონაწილეების შერჩევის კრიტერიუმებად განისაზღვრა:

- კვლევაში მონაწილეობის სურვილი;
- მონაწილის შესაბამისობა კვლევის სამიზნე ჯგუფის მახასიათებლებთან;
- ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც რესპონდენტს საშუალებას მისცემდა, მონაწილეობა მიეღო კვლევაში.

კვლევის რესპონდენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- პენიტენციური დეპარტამენტის მენეჯმენტის წარმომადგენლები - 2 რესპონდენტი;
- პრობაციის ეროვნული სააგენტოს მენეჯმენტის წარმომადგენლები - 2 რესპონდენტი;
- დანაშაულის პრევენციის ცენტრის მენეჯმენტის წარმომადგენლები - 2 რესპონდენტი;
- N11, N5, N17, N16, N14 პენიტენციური დაწესებულების სოციალური მუშაკები - 5 რესპონდენტი;
- პრობაციის ეროვნული ბიუროს სოციალური მუშაკები - 5 რესპონდენტი;
- დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური მუშაკები - 5 რესპონდენტი;
- პენიტენციური დაწესებულებებიდან განთავისუფლებული ყოფილი პატიმრები - 14 რესპონდენტი;
- მსჯავრდებულთა განთავისუფლების პროცესის ფარგლებში სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები - 14 რესპონდენტი (2 ფოკუს ჯგუფი).

სულ კვლევის განმავლობაში ჩატარდა 35 ჩადრმავებული ინტერვიუ და 2 ფოკუსირებული დისკუსია.

მონაწილეთა ნაწილის რეკრუტირება მოხდა იმ უწყებების დახმარებით, რომლებსაც ისინი წარმომადგენდნენ (მაგალითად, სამინისტროს დეპარტამენტების მენეჯმენტის წარმომადგენლები და სოციალური მუშაკები, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების

წარმომადგენლები), ხოლო ყოფილი პატიმრები რეკრუტირდნენ კვლევის განმახორციელებელი ორგანიზაციების სათანადოდ მომზადებული პერსონალის მიერ, იმ პირობაზე, რომლებიც ხელმისაწვდომი იყვნენ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში. რეკრუტირებულებს გასაგებად განემარტათ კვლევის მიზნები, კვლევაში მონაწილეობის პროცედურები და პირობები მონაწილის სიტყვიერი თანხმობის ფორმის მიხედვით და შეეთავაზათ კვლევაში მონაწილეობა. მონაწილეობაზე ზეპირი თანხმობის მიღების შემდგომ რეკრუტერი რეკრუტირებულის თანდასწრებით აწერდა ხელს აღნიშნულ ფორმას და ამისამართებდა ინტერვიუზე.

ინტერვიუებს და დისკუსიებს უძღვებოდნენ ხარისხობრივი კვლევების ჩატარებაში გამოცდილი ფასილიტატორი/ექსპერტები. ინტერვიუები და ფოკუსირებული დისკუსიები ფიქსირდებოდა აუდიოჩამწერით, რომლის გამოყენებაზეც წინასწარ იყო მიღებული სიტყვიერი თანხმობა კვლევის მონაწილეებისაგან. კვლევა წარმოებდა ანონიმურობისა და კონფიდენციალობის სრული დაცვით.

ჩაღრმავებული ინტერვიუების/ფოკუსირებული დისკუსიების ჩანაწერები აისახა ტრანსკრიპტებში და გაანალიზდა თვისობრივი კვლევის შედეგების დამუშავების სპეციალისტის მიერ.

## კვლევის შედეგები

თვისობრივი კვლევისას შეფასდა სხვადასხვა სახის კომპონენტები, რომელიც მნიშვნელოვანია მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესის ორგანიზებისთვის. კერძოდ, ინდივიდუალური მიდგომა, სერვისები, უწყებათაშორისი კომუნიკაცია და ხარისხის კონტროლის სისტემა. ეს საკითხები შეფასდა ყველა იმ უწყებაში, რომელსაც ძირითადი ფუნქცია აკისრია მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესში - პენიტენციურ დეპარტამენტი, პრობაციის ეროვნულ სააგენტო და დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

კვლევის შედეგების საფუძველზე გაკეთებული ანალიზი ასახავს მსჯავრდებულთა განთავისუფლებისთვის მომზადების პროცესის მიმდინარეობას და, ამ მიმართულებით, ამ სფეროში არსებული უწყებების სამომავლო ხედვებს. მოცემულ ანგარიშში კვლევის ძირითადი მიგნებები და დასკვნები სტრუქტურირებულია საკვლევი თემატიკის და მსჯავრდებულთა განთავისუფლებისთვის მომზადების პროცესში მონაწილე სტრუქტურების ჩართულობის მიხედვით. მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები „გარდამავალი მენეჯმენტის“ პროცესის გაუმჯობესების და ეფექტური, საჭიროებებზე მორგებული სამომავლო ინტერვენციების დაგეგმვის მიზნით.

## ინდივიდუალური მიდგომა

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მსჯავრდებულთა სარეზილიტაციო პროცესის ორგანიზება უნდა იყოს აგებული სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაზე და ასეთი სახის გეგმები უნდა მოიცავდეს: მსჯავრდებულთა დასაქმებას, განათლებას და მათ შორის განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესს.<sup>59</sup> „პატიმრობის დასაწყისიდანვე საჭიროა იმ პერიოდზე ფიქრი, რომელიც ელის პატიმარს ციხიდან გამოსვლის შემდეგ. ამიტომ მას უნდა გაეწიოს დახმარება იმ პირებთან და უწყებებთან ურთიერთობების შენარჩუნებასა და გამყარებაში, რომლებიც ციხის გარეთ არიან და რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან მისი ოჯახის ინტერესები და ხელი შეუწყონ მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას განთავისუფლების შემდეგ“<sup>60</sup>.

ინდივიდუალური დაგეგმვა სასჯელის მოხდის ეფექტიანად ორგანიზების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. როგორც წესი, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის ნაწილს წარმოადგენს მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადების ეტაპიც. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მსჯავრდებულის განთავისუფლებისათვის მომზადება სასჯელის მოხდის ერთიანი გეგმის ნაწილად იქნეს განხილული. ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესის ეფექტიანად ორგანიზება მნიშვნელოვანია როგორც პენიტენციურ სისტემაში, ასევე მსჯავრდებულის განთავისუფლების შემდეგ.

### ა) პენიტენციური დეპარტამენტი

„საქართველოს პატიმრობის კოდექსში“ აღნიშნულია, რომ „საქართველოში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება ხორციელდება კანონიერების, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპებზე დაყრდნობით“<sup>61</sup>. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N33 ბრძანების საფუძველზე<sup>62</sup>, დამტკიცებულია სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია. აღნიშნულ ბრძანებაში მითითებულია, რომ სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა ხორციელდება:

ა) N5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში;

<sup>59</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წვერი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), წესი 103.4.

<sup>60</sup> იქვე, წესი 107.

<sup>61</sup> პატიმრობის კოდექსი, მ. 1 (2)

<sup>62</sup> სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N33, მ.3



ბ) N6 პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში;

გ) N16 დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

ამავე ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს ყველა დაწესებულებაში 2017 წლის 31 დეკემბრამდე. შესაბამისად 2018 წლის დასაწყისიდან ყველა დაწესებულებაში უნდა იყოს დანერგილი ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი და ამ დაწესებულებებმა უნდა იხელმძღვანელონ ზემოთ აღნიშნული ინსტრუქციით, გარდა N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებისა.<sup>63</sup>

არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში, ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესს არეგულირებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №132/№95/ №23 - ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ.

სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე, 2017 წლის დასაწყისში სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა ხორციელდებოდა N5, N8, N11, N12, N15, N16, N17, N18 და N19 პენიტენციურ დაწესებულებებში. სრულწლოვნებისთვის სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა დაიწყო 2015 წელს, ხოლო არასრულწლოვნებისთვის 2010 წლიდან. 2015-2016 წლებში ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი ხორციელდებოდა N5, N8, N12, N16, N17, N18 და N19 დაწესებულებებში.

ცხრილში მოცემულია - 2015-2016 წლებში ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა (სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით).

პენიტენციური დაწესებულება	ინდივიდუალურ დაგეგმვის პროცესში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა 2015 წლის 31 დეკემბერს <sup>64</sup>
N5 დაწესებულება	173	294
N8 დაწესებულება	17	2327
N12 დაწესებულება	20	267
N16 დაწესებულება	153	80
N17 დაწესებულება	10	1901

<sup>63</sup> იქვე, მ.3 (2)

<sup>64</sup>[http://www.moc.gov.ge/images/files/pdf/text\\_14550774211.pdf](http://www.moc.gov.ge/images/files/pdf/text_14550774211.pdf)

N18 დაწესებულება	2	110
N19 დაწესებულება	4	116
N11 დაწესებულება	70	16

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე - 2017 წლის დასაწყისში ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა:

პენიტენციური დაწესებულება	ინდივიდუალურ დაგეგმვის პროცესში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა 2017 წლის 31 იანვარს
N5 დაწესებულება	189 <sup>65</sup>	259
N8 დაწესებულება	25	2308
N12 დაწესებულება	25	281
N16 დაწესებულება	81	91
N17 დაწესებულება	19	1882
N18 დაწესებულება	2	106
N19 დაწესებულება	4	88
N11 დაწესებულება	9	10

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა, უკვე 2017 წლიდან ხორციელდება N5, N8, N11, N12, N15, N16, N17, N18, N19 დაწესებულებებში. უნდა ითქვას, რომ პენიტენციური დაწესებულებების უმრავლესობაში იკვეთება აშკარა სხვაობა და დისბალანსი, მსჯავრდებულთა რაოდენობასა და ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართულ პირებს შორის.

თვისობრივი კვლევისას, კვლევის მონაწილეთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ იყო ერთგვაროვანი. სხვადასხვა აზრი გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა განთავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა ინდივიდუალური დაგეგმვის ნაწილი. რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ განთავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა, ინდივიდუალური დაგეგმვის ნაწილია, ხოლო მეორე ნაწილმა კი განაცხადა, რომ განთავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა არ არის ინდივიდუალური დაგეგმვის ნაწილი და შესაძლოა მის გარეშეც ფუნქციონირებდეს.

<sup>65</sup> აქედან ერთი არასრულწლოვანი გოგონა.

მნიშვნელოვანია, რომ ამ კუთხით არსებობდეს ერთგვაროვანი მიდგომები პენიტენციური დაწესებულებებში, ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი თუ რა სახის კომპონენტებს შესაძლოა შეიცავდეს.

თვისობრივი კვლევისას სხვადასხვა აზრი გამოითქვა ასევე იმასთან დაკავშირებით, თუ სად ხორციელდება ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი. კვლევაში მონაწილე რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი ხორციელდება ყველგან, ხოლო მეორე ნაწილმა კი განაცხადა, რომ ხორციელდება ყველგან, გარდა N7 და N9 პენიტენციური დაწესებულებებისა. გარდა ამისა, რესპონდენტების ნაწილმა ასევე განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე, სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვაში ჩართვის მიზნით, შერჩეულ იქნა გარკვეული სამიზნე ჯგუფი - ე.წ „სუიციდის პროგრამაში“ ჩართული მსჯავრდებულები და სსკ-ს 126<sup>1</sup> მუხლით გასამართლებული პირები (ოჯახური და გენდერული ძალადობა).

## რესპონდენტი -1

*„გამომდინარე იქიდან, რომ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა ეხება უკვე ყველა დაწესებულებას, ყველა დაწესებულებაში დანერგილია, მაგრამ გარკვეული მიზნობრივი ჯგუფები იყო აუცილებელი, რომ ჩვენ მითითება მიგვეცა დაწესებულებებისთვის, რომ ვიწყებთ აქედან და ნელ-ნელა ვრთავთ, დავუშვავთ, დანარჩენებს, ამიტომ ვიმსჯელებთ და მივედით ესეთ გადაწყვეტილებამდე, რომ იმას, ვისაც 2017 წელს დაედო მსჯავრი, ის, ვინც სუიციდის პროგრამაშია ჩართული, იმიტომ რომ განსაკუთრებულად მოწყვლადია და ის, ვინც არის 126<sup>1</sup> მუხლით გასამართლებული, ეს ოჯახურ და გენდერულ ძალადობას ეხება და ამ კუთხითაც ჩვენ განსხვავებული და განსაკუთრებული ვალდებულებები გვაქვს პატიმრობის კოდექსით. და ამიტომ, ჯერ ჩავრთეთ ეს მოწყვლადი ჯგუფები. ამ ეტაპისთვის დაწესებულებებს დაფარული აქვთ უკვე ეს მიზნობრივი ჯგუფები“.*

თვისობრივმა კვლევამ არ გამოავლინა ერთგვაროვანი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ პენიტენციურ დაწესებულებებში ხორციელდება ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი. როგორც უკვე აღინიშნა, მიღებული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე ეს პროცესი 9 პენიტენციურ დაწესებულებაში ფუნქციონირებს, ხოლო თვისობრივი კვლევისას რესპონდენტები კიდევ უფრო განსხვავებულ ინფორმაციას იძლევიან ამ საკითხთან დაკავშირებით (ყველა პენიტენციურ დაწესებულება/ყველა დაწესებულება, გარდა N7 და N9 დაწესებულებებისა).

რესპონდენტების ნაწილმა განმარტა, რომ ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში პირველ ეტაპზე ჩართეს გარკვეული სამიზნე ჯგუფი - „სუიციდის პროგრამაში“ ჩართული მსჯავრდებულები და სსკ-ს 126<sup>1</sup> მუხლით გასამართლებული

პირები (ოჯახური და გენდერული ძალადობა). როგორც ადამიანური რესურსების, ისე სერვისების სიმცირის გამო, ლოგიკურია სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში, პირველ ეტაპზე, გარკვეული სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა, განსაკუთრებით დიდი ზომის პენიტენციურ დაწესებულებებში. გარდა ამისა, კანონმდებლობის დონეზე განსაზღვრულია ვალდებულებები ოჯახური ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზების კუთხით.<sup>66</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ცალკე გამოვყოთ და ზოგადად მიმოვიხილოთ ის დაწესებულებები, სადაც ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი პირველ ეტაპზე დაიწყო - N5 ქალთა, N11 არასრულწლოვანთა და N16 დაბალი რისკის პენიტენციური დაწესებულებები. შეიძლება ითქვას, რომ ეს დაწესებულებები, ინფრასტრუქტურული შესაძლებლობით და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, სხვა პენიტენციურ დაწესებულებებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაშია, რაც, შესაძლოა, გახდა იმის საფუძველი, რომ პირველ ეტაპზე ეს დაწესებულებები შერჩეულიყო.<sup>67</sup>

### ქალთა N5 სპეციალური პენიტენციური დაწესებულება

ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში განთავსებულნი არიან ქალი ბრალდებულები/მსჯავრდებულები, მათ შორის, არასრულწლოვნები.<sup>68</sup> 2017 წლის სექტემბრის ბოლოს აღნიშნულ დაწესებულებაში განთავსებული იყო 258 ბრალდებული/მსჯავრდებული.<sup>69</sup>

რესპონდენტების მხრიდან მიღებული ინფორმაცია N5 პენიტენციურ დაწესებულებაში ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებით არ იყო ერთგვაროვანი. რესპონდენტების ნაწილის განცხადებით, ქალთა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს 2016 წლიდან, თუმცა, ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, ინდივიდუალური დაგეგმვით რაიმე განსაკუთრებული არ ხდება და ეს პროცესი რომც არ არსებობდეს, კონკრეტული სერვისების მიწოდებას მაინც შეძლებდნენ ბენეფიციარებისთვის. ასეთ პრაქტიკას ასევე ადასტურებს ერთ-ერთი ბენეფიციარი, ხოლო სხვა ბენეფიციარმა, რომელიც სასჯელს იხდიდა აღნიშნულ დაწესებულებაში, განაცხადა, რომ არ მიუღია მონაწილეობა ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში. ერთ-ერთმა ბენეფიციარმა კი განაცხადა, რომ დაწესებულებაში სხვადასხვა პროგრამაში ჩართვისათვის საკმარისი იყო მხოლოდ სურვილის გამოხატვა და ამას წინ არ უძღვოდა რაიმე სახის საჭიროებების შეფასება.

<sup>66</sup> პატიმრობის კოდექსი, მ.118 (7).

<sup>67</sup> <http://ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf>.

<sup>68</sup> საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.12<sup>9</sup>.

<sup>69</sup> <http://www.moc.gov.ge/images/temp/2017/11/06/f4e6d9301354a31783f64d874a7af8c0.pdf>.

## რესპონდენტი -9

„ფსიქოლოგი ინდივიდუალურად იყო ყოველთვის, დახურულში იყო ინდივიდუალურად, სოც. მუშაკს გავყავდით და გვესაუბრებოდა, თუ რაიმე გვჭირდებოდა, ასევე ფსიქოლოგთან. შემდეგ უკვე ღია დაწესებულებაში. თუ რაიმეს გავიგებდი, მე მივდიოდი, ანუ თუ იყო რამე ტრენინგი, ან ლექცია, დაგვიძახებდნენ. და ზოგი უარს ამბობდა, ეზარებოდათ. ან არ აინტერესებდათ, მე სულ მივდიოდი, არ გამომიტოვებია არაფერი“.

როგორც უკვე აღინიშნა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N33 ბრძანებით, დამტკიცებულია ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია და ინსტრუმენტები, რის მეშვეობითაც უნდა ხდებოდეს პირის რისკისა და საჭიროებების შეფასება და ამის საფუძველზე შესაბამისი სერვისების შეთავაზება. მიუხედავად ამ რეგულაციებისა, ერთ-ერთი სერვისის მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, რომ მათი პროექტების განხორციელებისას დამატებით ხდება მსჯავრდებულთა შეფასება, მათ მიერ მიწოდებული კითხვარების საფუძველზე. ერთ-ერთი რესპონდენტი ასეთი სახის პრაქტიკას, როცა ორჯერ ხდება მსჯავრდებულების შეფასება უარყოფითად აფასებს.

## რესპონდენტი -1

„შეფასება თვითონ ადმინისტრაციის მიერ ალბათ ხდება ერთხელ. მაგრამ თუ მათ მიერ გადმოცემულ შეფასებაში არ არის ისეთი საკითხები, რომელიც ჩვენ გვაქვს შესაფასებელი, დავუშვათ, არის საჭიროება და გამორჩათ ან სხვა გარემოების გამო არ მომხდარა, მაშინ ჩვენ კითხვარში ვითვალისწინებთ. ან შეიძლება პირიქითაც იყოს და ჩვენ არ გვქონდეს ის საკითხი, რაც მათ შეფასებული აქვთ, მაშინ ჩვენ ვამატებთ. მათ მოთხოვნებსაც ვითვალისწინებთ და ჩვენც შეგვაქვს ჩვენი შედეგები - შეჯერება ხდება“.

## რესპონდენტი -2

„კვლევასთან დაკავშირებით მინდოდა მეთქვა - მესმის ეხლა რა პროცედურასაც აღწერთ, თუმცა მგონია, რომ თუ დაწესებულების შიგნით სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა არსებობს, დამატებითი კვლევა არ არის საჭირო, ვინაიდან სოციალურმა მუშაკმა ზუსტად უნდა იცოდეს, რა სერვისი ჭირდება მსჯავრდებულს და სად უნდა გადაამისამართოს ის“.



თვისობრივი კვლევისას იკვეთება, რომ მსჯავრდებულთა საჭიროებების შეფასება ხორციელდება ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში, თუმცა, ასევე, არის შემთხვევები, რომ სერვისის მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების თხოვნით, ცალკე, დამატებით ხდება მსჯავრდებულთა საჭიროებების განსაზღვრა. ზოგიერთმა რესპონდენტმა ასევე აღნიშნა, რომ კონკრეტულ პროგრამებში ჩართვის მიზნით, საჭიროებების შეფასება არ ხდება და დამოკიდებულია მხოლოდ მსჯავრდებულთა სურვილზე. მსჯავრდებულთა საჭიროებების ორჯერ, თუნდაც მრავალჯერ შეფასება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს და პრაქტიკას, თუმცა მიზანშეწონილია, მსჯავრდებულთა შეფასების პროცესი მიმდინარეობდეს ერთიანი რეგულირების ფარგლებში, რაც რესურსების ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას მოგვცემს.

### **N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება**

არასრულწლოვანი ბრალდებული, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა იქნა გამოყენებული, თავსდება პატიმრობის დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში (N2 ან/და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში), ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელის სახით დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა – არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.<sup>70</sup> არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში 2017 წლის სექტემბრის ბოლოს განთავსებული იყო 20 მსჯავრდებული.<sup>71</sup> არასრულწლოვანი გოგონები თავსდებიან N5 ქალთა სპეციალური დაწესებულებაში.

სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა არასრულწლოვანთა დაწესებულებაში დაიწყო ყველაზე ადრე, 2010 წლიდან. ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესის ორგანიზების მიზნით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ შემუშავებული იყო ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია<sup>72</sup>, რომლითაც ხელმძღვანელობდა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაცია. ამჟამად აღნიშნულ პროცესს არეგულირებს სხვა ნორმატიული აქტი.<sup>73</sup>

თვისობრივი კვლევისას სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი N11 პენიტენციურ დაწესებულებაში რესპონდენტების უმრავლესობამ ერთგვაროვნად შეაფასა. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ დაწესებულებაში ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ყველა მსჯავრდებული არის ჩართული. ინდივიდუალური

<sup>70</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.79 (1).

<sup>71</sup> <http://www.moc.gov.ge/images/temp/2017/11/06/f4e6d9301354a31783f64d874a7af8c0.pdf>.

<sup>72</sup> საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №19 სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

<sup>73</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №132/№95/ №23 - ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ.



დაგეგმვის პროცესში და სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულობას აღნიშნავენ ასევე ბენეფიციარები.

#### რესპონდენტი -1

„სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ერთვება ყველა მსჯავრდებული. კერძოდ, მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში შემოსვლისას დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც იწყებს მსჯავრდებულთან მუშაობას. მულტიდისციპლინურ გუნდში შედის სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი განათლების განხრით, ექიმი და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელი, რომელთაგან სოციალური მუშაკი წარმოადგენს გუნდის კოორდინატორს“.

#### რესპონდენტი -8

„ადმინისტრაციიდანაც იყო შემოთავაზებები და ფსიქოლოგების მხრიდანაც, მაგრამ უმეტესწილად ფსიქოლოგები აქტიურობდნენ, იმიტომ, რომ ბავშვს არ დაეკარგა ადამიანური სახე, ასე ვთქვათ, მოემზადებინა იმისთვის, რომ გარეთ ნორმალურად ეცხოვრა, რომ ყოფილიყო სრულფასოვანი ბავშვი... ბევრი ღონისძიებები იგეგმებოდა“

#### N16 დაბალი რისკის პენიტენციური დაწესებულება

N16 პენიტენციურ დაწესებულება არის დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება.<sup>74</sup> 2017 წლის სექტემბრის ბოლოს აღნიშნულ დაწესებულებაში განთავსებული იყო 135 მსჯავრდებული.

N16 დაბალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებას, სხვა პენიტენციური დაწესებულებებისგან განსახვავებით (სადაც სრულწლოვანი მამაკაცი ბრალდებულები/მსჯავრდებულები თავსდებიან) განსხვავებული ორგანიზაციული სტრუქტურა აქვს და შეიძლება ითქვას, რომ ფუნქციურად ყველაზე მეტად არის ორიენტირებული საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესზე. „დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებული თავსდება მისი წერილობითი თანხმობით, რომელშიც აღინიშნება, რომ იგი თანახმაა, შეასრულოს დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისთვის დადგენილი

<sup>74</sup> სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N71, მ.2(2).

ვალდებულებები, კერძოდ, ისწავლოს ან/და იმუშაოს, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში“.<sup>75</sup>

თვისობრივი კვლევისას სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი N16 პენიტენციურ დაწესებულებაში რესპონდენტების უმრავლესობამ ერთგვაროვნად შეაფასა. რესპონდენტების განცხადებით, N16 დაწესებულებაში ყველა მსჯავრდებულის მიმართ ხორციელდება სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი, ვინაიდან მსჯავრდებულთა მცირე რაოდენობა ამის შესაძლებლობას იძლევა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა დეტალურად აღწერა ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი, სადაც მონაწილეობს მულტიდისციპლინური გუნდი.

## რესპონდენტი -1

“ჩვენი დაწესებულება არის დაბალი რისკის და ყველა ბენეფიციარის მიმართ მიმდინარეობს სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა. ვინაიდან დაწესებულება მცირე ზომისაა, შესაძლებლობა გვაქვს, ყველას მიმართ განვახორციელოთ აღნიშნული პროცესი. ბენეფიციარის დაწესებულებაში შემოსვლიდან ერთი თვის ვადაში უკვე დგება სასჯელის ინდივიდუალური გეგმა. ამ პერიოდის განმავლობაში მსჯავრდებულს ხვდება ქეის მენეჯერი, სოციალური მუშაკი (ასეთი სოციალური მუშაკი დაწესებულებაში სულ სამია). სოციალური მუშაკი მსჯავრდებულს თავდაპირველად აცნობს, თუ რა არის ეს ინდივიდუალური დაგეგმვა და რაში დაეხმარება მას. შემდეგ ხორციელდება მსჯავრდებულის შეფასება, როგორც სოციალური მუშაკის, ასევე ფსიქოლოგის, რეჟიმის წარმომადგენლის და ექიმის მიერ. ამის შემდეგ სოციალური მუშაკი იწვევს მულტი ჯგუფს და აცნობს ინფორმაციას ჯგუფის სხვა წევრებს, კერძოდ, ფსიქოლოგს, ექიმს და რეჟიმის წარმომადგენელს და ხორციელდება მსჯავრდებულის შეფასება. მანამდე ამ ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობს მსჯავრდებულთან ინტერვიუები და პირადი საქმის დამუშავება, რომ ყველა ინფორმაციამ ერთად მოიყაროს თავი და ერთი თვის თავზე შეჯამდეს. ეს ინდივიდუალური დაგეგმვა არის შეფასების და მუშაობის პროცესი, როცა სწავლობ ბენეფიციარის საჭიროებებს და საჭიროებებზე დაყრდნობით ადგენ ერთწლიან ინდივიდუალურ გეგმას“.

## N17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება

N17 პენიტენციური დაწესებულება არის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, სადაც სასჯელის მოსახდელად, როგორც წესი, განთავსებულნი არიან ის მსჯავრდებულები, რომელთაც განესაზღვრათ ნახევრად ღია ტიპის/დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდა ან რისკების შეფასების გუნდის მიერ განესაზღვრათ საშიშროების

<sup>75</sup> პატიმრობის კოდექსი, მ.60, (2).

საშუალო/მომეტებული რისკი და დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით გადაყვანილ იქნენ დაწესებულებაში.<sup>76</sup> 2017 წლის სექტემბრის ბოლოს აღნიშნულ დაწესებულებაში განთავსებული იყო 1946 მსჯავრდებული.<sup>77</sup>

N5, N11 და N16 დაწესებულებებისგან განსახვავებით, N17 პენიტენციური დაწესებულება არის დიდი ზომის პენიტენციური დაწესებულება, სადაც განთავსებულია 2000-მდე მსჯავრდებული. აღნიშნული დაწესებულება მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ზემოაღნიშნულ დაწესებულებებს რესურსების (ინფრასტრუქტურა; პერსონალი; სერვისები და სხვა) თვალსაზრით.<sup>78</sup> აღნიშნული დაწესებულების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია შესაძლებლობას მოგვცემს, ზოგადად გავაანალიზოთ, თუ რა სახის გამოწვევების წინაშე დგას ამ კუთხით დიდი ზომის პენიტენციური დაწესებულებები.

თვისობრივი კვლევისას სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი N17 პენიტენციურ დაწესებულებაში რესპონდენტების უმრავლესობამ მეტ-ნაკლებად ერთგვაროვნად შეაფასა. რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, N17 დაწესებულებაში სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა აქტიურად დაიწყო 2016 წლიდან და ამ პროცესის მართვას ახდენს მულტიდისციპლინური გუნდი. ერთ-ერთმა რესპონდენტმა კი განაცხადა, რომ ძალიან რთულია ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში მსჯავრდებულთა უმეტესობის ჩართვა ადამიანური რესურსების სიმწირის გამო, რის გამოც 2017 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართული იყო მხოლოდ 10 მსჯავრდებული.

ლოგიკურია, განსაკუთრებით დიდი ზომის პენიტენციური დაწესებულებებში, პირველ ეტაპზე, სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში გარკვეულ სამიზნე ჯგუფზე აქცენტის გაკეთება, თუმცა არსებული რესურსების გათვალისწინებით რთულია იმის განსაზღვრა, როგორ უნდა შეძლოს N17 დაწესებულებამ, სადაც განთავსებული იყო 1946 მსჯავრდებული და ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართული იყო მხოლოდ 10 მსჯავრდებული, პროცესის ისე ორგანიზება, რომ ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში, მომავალში ჩართოს მსჯავრდებულთა 50% მაინც.

ანალოგიურად შეიძლება შევაფასოთ N8 დაწესებულებაც, სადაც განთავსებული იყო 2308<sup>79</sup> ბრალდებული/მსჯავრდებული და ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართული იყო 25 მსჯავრდებული; N18 დაწესებულება, სადაც განთავსებული იყო 106<sup>80</sup> ბრალდებული/მსჯავრდებული და ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართული

<sup>76</sup> სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N110 დ.2(2).

<sup>77</sup> <http://www.moc.gov.ge/images/temp/2017/11/06/f4e6d9301354a31783f64d874a7af8c0.pdf>

<sup>78</sup> <http://ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf>

<sup>79</sup> 2017 წლის დასაწყისში.

<sup>80</sup> 2017 წლის დასაწყისში.

იყო 2 მსჯავრდებული; N19 დაწესებულება, სადაც განთავსებული იყო 88<sup>81</sup> მსჯავრდებული და ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართული იყო 2 მსჯავრდებული.

#### ბ) პრობაციის ეროვნული სააგენტო

პრობაციის ეროვნული სააგენტო არის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილება განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი.<sup>82</sup> 2017 წლის სექტემბრის ბოლოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზრუნვისა და კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა 22646 მსჯავრდებული, მათ შორის ისინი, ვისაც სასჯელის სახით განესაზღვრათ: თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; პრობაციის ღონისძიების გამოყენება (პირობითი მსჯავრი; სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება; სასჯელის მოხდის გადავადება; თავისუფლების აღკვეთის შემდეგ საპრობაციო ვადის დანიშვნა).<sup>83</sup>

კანონმდებლობაში განმარტებულია, რომ პრობაციის ეროვნული სააგენტო თავის მიზნებს ახორციელებს მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე, სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური დაგეგმვით, მსჯავრდებულის აუცილებელი ზედამხედველობითა და კონტროლით, მისი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისათვის ხელის შეწყობითა და დახმარებით.<sup>84</sup>

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში არეგულირებს შემდეგი სახის ნორმატიული აქტი: მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N39 ბრძანება. ხოლო არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №132/№95/ №23 - ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ.

<sup>81</sup> 2017 წლის დასაწყისში.

<sup>82</sup> არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის, მ.4 (1)

<sup>83</sup> <http://www.moc.gov.ge/images/temp/2017/11/06/f4e6d9301354a31783f64d874a7af8c0.pdf>

<sup>84</sup> არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის, მ.7(2)

თვისობრივი კვლევისას რესპონდენტების უმრავლესობამ სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ერთგვაროვნად შეაფასა. რესპონდენტების უმრავლესობამ განცხადა, რომ სააგენტოში მიმდინარეობს სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი და ამ პროცესში ხორციელდება მსჯავრდებულების რისკებისა და საჭიროებების შეფასება და შესაბამის პროგრამებში გადამისამართება. მათი განმარტებით, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეები აუცილებლად ეწერებათ სოციალურ მუშაკებს ან ფსიქოლოგს, ხოლო სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში - პრობაციის ოფიცერს, რომელიც აფასებს მათ რისკებსა და საჭიროებებს. მსჯავრდებულის ზიანისა და რისკების შეფასების მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელი სპეციალისტი ერთვება საქმის მართვაში - პრობაციის ოფიცერი, სოციალური მუშაკი თუ ფსიქოლოგი. რესპონდენტების განცხადებით, ფასდება ასევე განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობა. სერვისები დაყოფილია ნებაყოფლობით და სავალდებულო პროგრამებად, სადაც ხდება მსჯავრდებულების გადამისამართება.

### რესპონდენტი 1

„თვითონ ჩვენს სამმართველოში მსჯავრდებულის გადმომისართება ხდება შემდეგნაირად: თუ ყოფილი მსჯავრდებული არასრულწლოვანია, საქმე აუცილებლად ეწერება სოციალურ მუშაკს ან ფსიქოლოგს. საქმის გადმოწერა ხდება პრობაციის ოფიცერის მიერ. სრულწლოვან მსჯავრდებულებს რაც შეეხება, პრობაციის ოფიცერი ადგენს ზიანის რისკის დონეს, რის მიხედვითაც საქმე ეწერება ან ფსიქოლოგს ან სოციალურ მუშაკს“.

### რესპონდენტი 2

„ყოფილ მსჯავრდებულებს შეფასების შემდგომ შეიძლება გავუწეროთ ნებაყოფლობითი და სავალდებულო სარეაბილიტაციო პროგრამები. ნებაყოფლობითი პროგრამის შემთხვევაში მისი სურვილიდან გამომდინარე ვაწვდით მომსახურებას, ხოლო სავალდებულოს შემთხვევაში აუცილებელია ამის გავლა“.

### რესპონდენტი 3

„ჩვენთან არის სასჯელის ინდივიდუალური გეგმა. იმიტომაც ქვია ასე, რომ ყველა ბენეფიციარს ვერ მოვკიდებთ ხელს და ერთნაირად ვერ ვმართავთ. შეიძლება დანაშაული ერთი იყოს, ან ძალადობრივი ქმედება ქონდეს და ერთს დასჭირდეს ფსიქოლოგიც, ფსიქიატრიც და მეორეს სულ არაფერი არ ჭირდებოდეს“.



რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში პრობაციონერთა დაბალი მოტივაცია წარმოადგენს.

#### რესპონდენტი 1

*„პრობლემა ასევე შეიძლება იყოს მოტივაცია, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება დიდი ხანი ვმუშაობდეთ მსჯავრდებულთან. თუმცა მთავარია ერთხელ მაინც მოვიყვანოთ და დავიყოლიოთ აქტიურობაზე“.*

#### რესპონდენტი 2

*„საგანმანათლებლოს რაც შეეხება, ამ მიმართულებით მოტივაციაზე მუშაობა უფრო მეტ სირთულეს წარმოადგენს, ვიდრე ის, რომ რესურსი არ არის. სერვისი ამ მიმართულებით გვაქვს და თუ არის ბენეფიციარის მოტივაცია, რაზეც ხშირად გვიჩვენს მუშაობა, შეგვიძლია რომ გადავამისართოთ და მათ მიიღონ პროფესიული განათლება“.*

პრობაციის ეროვნული სააგენტოში ინდივიდუალური მიდგომის მარეგულირებელი ნორმები არსებობს მხოლოდ სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში. ყველა რესპონდენტი ადასტურებს ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ერთგვაროვანი მიდგომების არსებობას. მათი განმარტებით, ხორციელდება ყველა მსჯავრდებულის ჩართვა ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში, რომელიც ეფუძნება მათი ზიანის რისკის და დანაშაულის ალბათობის შეფასებას, რომლის საფუძველზეც ხდება მსჯავრდებულების გადამისამართება ნებაყოფლობით ან/და სავალდებულო პროგრამებში.



### გ) დანაშაულის პრევენციის ცენტრი

დანაშაულის პრევენციის ცენტრი არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.<sup>85</sup> დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიზნებია:

- ა) საქართველოში დანაშაულის პრევენცია;
- ბ) ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია;
- გ) მედიაციის ინსტიტუციონალური განვითარება.

დანაშაულის პრევენციის ცენტრის ერთ-ერთი ფუნქციაა:

- ა) დანაშაულის პირველად პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება; რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებთან მუშაობა;
- ბ) ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის არსებული პროგრამების ფარგლებში რეფერალის სისტემის შემუშავება, შესაბამისი დახმარების აღმოჩენა და დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობა.<sup>86</sup>

დანაშაულის პრევენციის ცენტრში ყოფილ პატიმრებთან ინდივიდუალური მიდგომა რეგულირდება დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე (დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა და მისი განხორციელების წესი).<sup>87</sup> აღნიშნულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ყოფილ პატიმართა სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვის მიზნით ყველა ბენეფიციართან მიმართებაში დგება ინდივიდუალური მომსახურების გეგმა. აღნიშნული გეგმა წარმოადგენს კონსოლიდირებულ დოკუმენტს, რომელიც მოიცავს ცნობებს შეფასების პროცესში გამოკვეთილი პრობლემების ან/და პრობლემატური გარემოებების, მიზნის მისაღწევად დაგეგმილი ღონისძიებების, საჭირო რესურსების, პასუხისმგებელი პირებისა და განხორციელების ვადების შესახებ.<sup>88</sup> აღნიშნული წესი ასევე ვრცელდება არასრულწლოვან ყოფილ პატიმრებთან მიმართებაში, მხოლოდ იმ გამონაკლისით, რომ

<sup>85</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება - საჯაროსამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ, მ.1 (1)

<sup>86</sup> იქვე, მ.2

<sup>87</sup> <http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/aqtebi/programa.pdf>

<sup>88</sup> დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და პროგრამა და მისი განხორციელების წესი, მ.3 (1,ტ). <http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/aqtebi/programa.pdf>

ამ პროცესში უშუალოდ არასრულწლოვნების გარდა ასევე ერთვება არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლი<sup>89</sup>.

არასრულწლოვნის პროგრამაში ჩართვა ხორციელდება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით. არასრულწლოვანი ყოფილი პატიმრის მომართვის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი აცხადებს თანხმობას არასრულწლოვნის პროგრამაში ჩართვაზე, რაც კანონიერი წარმომადგენლობისა და კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად უნდა დაერთოს „მომართვის ფორმას“.

თვისობრივი კვლევისას ყველა რესპონდენტმა ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი დანაშაულის პრევენციის ცენტრში ერთგვაროვნად შეაფასა. ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ყოფილი პატიმრების რეაბილიტაციის მიზნით მათთან მიმდინარეობს ინდივიდუალური მუშაობა და ყველა შემთხვევაში დგება ინდივიდუალური მომსახურების გეგმა. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, „მას შემდეგ, რაც სოციალური მუშაკი იწყებს მუშაობას და შეაფასებს ბენეფიციარს, შემდეგ დგება ინდივიდუალური მომსახურების გეგმა ბენეფიციართან შეთანხმებით და ამ გეგმაშია გაწერილი ყველა ის შემდგომი ნაბიჯი, რაც უნდა გადადგან ერთად სოციალურმა მუშაკმა და ბენეფიციარმა“.

## რესპონდენტი 1

„დანაშაულის პრევენციის ცენტრის მომსახურებებს გეტყვით და შესაბამისად ეს იქნება პროცესში რა კუთხითაც ვართ ჩართული. პირველ რიგში ეს არის ფსიქოსოციალური მომსახურება, გვყავს სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგი, რომლებიც ინდივიდუალურად მუშაობენ ბენეფიციარებთან, საჭიროებების გამოკვეთა ხდება და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად ჩვენი ბენეფიციარების სხვადასხვა მომსახურებებში ჩართვა“.

## რესპონდენტი 2

როდესაც ბენეფიციარი მოდის ცენტრში, სოციალური მუშაკი აკეთებს მის ბიო-ფსიქოსოციალურ შეფასებას, რაც ითვალისწინებს, გამოკვეთოს ის ძირითადი საჭიროებები და რისკები, რაც ბენეფიციარს აქვს. შემდეგ აკეთებს ამ შეფასების დასკვნას, რომელიც არის საკმაოდ ვრცელი და მოიცავს სხვადასხვა სახის ინფორმაციას, დემოგრაფიულ ინფორმაციას, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, კოგნიტური განვითარების შესახებ, განათლების, ოჯახური მდგომარეობის და ა.შ. ამ შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ბენეფიციართან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალური მომსახურების გეგმას, რაშიც გაწერილია ზუსტად ის გამოკვეთილი საჭიროებები, რაც სოციალურმა მუშაკმა დაინახა და ბენეფიციარიც ეთანხმება, რომ ამაში ჩაერთვება და ერთობლივად გააკეთებენ“.

<sup>89</sup> იქვე, მ.20 (4).

როგორც უკვე აღინიშნა, დანაშაულის პრევენციის ცენტრში, არის ცალკე შემუშავებული სპეციალური პროცედურები, რომელიც სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესს არეგულირებდა. გარდა ამისა, ყველა რესპონდენტმა დაადასტურა, რომ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომები და ყოფილი პატიმრების მიმართ დგება ინდივიდუალური მომსახურების გეგმა, რაც ნამდვილად მისასალმებელია.

## სერვისები

მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესის ეფექტიანად ორგანიზების მიზნით, მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-სარეზილიტაციო და დასაქმების პროგრამების ორგანიზება, როგორც პენიტენციური სისტემის შიგნით, ასევე მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდეგ.

### გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა პენიტენციურ დაწესებულებებში

კვლევის ფარგლებში განხორციელდა ანალიზი პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამებთან დაკავშირებით. ამ პროგრამებთან დაკავშირებით თვისობრივი კვლევისას რესპონდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები არ იყო ერთგვაროვანი. გარდა ამისა, განსახვავებული იყო ინფორმაცია, რომელიც მიღებულ იქნა საჯარო ინფორმაციის სახით.

რესპონდენტების უმრავლესობამ დაადასტურა, რომ პენიტენციური დეპარტამენტის სოციალური მუშაკების მიერ შემუშავდა გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა, სპეციალური მოდული, რომელიც ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში შეიძლება იქნას გამოყენებული. ამ პროგრამას ახორციელებენ პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები. მათი განმარტებით, პროგრამა მოიცავს სხვადასხვა თემებს, მათ შორის ბრაზის მართვას, კომუნიკაციურ უნარებს, სამოქალაქო განათლების კომპონენტებს, CV-ის და სამოტივაციო წერილის მომზადებას და აშ.

### რესპონდენტი 1

გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესს თუ ვეხებით, ამისთვის ზემოაღნიშნული ტრენინგ მოდულია შემოთავაზებული, რომელიც ძალიან ბევრ თემას მოიცავს, როგორიცაა ტოლერანტობა, დისკრიმინაცია, კომუნიკაციური უნარები, სამოქალაქო განათლების კომპონენტები, CV-ის და სამოტივაციო წერილის მომზადება, ტრანსპორტში გადაადგილების წესები”.

## რესპონდენტი 2

„პროგრამა შემუშავებული იქნა ჩვენი სამინისტროს სოციალური სამმართველოს და ციხეების სოციალური განყოფილების სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების მიერ. გავტესტეთ რამოდენიმე დაწესებულებაში ეს პროგრამა. ეს არის საკმაოდ მოცულობითი, არა მარტო დროში მოცულობითი, თვითონ მოდულიც კი ძალიან მოცულობითია, თავისი ვიდეომასალებით, სლაიდ შოუთი აბსოლუტურად ყველაფერს ახლავს, იმიტომ რომ, ერთხელ რადგანაც ვიმუშავეთ და ჩავდეთ რესურსი, ჩავთვალით, რომ ეს უნდა ყოფილიყო ძალიან მარტივი სხვა ფასილიტატორებისათვის.“

არ იყო ერთგვაროვანი მიღებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ პენიტენციურ დაწესებულებებში ხორციელდება გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ მკვლევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმ დაწესებულებების შესახებ, სადაც ხორციელდებოდა გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა 2013-2016 წლებში.

2013-2016 წლებში გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა პენიტენციური დაწესებულებების მიხედვით.

### 2013 წელი

N5 დაწესებულება	68 მსჯავრდებული
N12 დაწესებულება	16 მსჯავრდებული
N17 დაწესებულება	67 მსჯავრდებული
სულ	151 მსჯავრდებული

### 2014 წელი

N5 დაწესებულება	33 მსჯავრდებული
N8 დაწესებულება	80 მსჯავრდებული
N12 დაწესებულება	36 მსჯავრდებული
N2 დაწესებულება	41 მსჯავრდებული
N14 დაწესებულება	87 მსჯავრდებული
N15 დაწესებულება	57 მსჯავრდებული
N17 დაწესებულება	45 მსჯავრდებული
სულ	379 მსჯავრდებული

### 2015 წელი

N5 დაწესებულება	12 მსჯავრდებული
N12 დაწესებულება	9 მსჯავრდებული

N16 დაწესებულება	17 მსჯავრდებული
N17 დაწესებულება	12 მსჯავრდებული
N11 დაწესებულება	15 მსჯავრდებული
სულ	65 მსჯავრდებული

2016 წელი

N11 დაწესებულება	17 მსჯავრდებული
N12 დაწესებულება	7 მსჯავრდებული
N16 დაწესებულება	13 მსჯავრდებული
N17 დაწესებულება	10 მსჯავრდებული
სულ	47 მსჯავრდებული

როგორც სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის შედეგად იკვეთება, 2013-2016 წლებში, გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა არაერთგვაროვნად მიმდინარეობდა პენიტენციურ დაწესებულებებში, ხოლო 2016 წელს აღნიშნული პროგრამა მხოლოდ ერთ დაწესებულებაში მიმდინარეობდა.

თვისობრივი კვლევისას, 2017 წლის განმავლობაში გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამასთან დაკავშირებით რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ პროგრამა ხორციელდება ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, გარდა N3, N7 და N9 დაწესებულებებისა. თუმცა ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, აღნიშნული პროგრამა ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ფუნქციონირებს, სხვა რესპონდენტმა კი განაცხადა, რომ ეს პროგრამა ყველა ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებაში ფუნქციონირებს. იყვნენ რესპონდენტებიც, რომელთაც აღნიშნეს, რომ გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა ამ ეტაპზე არ ხორციელდება, მათ შორის, არც N5 ქალთა და N16 დაბალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში.

#### რესპონდენტი 1

„პროგრამა ყველგან არის დანერგილი, უბრალოდ სტატისტიკა არ გვაქვს ეხლა, თუ გინდა გამოგიგზავნით ბოლო წლების განმავლობაში რა და როგორ, მაგრამ ყველა დაწესებულებაში არის გადაგზავნილი და ყველა დაწესებულებას აქვს ამისი მზაობა რომ ეს ჩაატაროს. ისევ და ისევ თუ არის პრობლემა არის ადამიანური რესურსის და ინფრასტრუქტურული პრობლემა“.

#### რესპონდენტი 2

„თავიდან პილოტი მოხდა მე-16 დაწესებულებაში, მე-5-ში, მე-11-ში და მე-12-ე დაწესებულებაში, მას შემდეგ ყველა დაწესებულებაში არის ეს პროგრამა დანერგილი, გარდა მე-3-ე, მე-7-ე, მე-9-ე დაწესებულებებისა“.



კვლევის ფარგლებში რთული იყო იმის შეფასება, რეალურად რომელ პენიტენციურ დაწესებულებებში ფუნქციონირებდა გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა. რესპონდენტების მხრიდან მიღებული იყო ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია. რესპონდენტების ნაწილმა განმარტება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ საანგარიშო პერიოდში აღნიშნული პროგრამა არ ხორციელდებოდა არც N5 და არც N16 დაწესებულებაში, მაშინ, როდესაც აღნიშნული დაწესებულებები, არსებული რესურსების გათვალისწინებით, სხვა პენიტენციურ დაწესებულებებისგან განსხვავებით, უპირატეს მდგომარეობაში არიან. აღნიშნული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პენიტენციურ სისტემაში გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის სხვადასხვა დაწესებულებებში დანერგვასთან დაკავშირებით არ იყო ჩამოყალიბებული ერთიანი ხედვა.

თვისობრივი კვლევისას რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ პენიტენციური დეპარტამენტის სოციალური მუშაკების მიერ შემუშავდა გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის ერთიანი მოდული, რომელიც ყველა დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს. ეს არის გათავისუფლებისათვის მომზადების 4 თვიანი პროგრამა და შედგება 24 სესიისგან. რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ პროგრამაში ხდება იმ მსჯავრდებულების ჩართვა, ვისაც დარჩენილი აქვს 1 წლამდე სასჯელის მოხდა. მეორე ნაწილის განმარტებით, პროგრამაში ერთვებიან მსჯავრდებულები, ვისაც დარჩენილი აქვს 6-დან 9 თვემდე სასჯელის მოხდა, ხოლო კვლევის სხვა მონაწილეების განმარტებით, რიგ შემთხვევაში რთავენ იმ მსჯავრდებულებს, ვისაც 6 თვე აქვთ დარჩენილი, ხოლო ზოგჯერ კი იმათ, რვისაც მოსახდელად დარჩენილი აქვთ 3 თვე .

### რესპონდენტი 1

*გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა თითქმის ყველა დაწესებულებაშია და ვინც თავისუფლდება 6-დან 9 თვემდე.*

### რესპონდენტი 2

*„ერთადერთი კრიტერიუმი აქ არის დარჩენილი ვადა სასჯელის მოხდამდე,... მსჯავრდებული, რომელსაც უკვე წელიწადზე ნაკლები ქონდა დარჩენილი, ანუ ისინი პირდაპირ ჩაჯდნენ ამ პროგრამაში“.*

### რესპონდენტი 3

*“კრიტერიუმი არის გათავისუფლებამდე დარჩენილი ვადა, 1 წელი.“*

### რესპონდენტი 4

*„ძირითადი კრიტერიუმი არის, რომ მსჯავრდებულს გათავისუფლებამდე 3 თვე უნდა ჰქონდეს“*



როგორც კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ პენიტენციურ სისტემის თანამშრომლებმა შეიმუშავეს გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის ერთიანი მოდული, რომლის გამოყენებასაც გეგმავდნენ ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სასჯელის რა ვადა უნდა ჰქონდეს დარჩენილი მსჯავრდებულს, რომ აღნიშნულ პროგრამაში მოხდეს მისი ჩართვა, არის საკმაოდ არაერთგვაროვანი და ურთიერთგამომრიცხავი. ბუნდოვანია, როგორ ხდება პენიტენციურ დაწესებულების ადმინისტრაციების მიერ გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის ერთიანი მოდულის სხვადასხვაგვარად გამოყენება.

თვისობრივი კვლევისას რესპონდენტების ნაწილმა ასევე აღნიშნა, რომ გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში ჩართვის მიზნით, პირველ ეტაპზე შეარჩიეს შემდეგი სამიზნე ჯგუფი - ოჯახური ძალადობის მუხლით გასამართლებული მსჯავრდებულები; ის პირები, ვისაც დაედო მსჯავრი 2017 წლიდან და არასრულწლოვანთა დაწესებულებიდან გადასული მსჯავრდებულები.

### რესპონდენტი 1

„სხვა დაწესებულებაში გვინდოდა აგველო შერჩევის კრიტერიუმი, ვინაიდან რაოდენობა ძალიან დიდია და არარეალური იყო, რომ მოგვესწრო, ასე რომ, მიმდინარე წელს სადაც დავიწყეთ, ავიღეთ 2017 წელს ვისაც ქონდა მსჯავრი დადებული, ისინი ყოფილიყვნენ პირველი სამიზნე ჯგუფი, ასევე ყოფილიყო ოჯახური ძალადობის მუხლით გასამართლებული მსჯავრდებულები, რადგან ვალდებულება გვაქვს, რომ ამ მსჯავრდებულებმა უნდა გაიარონ სარეაბილიტაციო პროგრამები და ამიტომ ესენი ყველა ჩავრთეთ და არასრულწლოვნებიდან გადასული მსჯავრდებული თუ იყო რომელიმე დაწესებულებაში, ისიც პრიორიტეტს წარმოადგენდა ჩვენთვის“.

როგორც ინდივიდუალურ მიდგომასთან, ასევე გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში ბენეფიციარების ჩართვასთან დაკავშირებით რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე გარკვეული სამიზნე ჯგუფები იქნა შერჩეული. განსაკუთრებით დიდი ზომის პენიტენციურ დაწესებულებებში, გარკვეული აქცენტის გაკეთება განსაზღვრულ სამიზნე ჯგუფთან მიმართებაში სწორი პრაქტიკაა, ვინაიდან არსებული რესურსების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე ყველა მსჯავრდებულის ჩართვა გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში საკმაოდ რთული იქნება.

### სხვა სახის სერვისები პენიტენციურ დაწესებულებებში

საჯარო ინფორმაციის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ 2017 წლის დასაწყისში პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-

სარეაბილიტაციო პროგრამები, რომლებიც შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მხარდამჭერი ელემენტი მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესის ეფექტიანად ორგანიზებისთვის. თუმცა ამავე ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში, საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამები მხოლოდ რამოდენიმე პენიტენციურ დაწესებულებაში მიმდინარეობდა.

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, 2017 წლის წლის დასაწყისში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამები ხორციელდებოდა - N2, N5, N8, N11 N12, N15 და N16 პენიტენციურ დაწესებულებებში. აღნიშნულ დაწესებულებებში ხორციელდებოდა შემდეგი სახის პროგრამები:

N	პენიტენციურ დაწესებულება	პროგრამების დასახელება
1.	N2	„ატლანტისი“, არტ-თერაპია, ბიბლიოთერაპია, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარების ტრენინგი, პენიტენციური სტრესის მართვის ტრენინგი, პოზიტიური აზროვნების ტრენინგი.
2.	N5	„ატლანტისი“, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარების ტრენინგი.
3.	N12	გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა, პოზიტიური აზროვნების განვითარების პროგრამა, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარების პროგრამა.
4.	N15	კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარების პროგრამა.
5.	N16	ბიბლიოთერაპია, პენიტენციური სტრესის მართვა, ხეზე კვეთა, კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია და წამალდამოკიდებულება, კულინარიის შემსწავლელი კურსი, ადამიანის განვითარება სოციალურ გარემოში, არტ-თერაპია, გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა, სასარგებლო უნარების განვითარების პროგრამა, დანაშაულის გაცნობიერების პროგრამა, მღებავის კურსი.
5.	N17	არტ-თერაპია, გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა, სასარგებლო უნარების განვითარების პროგრამა, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარების პროგრამა.

ცალკე არასრულწლოვანი ბრალდებულებისთვის/მსჯავრდებულებისთვის  
ხორციელდებოდა შემდეგი სახის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამები:

N	პენიტენციურ დაწესებულება	პროგრამის დასახელება
1.	N2, N8, N11	პენიტენციურ სტრესის დაძლევის პროგრამა
2.	N2, N8, N11	არტ-თერაპია
3.	N2, N11	ცხოვრების ჯანსაღი წესი
4.	N11	ბრაზის მართვის პროგრამა
5.	N11	მომზადება გათავისუფლებისათვის

თვისობრივი კვლევისას რესპონდენტების მხრიდან მიღებული ინფორმაცია სხვადასხვა სახის სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით არ იყო ერთგვაროვანი. კვლევის შედეგად გამოიკვეთა რომ სერვისების მიწოდების კუთხით, საკმაოდ არაერთგვაროვანი მიდგომაა პენიტენციური დაწესებულებების მიხედვით. ხაზი უნდა გაესვას, სხვა დაწესებულებებისგან განსახვავებით, N11, N5 და N16 პენიტენციურ დაწესებულებებში, მსჯავრდებულებს ხელი მიუწვდებათ საკმაოდ მრავალფეროვან საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებზე.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბენეფიციარების საკმაოდ პოზიტიური უკუკავშირი N5 ქალთა დაწესებულებაში სერვისების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ბენეფიციარების უმრავლესობა, საკმაოდ დადებითად აფასებს ამ დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესს. თუმცა ნაწილი აქვე აღნიშნავს, რომ სასურველია პროგრამები იყოს უფრო ხანგრძლივი და გათავისუფლების შემდეგაც იყოს სერვისები ხელმისაწვდომი, რაც ამ ეტაპზე პრობლემას წარმოადგენს - „ციხეზე უფრო კარგად არის აწყობილი ყველაფერი არ დაგაკლებენ არაფერს და გარეთ მერე არ გყავს პატრონი და ვერაფერს ვერ აკეთებ“.

რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი გამოწვევაა ინფრასტრუქტურული პრობლემები. მათი განმარტებით საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებისთვის არ არის საკმარისი სივრცეები, განსაკუთრებით დიდი ზომის პენიტენციურ დაწესებულებებში

## რესპონდენტი 1

„ეს ხარვეზები გვქონდა, გვაქვს, რადგან როგორც აღნიშნეთ შეხვედრების ოთახია საჭირო, არის საჭირო მულტი-გუნდის შეხვედრის ოთახი გეგმის განხორციელების პროცესში არის საჭირო ინფრასტრუქტურა, სადაც განხორციელდება ეს გეგმაში გაწერილი სხვადასხვა პროგრამები. ეს გამოწვევები არის“.

რესპონდენტი 2 (N16 პენიტენციურ დაწესებულებასან დაკავშირებით)

“ეხლა ჩვენთან [ერთ-ერთი ორგანიზაცია] ახორციელებს მუსიკალურ თერაპიას, ჩვენი სამინისტროს ინიციატივით ასწავლიან ფანქრითა და წყლის საღებავებით ხატვას, ხორციელდება ტყავზე მუშაობის სახელობო კურსი, ასევე სამინისტროს დაფინანსებით მსჯავრდებულები სამთვიანი კურსის ფარგლებში სწავლობენ საქმიან ურთიერთობათა კულტურას, ამათ ახორციელებს განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული კოლეჯები. ასევე PRI-ის აქვს პროექტი, რომელიც საწყის ეტაპზე და რომელიც ინდივიდუალურ დაგეგმვას ებმის; ეს არის ძირითადად მოძალადე და ძალადობის მსხვერპლ ქალებზე მიმართული, ჯგუფური და ინდივიდუალური ფსიქოლოგიური დახმარებით და სახელობო კურსებით”.

რესპონდენტი 3 (N16 პენიტენციურ დაწესებულებასთან დაკავშირებით)

“ბრაზის მართვა, სტრესის მენეჯმენტის, არტ-თერაპია, სოციალურად სასარგებლო უნარების განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესი, მკითხველთა კლუბი შემეცნებითი განვითარებისთვის, ინტელექტუალური თამაშები, სპორტული აქტივობები, ჭადრაკის წრე, შაშის წრე, სპორტული ტურნირები და სხვა”.

რესპონდენტი 11 (N2 პენიტენციურ დაწესებულებასთან დაკავშირებით)

„არც დავინტერესებულვარ და ვერ გეტყვი. აი, რაც მახსოვს C ჰეპატიტის პროგრამა იყო, რითიც შეიძლებოდა მე დავინტერესებულიყავი, მეთადონის პროგრამა და არის კიდევ რაღაც პროფესიული მომზადებების თუ გადამზადების კურსები, მაგრამ მე როგორც ვთვლი, იცით, ეს პირადად ჩემთვის შეიძლება არ იყო საინტერესო, მაგრამ იყო იქ ბიჭები, ვისაც აინტერესებდა, ნუ ზოგს შეიძლებოდა, რომ თავის ცხოვრებაში გამოეყენებია, რაღაცა ესწავლა, კომპიუტერთან მუშაობა, ან რა ვიცი რამე კიდევ“.

რესპონდენტი 14 (N11 პენიტენციურ დაწესებულებასთან დაკავშირებით)

„ბევრი პროგრამები იყო, ძირითადად სოციალური სამსახური აკეთებდა რაღაცებს, ძირითადად, რომ ბავშვები გართობილიყვნენ“.

რესპონდენტი 9 (N5 პენიტენციურ დაწესებულებასთან დაკავშირებით)

„მოსამზადებელი პროცესი არ იყო, უბრალოდ იყო „როგორ ვაწარმოო საკუთარი ბიზნესი“, ასეთი კურსი თუ ტრენინგები იყო, რომელსაც ახორციელებდა „ქალი და ბიზნესი“ არასამთავრობო ორგანიზაცია და იყო სადღაც ასე ერთთვიანი ტრენინგკურსი თვითონ ციხეში. ასევე პარალელურად ვსწავლობდი თექას, ქარგვას“.

„ანუ თუ მალე გადიოდი შემოგთავაზებდნენ სხვადასხვა რამეს. მაგალითად, მე ფსიქოლოგთან საუბარი ავირჩიე და რამოდენიმეჯერ შევხვდი და სხვა არ ვიცი, მე-მგონი იყო რაღაცის სწავლა“.

#### რესპონდენტი 16 (N14 პენიტენციურ დაწესებულებასთან დაკავშირებით)

„რა მინდოდა იცით? სპორტი რომ იყოს, ტრენაჟორები და ვარჯიში, ბევრს უნდოდა პატიმრებს და არავინ არ აკეთებდა, რატომ არ აკეთებენ არ ვიცი. ადამიანს ვარჯიში უნდა ძლიერი, უნდა, რომ გამოვიდეს თავისუფლებაზე და არ აქვს ამის საშუალება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით, პენიტენციურ დაწესებულებებში არის საკმაოდ არაერთგვაროვანი მიდგომა. როგორც უკვე აღინიშნა, ამ კუთხით N11, N5 და N16 პენიტენციურ დაწესებულებებში ყველაზე მეტად აქვთ ხელმისაწვდომობა მსჯავრდებულებს სერვისებზე. ამის ძირითადი მიზეზი არის რამდენიმე ფაქტორი - სხვა დაწესებულებებისგან განსხვავებით, აღნიშნულ დაწესებულებებში მსჯავდებულთა რაოდენობა არის მცირე; გარდა ამისა, ამ დაწესებულებებს აქვს უკეთესი ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები სერვისების ორგანიზებისთვის; როგორც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, ასევე არასამთავრობო სექტორის მხრიდან, სერვისების მიწოდების კუთხით პრიორიტეტად არიან მიჩნეულნი არასრულწლოვანი, ქალი და დაბალი რისკის მატარებელი მსჯავრდებულები.

ბუნებრივია, შესაძლებელია პირველ ეტაპზე სერვისების მიწოდების კუთხით აქცენტი გაკეთდეს განსაკუთრებით ისეთი მოწყვლად ჯგუფზე, როგორიც არიან, მაგალითად, ქალი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულები. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გადადგას ნაბიჯები იმ მიმართულებით, რომ სერვისებზე ხელმისაწვდომობა მაქსიმალურად გაიზარდოს იმ მსჯავრდებულებისთვის, რომლებიც არ არიან განთავსებული ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ზომის პენიტენციურ დაწესებულებებში სერვისების მიწოდების ზრდა უნდა განხორციელდეს ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების ზრდის პარალელურად და ამ კუთხით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს უნდა ჰქონდეს ინფრასტრუქტურული პრობლემის გადაჭრის გრძელვადიანი ხედვა.

თვისობრივი კვლევისას რესპონდენტების უმრავლესობა განსაკუთრებით ხაზს უსვამს პრობლემებს სერვისების უწყვეტობასთან და მათ მდგრადობასთან დაკავშირებით. მათი განმარტებით, სერვისების არსებობა ხშირად დაკავშირებული არის კონკრეტულ ადამიანებთან, გარდა ამისა არის ასევე პრობლემები უწყებათაშორისი კოორდინაციის კუთხითაც.



## რესპონდენტი 1

„მე მგონია, რომ ხელშემშლელი ფაქტორი არის არამდგრადობა, თუნდაც ჩვენი, არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფო უწყებების პროექტების ყველაფერი მაინც მიმბმული არის კონკრეტულ ადამიანებზე და გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე, მათ ხედვაზე კონკრეტულ მომენტში, რაც შეიძლება მეორე წუთში აღარ იყოს იმდენად აქტუალური. ხელის შემშლელი ფაქტორი მგონია, რომ კოორდინაცია არ არის უწყებათა შორის აწყობილი და რასაც ვაკეთებთ, არ ხორციელდება მდგრადად. ხელშემწყობი ფაქტორი არის ის, რომ რამდენიმე დაწესებულებაში, სადაც ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი მიმდინარეობს და პროგრამები ხორციელდება, იქ ჯგუფი უფრო მომზადებულია. იგულისხმება ქალთა, არასრულწლოვანთა, მე-16 და თუნდაც თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება“

## რესპონდენტი 2

„ყველაზე უფრო დიდი ნაკლი შიგნით არის არასისტემური ხასიათი. როდესაც არის საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია და არასამთავრობო ორგანიზაციები, პროგრამები ხორციელდება, მაგრამ როდესაც დონორი აღარ არის და პროექტი შეწყდება, პროგრამები აღარ ხორციელდება. თუ გარედან არ ხდება, ასე ვთქვათ, „აუთოსორსინგით“ შესვლა, მაშინ რა ხდება? შიგნით ამას გარკვეულწილად ახორციელებენ სოციალური დეპარტამენტის წარმომადგენლები, მაგრამ აქ ისევ არის უზარმაზარი განსხვავება N16 და დანარჩენ დაწესებულებებს შორის“.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სერვისების უწყვეტობა/არამდგრადობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. მნიშვნელოვანია, რომ სერვისების ისედაც მცირე რაოდენობა, მსჯავრდებულებს მიეწოდოთ დროულად და კონკრეტულად იმ პერიოდში, როდესაც არის ამის საჭიროება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წინასწარ ჰქონდეს განსაზღვრული - იმ სერვისების ჩამონათვალი, რომლის საჭიროებაც მათ აქვთ (მაგალითად, მომდევნო წლის განმავლობაში), რა სამიზნე ჯგუფი არის მათთვის პრიორიტეტული და რატომ, და რა რესურსით აპირებს სერვისების მიწოდებას. არა აქვს მნიშვნელობა, ამ სერვისების მიწოდება განხორციელდება საბიუჯეტო სახსრებით, თუ სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფს სერვისის მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია ან სხვა სახელმწიფო უწყება.

რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ მსჯავრდებულებისათვის სერვისების მიწოდების პროცესში კრიმინალური სუბკულტურა არის ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი. მათი განმარტებით, ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომაც ვერ ხორციელდება გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში ყველა მსჯავრდებულის ჩართვა, არის კრიმინალური სუბკულტურა. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, N16



პენიტენციური დაწესებულებაც ზუსტად იმიტომ იყო შერჩეული გარკვეული პროგრამების პილოტირებისათვის, რომ აღნიშნული სტერეოტიპის მსხვრევა მომხდარიყო.

#### რესპოდენტი 1

„რა თქმა უნდა, არა მარტო მომზადება-გათავისუფლების პროგრამაში, სხვა სერვისების განხორციელებისასაც სუბკულტურა ერთ-ერთი დიდ ხელისშემშლელი ფაქტორია“.

#### რესპოდენტი 2

„მიზეზი შეიძლება იყოს ბევრი რამ, თუნდაც სურვილს არ გამოთქვამენ, თუნდაც ზოგისთვის მისი სუბკულტურიდან გამომდინარე შეიძლება იყოს მიუღებელი და მრავალი სხვა ფაქტორი შეიძლება იყოს განმაპირობებელი“.

#### რესპოდენტი 3

500-მა რომ გამოთქვას [რა გამოთქვას დავაზუსტოთ], ასეთი რეალობა არ გვეჩნება სავარაუდოდ. ძალიან დიდი ბრძოლა და შემართება გვიწევს იმისთვის, რომ თითოეული მსჯავრდებული დავითანხმობთ სასწავლო ცენტრში რაიმე სახის ჩართულობაზე, სუბკულტურა გარკვეულწილად თავისას მოქმედებს. ბევრს ვცდილობთ, 10-15 კაცი რომ შეგროვდეს“.

#### რესპოდენტი 4

„პირველ კითხვასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ, რა თქმა უნდა, ამაზე ყველა თანხმდება, რომ ორგანიზაციული კულტურა დავარქვათ რაც არის შიგნით არის რთული, ჩვენი პილოტიც ამ სტერეოტიპის დამსხვრევაზეა და ამიტომაც ავიღეთ N16 (დაწესებულება)“.

როგორც რესპოდენტების კომენტარებიდან ჩანს კრიმინალური სუბკულტურა რჩება ერთ-ერთ გამოწვევად პენიტენციური სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დიდი ხანია მიდის მსჯელობა. კრიმინალური სუბკულტურაში არსებული წესების თანახმად, მსჯავრდებულების ჩართვა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ცუდ ტონად ითვლება მსჯავრდებულთა გარკვეულ ჯგუფებს შორის, რის გამოც შესაძლოა იყოს გამოწვევული აღნიშნული პრობლემები. ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და პრაქტიკული სახის ნაბიჯები (შეიქმნა დაბალი რისკის პენიტენციური დაწესებულება და 2018 წლიდან იქმნება გათავისუფლებისათვის მომზადების

დაწესებულება) მაღალი ალბათობით უკავშირდება კრიმინალური სუბკულტურის გავლენების შემცირების მცდელობას, რომ სისტემამ ჩამოაყალიბოს აღნიშნულ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურისგან თავისუფალი გარემო, სადაც მსჯავრდებულებს ექნებათ შესაძლებლობა, თავისუფლად ჩაერთონ სხვადასხვა სახის პროგრამებში/აქტივობებში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ცვლილებები შეეხება მხოლოდ პატიმრების მცირე ჯგუფს (მაგალითად N16 დაბალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებაში 2017 წლის ოქტომბერში იყო განთავსებული 134 მსჯავრდებული, მაშინ, როდესაც მთლიანად სისტემაში განთავსებული იყო 9360 ბრალდებული/ მსჯავრდებული<sup>90</sup>).

### პრობაციის ეროვნული სააგენტო

2017 წლის იანვარში პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზრუნვისა და კონტროლის ქვემ იმყოფებოდა 21741 მსჯავრდებული. მათ შორის 1243 ქალი მსჯავრდებული (5.7%) და 119 არასრულწლოვანი (0.5%).<sup>91</sup> პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სააგენტოში 2017 წლის დასაწყისში მოქმედებდა 20 სახის სარეაბილიტაციო პროგრამა. პროგრამები იყოფა სამ მიმართულებად - ფსიქოსოციალური, პროსოციალურ ქცევაზე მიმართული და ადიქციის ქცევის შემცირებაზე მიმართული. ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ამ პროგრამებში ჩართული მსჯავრდებულების რაოდენობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, 2017 წლის მარტში, პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებული მსჯავრდებულებიდან საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო 156 მსჯავრდებული.

	პროგრამა	მსჯავრდებულთა რაოდენობა
1.	ადიქტოლოგია-ჩავარდნის პროფილაქტიკა	23
2.	ეფექტური კომუნიკაცია	2
3.	თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის სატრენინგო მოდული	10
4.	საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროგრამა	7
5.	საინფორმაციო ხასიათის ტრენინგი	4
6.	სოციალური გარემოში ადაპტაციის პროგრამა	7
7.	ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	1
8.	ცხოვრებისეული ფასეულობები	38
	ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული ფასეულობები	11
	მომავლის დაგეგმვა	6

<sup>90</sup><http://www.moc.gov.ge/images/temp/2017/12/06/241ccff2b4bc75845eb29db8aa96532d.pdf>

<sup>91</sup><http://www.moc.gov.ge/images/temp/2017/03/07/dbba2afd126320e717df2bf762ff5260.pdf>

9.	დანაშაულის გაცნობიერება	16
10.	პენიტენციური სტრესის მართვის სატრენინგო მოდული	6
11.	კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა	1
12.	ბრაზის მართვა	12
13.	პოზიტიური აზროვნების პროგრამა	1
14.	აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება	7
15.	ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა	4
სულ		156

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებულ იქნა ინფორმაცია 2017 წლის დასაწყისში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული მსჯავრდებულების განაწილების შესახებ რეგიონების მიხედვით. აღნიშნულ სტატისტიკურ ინფორმაციაში მოცემულია პროგრამებში ჩართულ მსჯავრდებულთა ზოგადი ინფორმაცია პრობაციის ეროვნულ სააგენტოში რეგიონების მიხედვით და არა მარტო პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებული მსჯავრდებულების.

რეგიონები	მსჯავრდებულთა რაოდენობა
1. თბილისი	180
2. ქვემო ქართლი	38
3. შიდა ქართლი	32
4. სამცხე-ჯავახეთი	14
5. იმერეთი	39
6. აჭარა	51
7. რაჭა-რეჩხუმი, ქ.სვანეთი	2
8. სამეგრელო, ზ.სვანეთი	13
9. გურია	29
10. კახეთი	6
11. მცხეთა-მთიანეთი	32
სულ	436

გარდა ამისა, პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული იქნა ინფორმაცია 2017 წელს დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ:

N	რეგიონები	მსჯავრდებულთა რაოდენობა
1.	თბილისი	9
2.	შიდა ქართლი	0
3.	მცხეთა-მთიანეთი	1
4.	ქვემო ქართლი	0
5.	კახეთი	6
6.	სამცხე-ჯავახეთი	0
7.	იმერეთი	5

8.	გურია	3
9.	სამეგრელო-ზემო სვანეთი	0
10.	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0
11.	აჭარა	0
სულ		24

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სერვისების ნაკლებობა არის ერთ-ერთი გამოწვევა, რაც აქვს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს. კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში (2017 წლის იანვარში), პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზრუნვისა და კონტროლის ქვეშ მყოფ 21741 მსჯავრდებულიდან, მხოლოდ 436 (2%) ჰქონდა წვდომა სხვადასხვა სახის სერვისებზე, საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და ზოგადად ვერ უზრუნველყოს სარეაბილიტაციო პროცესის და მსჯავრდებულის საზოგადოებაში ეფექტიანი ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას.

თვისობრივი კვლევისას რესპონდენტების მხრიდან მიღებული ინფორმაცია პრობაციის ეროვნულ სააგენტოში სერვისების ორგანიზებასთან დაკავშირებით არ იყო ერთგვაროვანი. თუმცა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სერვისების დეფიციტი არის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა.

რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ სააგენტოში არის სერვისების ნაკლებობა და სასურველია არსებული სერვისები კიდევ უფრო მრავალფეროვანი იყოს. მათი განმარტებით, სერვისების ნაკლებობა არის უფრო რეგიონებში, ვიდრე თბილისში. თუმცა მეორე ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ პრობლემა აქვთ მხოლოდ გარედან (სერვისის მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული კოლეჯები და ა.შ) მიწოდებულ სერვისებთან დაკავშირებით, ხოლო უშუალოდ სააგენტოს მიერ მიწოდებულ სერვისებთან დაკავშირებით ყველა მსჯავრდებულს აქვს წვდომა. მსჯავრდებულების დასაქმების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ როგორც პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, ასევე დანაშაულის პრევენციის ცენტრში ძირითადად იყენებენ [worknet.gov.ge](http://worknet.gov.ge)-ს პორტალს, რომლის მეშვეობითაც აწვდიან ინფორმაციას მსჯავრდებულებს დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ბენეფიციარების ნაწილმა განაცხადა, რომ მათ პენიტენციური დაწესებულებებიდან გამოსვლის შემდეგ ჰქონდათ წვდომა გარკვეული სახის პროგრამებზე. უმეტესობა მიუთითებს იმ სახელმწიფო პროგრამებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია მათ შორის სხვა პირებისთვისაც - მეთადონის პროგრამა და C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა. თუმცა რამდენიმე ბენეფიციარმა განაცხადა, რომ გათავისუფლების შემდეგ, პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ შესთავაზეს სხვა სახის პროგრამებში ჩართვა.

## რეპოდენტი 1

„როგორც მოგახსენეთ, სერვისების ნაკლებობა ნამდვილად არის, თბილისში იმდენად არა, რამდენადაც რეგიონებში. , ,

## რესპონდენტი 2

„ჩვენ მხოლოდ სარეაბილიტაციო პროგრამებს ვატარებთ და დანარჩენი გარე სერვისზეა დამოკიდებული. მაგალითად, თუ გარე სერვისი მოითხოვს, რომ გვჭირდება სამი ყოფილი მსჯავრდებული, მაშინ ვარჩევთ მხოლოდ სამს, იმის გათვალისწინებით, ვისაც ყველაზე მეტად ესაჭიროება ამ მომსახურების მიღება. ამ შემთხვევაში შეიძლება გვეჩონდეს შეზღუდვა. ხოლო უშუალოდ ჩვენს პროგრამებზე არ გვაქვს“.

როგორც საჯარო ინფორმაციის ანალიზის, ასევე თვისობრივი კვლევისას გამოიკვეთა, რომ სერვისების დეფიციტი არის ერთ-ერთი გამოწვევა პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, რაც მსჯავრდებულთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ.

თვისობრივი კვლევის ფარგლებში, რესპონდენტების უმრავლესობამ დაადასტურა, რომ ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს სერვისების უწყვეტობა და არამდგრადობა. თუმცა რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ ეს ძირითადად ეხება გარედან მოწოდებულ სერვისებს.

## რესპონდენტი 1

„შიგნით არსებითი ხასიათის პრობლემები ნაკლებად იკვეთება, ვიდრე გარე ორგანიზაციების მიერ მოწოდებული რესურსებისას. მე კონკრეტულად მაქვს გეგმა გაწერილი და გარე ორგანიზაციამ შეიძლება იმ ვადაში არ მომეწოდოს სერვისი; შესაბამისად, შეიძლება გარკვეული პრობლემა წარმოიშვას, ვინაიდან მუდმივად მოლოდინის რეჟიმში ვართ მეც და ბენეფიციარიც“.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს დონეზეც, ერთ-ერთ გამოწვევად გამოიკვეთა სერვისების უწყვეტობა/არამდგრადობა. რესპონდენტების ნაწილმა ამ კუთხით აქცენტი გააკეთა გარედან მოწოდებული სერვისების არამდგრადობაზე. როგორც უკვე პენიტენციურ სისტემაში სერვისების ორგანიზებასთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია, რომ არსებული სერვისების ისედაც მცირე რაოდენობა პრობაციონერებს მიეწოდოთ დროულად და კონკრეტულად იმ პერიოდში, როდესაც არის ამის საჭიროება. რეკომენდაციები მომავალში გადასადგმელ ნაბიჯებთან



დაკავშირებით პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიმართ არის ანალოგიური, რაზეც იყოს მსჯელობა პენიტენციური სისტემის ნაწილთან მიმართებაში.

### დანაშაულის პრევენციის ცენტრი

დანაშაულის პრევენციის ცენტრის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია<sup>92</sup>, რაც ხორციელდება მისი ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის - ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველოს საშუალებით. აღნიშნული სამმართველოს ფუნქციებს წარმოადგენს<sup>93</sup>:

- ყოფილ პატიმართათვის საჭირო სერვისების იდენტიფიცირება და არსებული სერვისების შესახებ მათი ინფორმირება, ცენტრისადმი მომართვიანობის გაზრდა, მათ შორის პენიტენციურ დაწესებულებებში რეგულარული ვიზიტების განხორციელების გზით;
- ყოფილი პატიმრების მომართვიანობის აღრიცხვა/გადანაწილება, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი, ბენეფიციარების შეფასება, მათი საჭიროებების გამოკვეთა და პროცესის მონიტორინგი;
- ბენეფიციარების და/ან მათი ოჯახის წევრებისთვის საჭიროებებზე მორგებული სერვისების მიწოდება;
- სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, ეფექტიანი რეფერალური სისტემის განვითარების ხელშეწყობა;
- პროგრამაში ჩართული სპეციალისტების მუშაობის ერთიანი სტანდარტების დანერგვა/განვითარება, პროფესიული ზრდის ხელშეწყობა და მათ საქმიანობაზე ზედამხედველობა;
- სატრენინგო მოდულების შექმნა, ტრენინგ-სემინარების დაგეგმვა და განხორციელება;
- ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა;
- ყოფილი პატიმრების დასაქმების მიზნით, სოციალური საწარმოების შექმნა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა.

თვისობრივი კვლევისას რესპონდენტების უმრავლესობამ ხაზი გაუსვა სერვისების ნაკლებობას, რაც, მათი შეფასებით, საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს არაეფექტიანს ხდის. ცალკე უნდა აღინიშნოს დამოკიდებულების მქონე პირთათვის შესაბამისი პროგრამების ხელმისაწვდომობის საკითხი. რესპონდენტების განმარტებით, ბენეფიციარებს ძირითადად ხელი მიუწვდებათ სახელმწიფო პროგრამებზე (მაგ.

<sup>92</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №16 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ, მ.2 (1,ბ).

<sup>93</sup> იქვე, მ.11



მეთადონის პროგრამა), რომელზეც წვდომა ყველა პირს აქვს. რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, ერთადერთი, რაც შეიძლება დანაშაულის პრევენციის ცენტრმა შესთავაზოს ბენეფიციარს, არის მათივე რესურსებით სოციალური მუშაკის ან/და ფსიქოლოგის მომსახურება.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების (ბენეფიციარების) ნაწილი საკმაოდ დადებითად აფასებს დანაშაულის პრევენციის ცენტრის საგრანტო პროგრამას<sup>94</sup> ყოფილი პატიმრებისთვის. მათი განმარტებით, ასეთი სახის გრანტის აღებით მათ მიეცათ შესაძლებლობა, დასაქმებულიყვნენ.

### რესპონდენტი 1

„სერვისების ნაკლებობა ნამდვილად არის, მოთხოვნები რაც არის ცენტრთან, ამ მოთხოვნებისთვის რესურსები ნამდვილად ნაკლებია. მაგალითად, ჯანდაცვაზე დიდი მოთხოვნა და ამ ეტაპზე ცენტრს საერთოდ არ აქვს ჯანდაცვის მიმართულებით პროგრამა“.

### რესპონდენტი 2

„ხელის შემშლელი ფაქტორი შეიძლება იყოს ისევ რესურსების არასაკმარისობა, ის, რომ საჭიროება და მოთხოვნა უფრო მეტია, ვიდრე დაკმაყოფილების შესაძლებლობა მომსახურების და საჭიროების. ეს შეიძლება იყოს ხელის შემშლელი ფაქტორი და ხელის შემწყობი ფაქტორი ალბათ ისევ მოთხოვნა.“

### რესპონდენტი 16

„ორი დღე დავდიოდი მერე სულ მალე დამირეკეს, ხომ არ გინდა მიიღო მონაწილეობა, გრანტი არისო რაღაცაო და თუ კი მოიწონებნო და მოიგებო, რაღაცა გვაქვსო ასეთი პროგრამაო რომ დაგეხმარებაო, ახლა მე რა , თუ ადამიანი გეხმარება“.

### რესპონდენტი 17

„არა, მე გრანტი რომ ამეღო ჩემი ათას ორასი ლარის თანამონაწილეობა უნდა გამეკეთებია 'და ხუთი ათასი ლარით დამაფინანსეს ჩემი ათას ორასი იყო თანამონაწილეობა, 'დომგრატები' ვიყიდე, წებო, საწებავი და დავიწყე მუშაობა სამ დღეში“.

დანაშაულის პრევენციის ცენტრის დონეზეც ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რაც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, არის სერვისების დეფიციტი. თუმცა ბენეფიციარების დიდმა ნაწილმა დადებითად შეაფასა ყოფილი პატიმრების მიერ ბიზნეს აქტივობის

<sup>94</sup><http://prevention.gov.ge/page/34/geo>

დაწყების მიზნით, დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ მცირე გრანტების გაცემის პრაქტიკა.

გარდა ამისა, რესპონდენტებმა ერთ-ერთ პრობლემად მიუთითეს სერვისების უწყვეტობა და არამდგრადობა, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, როცა პირს აქვს გარკვეული სახის საჭიროება, კონკრეტული სახის სერვისებზე ხელმისაწვდომობა შეიძლება ჰქონდეს საკმაოდ დაგვიანებით, რაც ამ პროცესს არაეფექტიანს ხდის. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ასევე განაცხადა, რომ ბენეფიციარებს შეიძლება რამდენიმე თვეც კი უწევდეთ ლოდინი, რომ შესაბამისი სერვისები მიიღონ.

### რესპონდენტი 1

„ხელის შემშლელი ის არის, რომ არ არის ეს პროგრამები სისტემური, არის პერიოდული და ეს არის ჩვეულების ცუდი. ასევე არის ის, რომ არ ვიცით წინასწარ, რა ვადაში რა სერვისი გვექნება, ზუსტი ვადები არ ვიცით, ეს არის ხელის შემშლელი, რომ ზუსტ პასუხს ვერ ვეუბნებით ბენეფიციარს, შემდეგ შეიძლება აღარ იყოს ის რაოდენობა, ეს პროგრამა საერთოდ ვეღარ შედგეს ან შედგეს მცირე რაოდენობით და შეიძლება გამოვიდეს ისე, რომ გითხრან, კი ითხოვდით, მაგრამ რეალურად აღარ არის ამის საჭიროება, რადგან მცირე რაოდენობის ხალხს უნდოდა. რეალურად შეიძლება ბევრს უნდოდა, მაგრამ დროში გაიწელა, წინასწარ არ იცი, როდის გექნება ეს პროგრამა და არ არის სისტემური, ეს უშლის ამ პროგრამას ხელს“.

### უწყებათაშორისი თანამშრომლობა

როგორც უკვე აღინიშნა, პენიტენციური სისტემიდან მსჯავრდებულთა გათავისუფლების პროცესში, კანონმდებლობის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებებთან კოორდინაციაში ჩართულია ორი სახელმწიფო უწყება - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პრობაციის ეროვნული სააგენტო და იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრი. აღნიშნულ პროცესში კანონმდებლობით ამ ორ უწყებას სხვადასხვა როლი და ფუნქცია აქვს. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ცალ-ცალკე განვიხილოთ მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესის პრაქტიკული ასპექტები, პენიტენციური დაწესებულებების ამ ორ უწყებასთან თანამშრომლობის პროცესში.

#### ა) პრობაციის და პენიტენციური სისტემის თანამშრომლობა

რესპონდენტების უმრავლესობის განმარტებით, მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში პენიტენციურ და პრობაციის სისტემებს შორის თანამშრომლობა შემოიფარგლება მხოლოდ მსჯავრდებულთა N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო და N5 ქალთა სპეციალური დაწესებულებით. მათი განმარტებით უწყებებს შორის კომუნიკაცია დაკავშირებულია მხოლოდ ვადაზე ადრე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოსთვის შესაბამისი ინფორმაციის მომზადებასთან. მათი განმარტებით, ამ ეტაპამდე, პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ბიუროებს ფაქტობრივად არ აქვთ რაიმე სახის კომუნიკაცია პენიტენციურ დაწესებულებებთან.

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობის განმარტებით, არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში პრობაციის ეროვნული სააგენტო პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოსთვის ამზადებს ოჯახის შეფასებას, რასაც ორი მიზანი აქვს: ადგილობრივ საბჭოს მიაწოდოს ოჯახის შესახებ ინფორმაცია, რამდენად მზად არიან ოჯახის წევრები მსჯავრდებულის მისაღებად, როგორი პირობები აქვთ, რა დამოკიდებულება აქვთ და ასე შემდეგ, და მოამზადოს ოჯახი მსჯავრდებულის მისაღებად. რესპონდენტების ნაწილი ადასტურებს, რომ პრობაციის ეროვნული სააგენტო იღებს ინფორმაციას იმ აქტივობების შესახებ, რაშიც ჩართული იყო მსჯავრდებული პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში (ქალთა და არასრულწლოვანთა დაწესებულებიდან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისას).

რესპონდენტების უმრავლესობის განმარტებით, ასეთი სახის კომუნიკაცია პენიტენციურ და პრობაციის სისტემას შორის იწყება მხოლოდ მსჯავრდებულის შესაძლო ვადაზე ადრე გათავისუფლებამდე სამი თვით ადრე - „ეს საკითხი ბრძანებით იმგვარად არის დარეგულირებული, რომ სამი თვით ადრე პენიტენციური დაწესებულება გვიგზავნის მომართვას იმ რეგიონის მიხედვით სადაც ცხოვრობს მსჯავრდებული, შემდეგ ჩვენი სოციალური მუშაკი მიდის, აფასებს ოჯახს და ვუგზავნით კომისიისთვის დაწესებულებას“.

#### რესპონდენტი 1

“დაწესებულებიდან გათავისუფლებამდე ჩვენ ფაქტობრივად არ გვაქვს სხვა სახის ურთიერთობა არასრულწლოვან ან ქალ მსჯავრდებულთან, გარდა იმ შემთხვევისა თუ ისინი ადრე არ იყვნენ პირობით მსჯავრდებულები, ან განრიდებულები, ან არასრულწლოვნის მიმართებაში არ იყო მომზადებული წინასასამართლო ანგარიში. სხვა შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მხოლოდ ოჯახის შესახებ ინფორმაცია. თუმცა, როდესაც ჩვენთან მოდის პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოს გადაწყვეტილება ქალ და არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან დაკავშირებით, მასში აუცილებლად არის მითითებული, რა აქტივობაში იყო ჩართული მსჯავრდებული“.

## რესპონდენტი 2

„პირობით ვადამდე გათავისუფლებული სრულწლოვანი მამაკაცი მსჯავრდებულების შესახებ ინფორმაცია ჩვენთან გარკვეულწილად მოდის, თვითონ პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმხილველი ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებების შინაარსის საშუალებით. ხოლო იმ მსჯავრდებულების შესახებ ინფორმაცია, რომლებსაც რეალურ სასჯელთან ერთად შეფარდებული ჰქონდათ პირობითი მსჯავრი და დაწესებულებიდან პრობაციაში გადმოვიდნენ პენიტენციური დაწესებულებიდან, პრობაციაში არ იგზავნებიან“.

## რესპონდენტი 3

“გარდამავალი მენეჯმენტის ფარგლებში ამ ეტაპზე ვთანამშრომლობთ პენიტენციურ დაწესებულებასთან, რაც საერთო ჯამში მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ მათ ვაწვდით შეფასებას ოჯახის შესახებ. სხვა არანაირი კომუნიკაცია ჩვენ გარდამავალი მენეჯმენტის ფარგლებში არ გვაქვს.“

რესპონდენტების უმრავლესობის განმარტებით, მათ აქვთ სურვილი, რომ მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდეგ მიიღონ რაიმე სახის ინფორმაცია მაინც სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში, თუმცა ამჟამად არანაირ ინფორმაციას არ იღებენ. გარდა ამისა, რესპონდენტების ნაწილი ხარვეზად მიუთითებს იმ შემთხვევებს, როდესაც მსჯავრდებული ვადაზე ადრე გათავისუფლების გარდა სხვა საფუძვლითაც თავისუფლდება დაწესებულებიდან, ინფორმაციის გაცვლა უწყებებს შორის ფაქტობრივად არ ხორციელდება.

## რესპონდენტი 1

“ეს ყველაფერი მე შემიძლია მივიღო შეფასების შედეგად, როდესაც კითხვებს დავუსვამ მსჯავრდებულს სასჯელადსრულებაში გატარებულ პერიოდზე. მე როგორც ვიცი, შეფასებები ესე დოკუმენტის სახით არ მოდის“.

## რესპონდენტი 2

„სრულწლოვან ყოფილ მსჯავრდებულებთან მიმართებით, რაიმე დოკუმენტი პენიტენციური დაწესებულებიდან არ მომსვლია“.

### რესპონდენტი 3

„ხელს ის გარემოება უშლის, რომ გარდამავალი მენეჯმენტი არ მუშაობს. მაგალითად, ვამზადებთ ადამიანს გათავისუფლებისთვის, ვიცით, რომ პრობაციაში უნდა გადავიდეს და ჩვენი ამდენი შეფასება, ამდენი ინფორმაცია პრობაციას არ მიეწოდება და ისინი ისევ ნულიდან იწყებენ ამ ადამიანის/ მსჯავრდებულის შეფასებებს“.

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების ნაწილი აცხადებს, რომ მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესი N11 და N5 დაწესებულებებში ხორციელდება, რესპონდენტების მეორე ნაწილმა აღნიშნა, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში მათი გათავისუფლებისას სხვა უწყების მზრუნველობის ქვეშ გადაბარების მექანიზმი არ არსებობს. გარდა ამისა, ერთ-ერთი რესპონდენტი მიუთითებს, რომ არასრულწლოვნების გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში არა მხოლოდ უშუალოდ მსჯავრდებულის შეფასება უნდა მოხდეს, არამედ იმ რისკებზე მუშაობა, რომელიც ოჯახში არსებობს, დასაქმება იქნება ეს, ფსიქოლოგიური პრობლემა თუ ძალადობა, რაც ამ ეტაპზე, მისი შეფასებით, არ ხორციელდება.

### რესპონდენტი 1

“ჩემი აზრით, საჭიროა არსებობდეს გადაბარების მექანიზმი, კერძოდ, არსებობდეს კონკრეტული უწყება, რომელიც გააგრძელებს ურთიერთობას არასრულწლოვან მსჯავრდებულთან გარეთ. მოსალოდნელია, რომ ეს იყოს დანაშაულის პრევენციის ცენტრის წარმომადგენელი, ვინაიდან პირობითი მსჯავრი ყველა მსჯავრდებულს არ მიყვება. აუცილებელია, დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური მუშაკი გათავისუფლებამდე ერთვებოდეს ბავშვთან ურთიერთობაში, გაიცნოს იგი და დაწესებულების შესაბამისმა წარმომადგენელმა ეს შემთხვევა გადააბაროს მას“.

### რესპონდენტი 2

„[გარდამავალი მენეჯმენტი]დანერგილი არის მხოლოდ N11 დაწესებულებაში, სადაც გაეროს ბავშვთა ფონდის დიდი და მრავალწლიანი ძალისხმევით გარემო შეიცვალა და მე მგონი ევროპულ სტანდარტებსაა დაახლოებული. ანალოგიური პროცესი სხვაგან არსად არ მიმდინარეობს. N16 დაწესებულებაში ეხლა დაიწყეს იმპლემენტაცია, თუმცა ჯერ კიდევ ტრენინგები არ არის დაწყებული. გარდამავალ მენეჯმენტთან ძალიან ბევრი კითხვა მაქვს, ვინაიდან ვფიქრობ, რომ პირდაპირ ევროპული გამოცდილების გაზიარება ჩვენ არ გამოგვადგება; ევროპაში ეს ძირითადად სათემო ორგანიზაციებზეა დაფუძნებული, რაც საქართველოში არ მუშაობს თითქმის“.



კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში, პენიტენციურ დეპარტამენტსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის თანამშრომლობა იწყება მსჯავრდებულის მხოლოდ შესაძლო ვადაზე ადრე გათავისუფლებამდე (ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლამდე) 3 თვით ადრე. პრობაციის ეროვნული სააგენტო ვადაზე ადრე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოსთვის არასრულწლოვან მსჯავრდებულებზე ამზადებს ოჯახის შეფასებას, რასაც ორი მიზანი აქვს: კომისიას მიაწოდოს ოჯახის შესახებ ინფორმაცია, რამდენად მზად არიან მსჯავრდებულის მისაღებად, როგორი პირობები აქვთ, რა დამოკიდებულება აქვთ და ასე შემდეგ და მოამზადოს ოჯახი მსჯავრდებულის მისაღებად. რაიმე სახის თანამშრომლობა ან ინფორმაციის გაცვლა ამ ორ უწყებას შორის (რომლებიც ერთი სამინისტროს ქოლგის ქვეშ არიან), როცა მსჯავრდებული თავისუფლდება სხვა მიზეზით, გარდა ვადაზე ადრე გათავისუფლებისა, ამჟამად არ არსებობს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანამშრომლობა ამ ეტაპზე შემოიფარგლება მხოლოდ ქალ და არასრულწლოვან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში. თუმცა რესპონდენტები ასევე საუბრობდნენ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებითაც.

#### ა) დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და პენიტენციური სისტემის თანამშრომლობა

თვისობრივი კვლევისას, რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ დანაშაულის პრევენციის ცენტრსა და პენიტენციურ დეპარტამენტს შორის თანამშრომლობა შემოიფარგლება უწყებებს შორის გაფორმებული მემორანდუმით და სხვა სახის რეგულაციები მათ არ აქვთ. თუმცა, ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, მას ეს მემორანდუმი საერთოდ არ უნახავს და შესაბამისად არც მისი შინაარსი იცის. აღნიშნული მემორანდუმის თაობაზე არ აქვს ინფორმაცია მათ შორის რესპონდენტების სხვა ნაწილსაც.

#### რესპონდენტი 1

„პრევენციის ცენტრთან ოდესღაც არსებობდა, როდესაც პრევენციის ცენტრი ჩამოყალიბდა, მაშინ სამინისტროსა და პრევენციის ცენტრს შორის დაიდო მემორანდუმი, გადმოცემით ვიცი, მე არ მინახავს და იქ არის ზოგადი პირობები გაწერილი.“

#### რესპონდენტი 2

„ერთადერთი, რითაც ვამყარებთ, არის მემორანდუმი, ვთანამშრომლობთ



სასჯელადსრულებასთან, გვიგზავნიან განაჩენებს და გათავისუფლების ცნობებს და გვეხმარებიან იმისთვის, რომ შევიდეთ დაწესებულებაში, მხოლოდ ეს არის“.

დანაშაულის პრევენციის ცენტრსა და პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლობის პროცესთან დაკავშირებით ყველა რესპონდენტი ადასტურებს, რომ უწყებებს შორის კომუნიკაცია იწყება მსჯავრდებულის კალენდარულად გათავისუფლებამდე 3 თვით ადრე. თუმცა არაერთგვაროვანი არის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის კომუნიკაცია აქვთ პენიტენციურ დაწესებულებებთან. რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, მსჯავრდებულების შესახებ მათ ინფორმაცია მიეწოდებათ პენიტენციური დაწესებულებებიდან სანამ მსჯავრდებულებს შეხვდებიან, თუმცა რესპონდენტების მეორე ნაწილის განმარტებით, მსჯავრდებულების სიებს დაწესებულებაში მისვლის შემდეგ აწვდის დაწესებულების ადმინისტრაცია.

### რესპონდენტი 1

„ერთადერთი, დანაშაულის პრევენციის ცენტრის წარმომადგენელი მოდის და დაწესებულებაში ინდივიდუალურად ხვდება ბენეფიციარს, რომელსაც სამი თვე აქვს დარჩენილი მოსახდელად და ესაუბრება მათ“.

### რესპონდენტი 2

„როდესაც შევდივართ, თვითონ დაწესებულების თანამშრომლები გვაწვდიან, ყოველი თვის დასაწყისში შევდივართ, ამის შესახებ გაფრთხილებული არიან თანამშრომლები და გვახვედრებენ ადგილზე სიებს, ვინც თავისუფდება ერთიდან სამ თვემდე პერიოდში. შემდგომ ამ სიების დახმარებით იქაური რეჟიმის თანამშრომლები გვეხმარებიან, რომ გადმოიყვანონ ჩვენთან შეხვედრებზე“.

### რესპონდენტი 3

„როდესაც შევდივართ დაწესებულებაში, „სპეც-ნაწილში“ ვთხოვთ, რომ სია მოგვაწოდონ ამ ადამიანების, ვისაც მსგავსი ვადით აქვთ სასჯელი დარჩენილი და შემდეგ ხდება შიგნით ორგანიზება, რომ გადმოიყვანონ შეხვედრაზე პატიმრები და შემდგომ ვხვდებით. წინასწარ ასე გამზადებული სია არ გვაქვს, სანამ შევალთ არ ვიცით წინასწარ, როდესაც შევდივართ, შემდგომ ვითხოვთ სიას სადაც იქნება ამ ადამიანების შესახებ მონაცემები და შემდეგ თვითონ დაწესებულების თანამშრომლები უზრუნველყოფენ ჩვენთან შეხვედრას“.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში პენიტენციურ დეპარტამენტს და დანაშაულის პრევენციის ცენტრს შორის თანამშრომლობა რეგულირდება მემორანდუმით. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს მხოლოდ თანამშრომლობის ზოგად ჩარჩოს და იქ არ არის

გაწერილი დეტალური პროცედურები. თუმცა, რესპონდენტების უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია მემორანდუმის შინაარსთან დაკავშირებით. თვისობრივი კვლევისას გამოიკვეთა ერთგვაროვანი მიდგომა იმასთან დაკავშირებით, რომ ცენტრის თანამშრომლები ხვდებიან იმ მსჯავრდებულებს, ვისაც 3 თვემდე ვადა აქვთ დარჩენილი. თუმცა აქვე გამოჩნდა, რომ ინფორმაციას იმ მსჯავრდებულების შესახებ, ვინც შეიძლება გათავისუფლდეს, ზოგი იღებს წინასწარ, ხოლო ზოგი - დაწესებულებაში შესვლისას. მნიშვნელოვანია, რომ ამ კუთხით არსებობდეს ერთგვაროვანი მიდგომები და პრაქტიკა.

თვისობრივი კვლევისას რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულებს პენიტენციურ დაწესებულებაში არ მიეწოდებათ ზუსტი ინფორმაცია დანაშაულის პრევენციის ცენტრის შესახებ და იმის თაობაზე, თუ რა სახის სერვისებს სთავაზობს ცენტრი მსჯავრდებულებს გათავისუფლების შემდეგ. რესპონდენტების უმრავლესობამ ერთ-ერთ მიზეზად დაასახელა, რომ პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები (ძირითადად მიუთითებენ რეჟიმის სამსახურზე) არასწორ ინფორმაციას აწვდიან მსჯავრდებულებს და ხშირად ეუბნებიან, რომ დანაშაულის პრევენციის ცენტრის წარმომადგენლები არიან იუსტიციის სახლიდან, დასაქმების ბიუროდან, თუ სარეაბილიტაციო პროგრამიდან, რის გამოც მსჯავრდებულებს არ აქვთ მოტივაცია, შეხვდნენ ცენტრის წარმომადგენლებს. გარდა ამისა, რესპონდენტების განმარტებით, ხშირად მსჯავრდებულებს ისეთი სახის ინფორმაცია მიეწოდებათ, რომ მათ აქვთ არასწორი მოლოდინები, მაგალითად, რომ მისცემენ გარკვეულ თანხას ან გათავისუფლებისას სამსახურს დააწყებინებენ.

### რესპონდენტი 1

*„ხელის შემშლელი ფაქტორი არის დაწესებულების მხრიდან, რასაც ვხვდებით ხშირად - ბარიერი. ანუ ჩვენსა და პატიმარს შორის ინფორმაციის გადამტანი პირველად არის ადგილობრივი რეჟიმის თანამშრომელი, რომლებიც ხშირად არასწორად აწვდიან ინფორმაციას, და შესაბამისად მათაც გადმოსვლის და ჩვენთან შეხვედრის სურვილი არ უჩნდებათ“.*

### რესპონდენტი 2

*„თუ ჩვენ არ შეგვხვდნენ, სხვა შემთხვევაში არ მიეწოდებათ კარგად ინფორმაცია, რადგან მუდმივად ეუბნებიან, რომ ვართ იუსტიციის სახლიდან, იუსტიციის სახლი ნიშნავს სულ სხვა რაღაცას, ჩვენი დაწესებულება სულ სხვა რაღაცას და არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია“.*

აქედან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში აშკარად იკვეთება, რომ პენიტენციურ დეპარტამენტსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრს შორის თანამშრომლობის პროცესში უმეტეს შემთხვევაში მსჯავრდებულებს არ მიეწოდებათ ზუსტი ინფორმაცია იმის

შესახებ, თუ რა უწყებას წარმოადგენს დანაშაულის პრევენციის ცენტრი და რა სახის სერვისებს სთავაზობს მსჯავრდებულებს გათავისუფლების შემთხვევაში.

თვისობრივი კვლევისას რესპონდენტებმა განმარტეს, რომ მათი თანამშრომლობა პენიტენციურ დაწესებულებებთან არ მიმდინარეობს ერთიან ფორმატში. რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, დანაშაულის პრევენციის ცენტრის წარმომადგენლები არ შედიან N9 პენიტენციურ დაწესებულებაში. რეპოდენტების მეორე ნაწილი კი აღნიშნავს, რომ იმ დაწესებულებებში, სადაც დიდი რაოდენობის პატიმრები არიან განთავსებულნი, ფაქტობრივად შეუძლებელია დანაშაულის პრევენციის ცენტრში არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის ყველა მსჯავრდებულისთვის მიწოდება. მაგალითად, N8 დაწესებულებაში ხვდებიან მხოლოდ 30% იმ მსჯავრდებულებისა, ვინც თავისუფლდება. თუმცა, აქვე კვლევის მონაწილეები განმარტავენ, რომ ეს პროცესი ყველაზე კარგად არის ორგანიზებული N11, N5 და N16 დაწესებულებებში.

### რესპონდენტი 1

„აბსოლუტურად ყველა დაწესებულებაში შევდივართ, ყველაში არა, პრინციპში, არ შევდივართ, სადაც ჰყავთ თანამშრომლები, როგორიც არის #9 დაწესებულება, მანდ არ შევდივართ, დანარჩენი ყველგან შევდივართ“.

### რესპონდენტი 2

„ხელის შემშლელი ფაქტორი არის ის, რომ გათავისუფლებისთვის მომზადება თითო-ორი დაწესებულებაშია მხოლოდ და სხვა დაწესებულებებში არ არის. ეს არის მთავარი ფაქტორი, ამის ხელის შემშლელი ფაქტორი სხვადასხვაა, მაგალითად არის ის, რომ დაწესებულებაში, სადაც თითქმის 2000-მდე ადამიანია, იქ, თითქმის შეუძლებელია ინდივიდუალურ დონეზე მუშაობა, შიდა თანამშრომლების მხრივ, არასოდეს იქნება სოციალური მუშაკი საკმარისი, რომ ამ რაოდენობას გაუმკლავდეს. ჩემი აზრით სისტემის პრობლემა უფრო არის დაწესებულების მოწყობის. სადაც პატარა დაწესებულებაა, მაგალითად #16, #11 ან #5, მეტ-ნაკლებად ხდება გათავისუფლებისთვის მომზადება და სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებაც, მაგრამ დიდ დაწესებულებებში ცოტა რთულია ამის გაკეთება“.

### რესპონდენტი 3

„მაგალითად, გლდანის დაწესებულებაში მე პირადად არასოდეს მქონია შემთხვევა, რომ ყველას შევხვედრილვარ, ვინც უნდა მენახა. ყოფილა, უარი უთქვამს დაახლოებით 30%-ს“.

აქედან გამომდინარე, პენიტენციურ დეპარტამენტსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრს შორის თანამშრომლობისას არაერთგვაროვანი პრაქტიკაა პენიტენციური

დაწესებულებების მიხედვით და ეს პრობლემა განსაკუთრებით იკვეთება დიდი ზომის პენიტენციური დაწესებულებებთან თანამშრომლობის პროცესში.

რესპონდენტების განმარტებით, ერთ-ერთი ხელის შემშლელი არის უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლა. მათ არ აქვთ ინფორმაცია, თუ რა მომსახურებებს იღებდა, რა სარეაბილიტაციო პროგრამებში იყო ჩართული მსჯავრდებული პენიტენციურ დაწესებულებაში. ასევე მათ არ აქვთ ინფორმაცია, რა სახის სერვისებს იღებს ან იღებდა გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებული პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, თუკი მას პირობითი მსჯავრიც ჰქონდა.

### რესპონდენტი 1

„თვითონ პროგრამის ფუნქციონირებისთვის უმთავრესი ხელის შემშლელი არის უწყებებს შორის ინფორმაციის გაზიარების პრობლემა. ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, რა მომსახურებებს იღებდა, რა სარეაბილიტაციო პროგრამებში იყო ჩართული, ჩვენ ამ უწყებების მხრიდან ინფორმაცია არ გვაქვს და ასევე თუ პრობაციონერია და რაიმე სახის სარეაბილიტაციო პროგრამაშია ჩართული, პრობაციის მხრიდან ჩვენ არანაირი ინფორმაცია არ მოგვეწოდება ამის შესახებ. ეს არის დიდი პრობლემა და ნამდვილად დასახვეწია ამ უწყებებს შორის, რომ რაღაცნაირად გავცვალოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას აკეთებს სახელმწიფო კონკრეტულად ამ ბენეფიციარზე“.

### რესპონდენტი 2

„გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესს რაც შეეხება, არის გარკვეული ხარვეზები, როდესაც ჩვენ შევდივართ დაწესებულებაში, რა თქმა უნდა, ამაზე ჩვენი გარკვეული რესურსი იხარჯება, მატერიალურიც და არის შემთხვევები, როდესაც საერთოდ არ ავსებენ, არ ინტერესდებიან, ან ვინც ავსებს მომართვას, შემდგომში არ ერთვებიან. ეს რესურსი, რაც ჩვენ მიერ იხარჯება, ზოგჯერ არ არის ეფექტური. რაიმე სხვა ფორმით რომ ხდებოდეს ჩვენი მათთან შესვლა, გაცნობა ჩვენი პროგრამების და ა.შ. შეიძლება უფრო ეფექტური იყოს. რეალურად რომ ხედავდნენ, რომ იქ არიან და ჩვენ უკვე რაიმეს ვცდილობთ, თუ დაიწყო და განხორციელდა ყოფილი პატიმრების ოჯახებთან მუშაობა, შეიძლება უფრო იმედი მიეცეთ“.

პენიტენციურ დეპარტამენტსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრს შორის დღეს არსებული თანამშრომლობა შემოიფარგლება მსჯავრდებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებით, თუ რა სახის სერვისებზე შეიძლება ჰქონდეთ წვდომა გათავისუფლების შემდეგ. მხოლოდ აღნიშნული სახის აქტივობა, ვერ ჩაითვლება გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესის ეფექტიან ორგანიზებად, თუმცა ნებისმიერი სახის სერვისი, რაც შეიძლება მსჯავრდებულს გათავისუფლების შემდგომ დახვდეს, ხელს უწყობს პირის ინტეგრაციას საზოგადოებაში.

## ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან დაკავშირებით როგორც პენიტენციურ სისტემაში, ასევე პრობაციის ეროვნულ სააგენტოში და დანაშაულის პრევენციის ცენტრში შეფასდა სხვადასხვა სახის კომპონენტები, კერძოდ: სუპერვიზია/მონიტორინგის სისტემა; უკუკავშირის და ანგარიშგების სისტემა; მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სისტემა.

### ა) პენიტენციური დეპარტამენტი

რესპონდენტების მხრიდან მიღებული ინფორმაცია არაერთგვაროვანია იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის უკუკავშირს იღებს პენიტენციური სისტემის მენეჯმენტი პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული სერვისების თაობაზე. რესპონდენტების ერთმა ნაწილმა აღნიშნა, რომ უკუკავშირი არსად ფიქსირდება, ხოლო მეორე ნაწილმა კი განაცხადა, რომ უკუკავშირს სიტყვიერად იღებენ - „*სხვათაშორის არსად არ ფიქსირდება უკუკავშირი, ისე სიტყვიერად თუ ვინმე გამოთქვამს*“. თუმცა იყვნენ რესპონდენტები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათ მიერ განხორციელებული პროგრამების მოდულებში არის ასახული შესაბამისი უკუკავშირის ფორმები, რისი მეშვეობითაც ისინი წერილობითი ფორმით იღებენ ინფორმაციას.

### რესპონდენტი 1

*„ყველა ტრენინგ-მოდულს აქვს თავისი უკუკავშირის ფორმა, რომელშიც მსჯავრდებულებს შეუძლიათ, დააფიქსირონ თავიანთი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება. როგორც სიტყვიერად ვეკითხებით, წერილობითაც ვავსებინებთ ფორმებს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება არც არაფერი ჩაწეროს მსჯავრდებულმა“.*

### რესპონდენტი 2

*„უკუკავშირი სიტყვიერი მიმილია, მაგრამ სადმე რომ ფიქსირდებოდეს ან ვინიშნავდეთ, ესეთი არ არსებობს. არც რაიმე შეფასების ფორმა არ გვაქვს.*

პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული სერვისების და ზოგადად პროცესის მონიტორინგთან/სუპერვიზიასთან დაკავშირებით, რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში შექმნილია სპეციალური სუპერვიზიის ჯგუფი. მათი განმარტებით, ისინი უშუალოდ პენიტენციურ დაწესებულებაში ესწრებიან კონკრეტული პროგრამის მიმდინარეობას და ადგილზე აფასებენ, თუ რამდენად სწორად და ეფექტიანად მიმდინარეობს ესა თუ ის პროგრამა. . რესპონდენტებმა ასევე განაცხადეს, რომ აღნიშნული სუპერვიზიის სისტემით



ამოწმებენ მხოლოდ საკუთარი თანამშრომლების მიერ მიწოდებული სერვისების ხარისხს, თუმცა აპირებენ, რომ ეს მექანიზმი გავრცელდეს ასევე გარედან მოწოდებულ სერვისებზეც.

## რესპონდენტი 1

„სამინისტროში არის სუპერვიზიის ჯგუფი, რომელიც ყველა მიმართულებაზე - იგივე სასაჯლოს ინდივიდუალური დაგეგმვა, სხვა პროგრამები, მისი შესრულების ხარისხი როგორია, ყველაფერზე ეს ჯგუფი არის პასუხისმგებელი ... კვირაში გავქვს ორი-სამი გასვლა, თითო ციხეში თვეში ორჯერ მინიმუმ გვიწევს შესვლა“

## რესპონდენტი 2

„ის შეფასებები, რა შეფასებებიც ჩვენ ახლა ჩვენ თანამშრომლებს, ჩვენ ფასილიტატორებს გავუკეთეთ, აუცილებლად გავრცელდება უკვე გარე სერვის პროვაიდერებზეც. ეს არის როდესაც თვითონ ფასილიტატორი ჯგუფის წევრებს აფასებს სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, თუკი ორი ფასილიტატორია, ერთმანეთს აფასებენ, ასევე ფასილიტატორი სესიას აფასებს, რა იყო ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი დღევანდელ სესიაში, რამ არ იმუშავა ყველაზე მეტად და არის საბოლოო შეჯამება, საბოლოო შეჯამება ფასილიტატორის მხრიდან და ასევე მონაწილეები საბოლოო შეჯამებაზე აფასებენ თვითონ პროგრამას. ეს შეფასებების სისტემა ყველაზე ერთნაირად გავრცელდება, მნიშვნელობა არ აქვს, გარედან შემოდის, თუ შიგნით განახორციელებს. უკვე შევკარით ეს ყველაფერი, ადაპტირებას გავდივართ, დახვეწა უნდა ყველაფერს და შემდეგ ყველაზე გავრცელდება“.

რესპონდენტების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები არაერთგვაროვანია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განსაზღვრავენ, რა სახის სერვისების/პროგრამების საჭიროება არსებობს პენიტენციურ სისტემაში. ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ, როგორც წესი, კეთდებოდა მსჯავრდებულების გამოკითხვა და ამ მეთოდით ხდებოდა ზოგადად მსჯავრდებულის საჭიროებების განსაზღვრა. - „აქამდე ხდებოდა ისე, რომ წლის დასაწყისში კეთდებოდა გამოკითხვა მსჯავრდებულებთან და ვსწავლობდით მათ საჭიროებებს ამ კუთხით, მერე ხდებოდა ანალიზი და რომელი პროგრამებიც უფრო მეტად მოთხოვნადი იყო ვთავაზობდით იმ პროგრამებს“. თუმცა, რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ (არასრულწლოვან) მსჯავრდებულთა საჭიროებების განსაზღვრა ხდება მათ მიერ განხორციელებული შეფასების საფუძველზე. რესპონდენტების ნაწილმა ასევე განაცხადა, რომ საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა სახის საჭიროებები აქვთ ზოგადად მსჯავრდებულებს (მაგალითად, წამალდამოკიდებულებს) და ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხდება მათთვის სერვისების შეთავაზება. ასევე აღინიშნა, რომ კანონმდებლობითაც აქვთ აღებული გარკვეული სახის ვალდებულებები (მაგალითად, ოჯახურ ძალადობაში მსჯავრდებულ პირებთან მიმართებაში) და



სერვისების შერჩევაც შესაბამისად აღნიშნული ვალდებულების ფარგლებშიც ხორციელდება.

#### რესპონდენტი 1

„შეფასების შედეგად შეირჩევა პროგრამები. იმის მიხედვით თუ ბავშვის რა საჭიროებები და პრობლემები გამოვლინდება, რომლებიც მუშაობას საჭიროებს. რა თქმა უნდა, ეს ხდება ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო თუ შემეცნებით და განმავითარებელ პროგრამას შეეხება საკითხი, ასევე არასრულწლოვნის უნარები მიიღება მხედველობაში“.

#### რესპონდენტი 2

„გარკვეული საჭიროებები არის, ზოგადად საყოველთაოდ ცნობილი ყველა ქვეყნისთვის - ერთი და მეორე, გარკვეული ვალდებულებებია იგივე ოჯახური ძალადობა რომ ავიღოთ, რომც არ გააკეთო საკანონმდებლო ვალდებულება და აუცილებელია რომ გქონდეს, რაც შეეხება წამალდამოკიდებულის მკურნალობას და პენიტენციური სტრესის მართვა რომ აუცილებელია პენიტენციურ სისტემაში, ამას არ ჭირდება საჭიროებების გამოვლენა.“

ანგარიშების სისტემასთან დაკავშირებით, რესპონდენტების მხრიდან მიღებული ინფორმაცია არაერთგვაროვანია. რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ ისინი წარადგენენ სპეციალური ანგარიშებს და ყველა მონაცემი გროვდება, თუ ვინ რა სახის პროგრამაში იყო ჩართული. ერთ-ერთმა რესპონდენტმა (პენიტენციური სისტემიდან) განაცხადა, რომ შეფასება არ იწერება.

#### რესპონდენტი 1

„შეფასება არსად იწერება. არსებობს პროგრეს-რეგრესის ანგარიში; თავიდან დგება ოქმი და გადასინჯვა ხორციელდება 6 თვის შემდეგ“. თუმცა რესპონდენტების მეორე ნაწილი აცხადებს, რომ ასეთი ანგარიშგება მათთან არ არის (არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში)

#### რესპონდენტი 2

„ანგარიშგება ჩვენთან არ არის. მაგრამ ჩვენც გვაქვს შესაძლებლობა, რომ დავესწროთ ამ კურსებს და შესაბამისად პროცესებსაც დავაკვირდეთ“.

#### რესპონდენტი 3

„ვერ იყრის თავს [ინფორმაცია], იმიტომ რომ ეს პროცესის მონიტორინგი ჯერ არ არსებობს, ანუ როდესაც ააწყობ ამ ყველაფერს, უნდა აკინძო ერთმანეთზე და თავისთავად უკვე მიდიხარ შედეგამდე და მერე მიდიხარ ანალიზამდე“.

#### რესპონდენტი 4

„თუკი მათი [სახელმწიფოს] დაფინანსება არის, მაშინ ფორმალიზებული ანგარიშგება გვაქვს, თავისი ანგარიშგების ფორმების შესაბამისად. ეს არის ყოველთვიური ანგარიშგება როგორც ფინანსური, ისე ნარატიული. თუ დაფინანსება მათგან არ მოდის, ჩვენ ძირითად შედეგებს წერილობითი სახით მუდმივად ვაწვდით როგორც ლოკალურ, ისე ცენტრალურ დონეზე. ამას არ აქვს ფორმალური ანგარიშის ფორმა, მაგრამ ვინაიდან ძირითადი შედეგები მათ უნდა“.

პროგრამების/სერვისების ეფექტურობის შეფასებასთან დაკავშირებით, რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ასეთი სახის შეფასება ამ ეტაპზე ვერ ხორციელდება და აღნიშნული საკითხი არის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა. რესპონდენტების ნაწილმა კი განაცხადა, რომ პროგრამის/სერვისის ეფექტურობის შეფასებას ახორციელებენ მხოლოდ მსჯავრდებულის გამოკითხვით (უკუკავშირით). ერთ-ერთმა რესპონდენტმა კი აღნიშნა, რომ მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებს აგროვებენ.

#### რესპონდენტი 1

„შეფასება და გაზომვა რომ არ ხდება, ეფექტურობის ძალიან დიდი ხარვეზია, იმიტომ რომ არ გვაძლევს უფრო მეტად დახვეწის და განვითარების საშუალებას“.

#### რესპონდენტი 2

„ერთადერთი ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ სტატისტიკა, რამდენი მსჯავრდებული იყო ჩართული“.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ უცხოელი ექსპერტის მხარდაჭერით მუშაობენ იმაზე, რომ ჩამოაყალიბონ პროგრამების შეფასების ლოგიკური მოდელი, რომლის მეშვეობითაც გეგმავენ, რომ შეაფასონ პროგრამების ეფექტურობა

#### რესპონდენტი 1

„ყველა პროგრამას აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგი. ჩვენ ეხლა ამერიკის ერთ-ერთ ექსპერტთან ერთად ვამუშავებთ პროგრამების შეფასების ლოგიკურ მოდელს, ამ ქალბატონმა ჩაგვიტარა უკვე ერთი ტრენინგი, როგორ უნდა შევქმნათ ეს ლოგიკური მოდელები, ახლა ვაკეთებთ ამ ყველაფერს და ნოემბერში ექნება შემდგომი ვიზიტი ამ ქალბატონს. ლოგიკური მოდელი ნიშნავს ეფექტიანობას როგორ ვადგენთ თითოეული პროგრამის და მისი მეორე ვიზიტისთვის გვექნება ეფექტიანობას როგორ ვაფასებთ თვითონ პროგრამის და თვითონ

მონაწილის და ეს ინსტრუმენტიც უკვე გვექნება“.

## რესპონდენტი 2

„სერვისების ეფექტურობის გაზომვა არის ის გამოწვევა, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგავართ, ეხლა დავიწყეთ მუშაობა ლოგიკურ მოდელზე, რომელშიც გვეხმარება ამერიკელი ექსპერტი, რომლითაც გვინდა, რომ მოვახდინოთ ამა თუ იმ პროგრამის ეფექტურობის შეფასება და გაზომვა“.

## რესპონდენტი 3

„ეს არის საკვანძო მომენტი, რომელიც წლებია უკვე საქართველოში დგას. არავინ არასოდეს აფასებს სერვისი, რომელიც მივაწოდეთ, ხარისხიანი იყო თუ არა. ამას უნდა ცოდნა, პროფესიონალიზმი, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა და ჩვენ მუდმივად ვიძახით, რომ სქემა არის გასაკეთებელი. ჩვენ რა სერვისსაც ვაწვდით გარედან არასამთავრობოები ამას არავინ არ აფასებს აბსოლუტურად. მონიტორინგი არ ნიშნავს შეფასებას“.

## რესპონდენტი 4

„დიახ, არ არსებობს. ობიექტურად ვიღაც რომ ადგენდეს, რომ ეს ხელობის ჯგუფი ამ ბენეფიციარისთვის წარმატებული იყო თუ არა, ეს არ ხორციელდება. ვერ ვზომავთ. სერტიფიკატის გადაცემა არ ნიშნავს წარმატებულობას“.

კვლევამ აჩვენა, რომ პენიტენციურ სისტემაში ხარისხის კონტროლის მექანიზმები არაერთგვაროვანია და არ არის სისტემატიზირებული. მაგალითად, სერვისის ზოგიერთი მიმწოდებელი იღებს უკუკავშირს მის განხორციელებული პროგრამასთან დაკავშირებით წერილობით, ხოლო ზოგი ან საერთოდ არ იღებს ასეთი სახის უკუკავშირს, ან მხოლოდ სიტყვიერად.

სუპერვიზიის/მონიტორინგის სისტემის გარკვეული ელემენტები არსებობს იმ შემთხვევებში, როდესაც სერვისის მიმწოდებელი უშუალოდ პენიტენციური დეპარტამენტის პერსონალია. თუმცა გარე ორგანიზაციების მიერ მიწოდებული სერვისების სუპერვიზია არ ხდება. გარდა ამისა, რთულია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ეფექტიანად ხორციელდება სუპერვიზია, თუნდაც დეპარტამენტის მიერ მიწოდებულ სერვისებთან დაკავშირებით. რაიმე სახის ინსტრუქცია და ინსტრუმენტები ამ ეტაპზე შემუშავებული არ არის.

სერვისების საჭიროებების განსაზღვრასთან დაკავშირებით პენიტენციურ სისტემაში საკმაოდ არაერთგვაროვანი მიდგომებია. ზოგ შემთხვევებში ხდება მსჯავრდებულთა წინასწარ გამოკითხვა, თუ რა სახის სერვისებში სურთ ჩართვა. ერთ შემთხვევაში ითქვა,

რომ საჭიროებების განსაზღვრას ახდენენ მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასების შედეგად (არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში). ასევე გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევებში არ ხდება რაიმე სახის ანალიზი და უბრალოდ ეყრდნობიან საუკეთესო გამოცდილებას.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ჩამოყალიბებული არ არის ანგარიშგების ერთიანი სისტემა, როგორც უშუალოდ პენიტენციური დეპარამენტის მიერ განხორციელებულ სერვისებთან, ასევე სხვა ორგანიზაციების მიერ მიწოდებულ სერვისებთან დაკავშირებით. კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ არ არის ჩამოყალიბებული მიწოდებული სერვისების ხარისხის კონტროლის სისტემა და შესაბამისად ვერც გათავისუფლებისათვის მომზადების ერთიანი პროცესის ანალიზი ხორციელდება.

## ბ) პრობაციის ეროვნული სააგენტო

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შექმნილი არის აღსრულების კონტროლის, სტატისტიკისა და ანალიზის სამმართველო. ამ სამმართველოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს, მოითხოვოს სტატისტიკური ანგარიში და მოახდინოს სტატისტიკური მონაცემების შეჯამება და სისტემაში მოყვანა; შეაგროვოს პრობაციის ბიუროების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მოახდინოს შესაბამისი ანალიზი და კონტროლი.<sup>95</sup> მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციას გარკვეულწილად წარმოადგენს, აკონტროლოს ხარისხი პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით (მათ შორის მიწოდებულ სერვისებთან დაკავშირებით) მიღებული მონაცემების ანალიზის გზით, თვისობრივი კვლევისას მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა დაადასტურა, რომ პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ზოგიერთი კომპონენტის ხარისხის კონტროლი აღნიშნული სამმართველოს მეშვეობით ხორციელდება, რაზეც იქნება ქვემოთ მსჯელობა.

აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის გარდა, სააგენტოში შექმნილია სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო, რომლის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიმართულებით პროფესიული სტანდარტების შემუშავება და დანერგვა; რეაბილიტაციის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა-ფუნქციონირება.<sup>96</sup> თვისობრივი კვლევისას გამოიკვეთა, რომ მიწოდებულ სერვისებთან და სააგენტოს პერსონალის მიერ განხორციელებულ

<sup>95</sup> საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №903 - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე, მ.9 (7).

<sup>96</sup> იქვე მ.9 (9)

საქმიანობასთან დაკავშირებით ხარისხის კონტროლი ძირითადად უკავშირდება აღნიშნული სამმართველოს საქმიანობას.

თვისობრივი კვლევისას, პრობაციის ეროვნული სააგენტოში განხორციელებულ სერვისებთან დაკავშირებით, რესპონდენტების მხრიდან მიღებული ინფორმაცია არაერთგვაროვანია. რესპონდენტების ერთმა ნაწილმა განაცხადა, რომ უკუკავშირის იღებენ წერილობით, ხოლო მეორე ნაწილმა კი განაცხადა, რომ ძირითადად სიტყვიერ უკუკავშირის იღებენ, მათ შორის სატელეფონო კავშირის მეშვეობითაც.

### რესპონდენტი 1

„უკუკავშირი რამე ფორმალური სახის არ არის. პრაქტიკიდან გამომდინარე, ძირითადად არის სიტყვიერი“. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ასევე განაცხადა, რომ უკუკავშირი მათ სისტემატურად არ მიეწოდებათ“

### რესპონდენტი 2

„გულწრფელად რომ გითხრათ, ხან მოგვდის ინფორმაცია, ხან არა. მაგრამ არის ორგანიზაციები, რომლებიც ყოველთვის გვიგზავნიან უკუკავშირს, რა პროგრამაში იყო ჩართული, რა სერვისი მიეწოდა, რამდენად ეფექტური იყო და როგორ იმუშავა“.

რესპონდენტების ნაწილმა ასევე აღნიშნა, რომ ზოგიერთი სერვისის მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციიდან სისტემატურად იღებენ გარკვეული სახის უკუკავშირს. თუმცა, რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, უკუკავშირს იშვიათად იღებენ სერვისის მიმწოდებლებისგან.

### რესპონდენტი 1

„ჩვენ გვაქვს როგორც გადამისამართების, ასევე უკუკავშირის ფორმა. ძალიან კარგად გვაქვს ეს აწყობილი „X“-თან. მათთან ვუშვებთ თუ არა თავისივე თანხმობით ბენეფიციარს, ვაწვდით ორგანიზაციას მსჯავრდებულის საჭიროებების შესახებ ინფორმაციას. ბენეფიციარისთვის სერვისის მიწოდების შემდეგ კი უკუკავშირს გვაძლევენ უკვე ორგანიზაციები.“

### რესპონდენტი 2

„რომ გითხრათ, რომ სისტემატურად მოგვდის უკუკავშირი, ნამდვილად არა. მე ვისურვებდი, რომ ეს ინფორმაცია (მიწოდებულ სერვისებთან დაკავშირებით) იყოს მოწოდებული იმ დონორი

ორგანიზაციებისგან, ვისთანაც ჩვენ ბენეფიციარებს ვაგზავნიოთ“.

### რესპონდენტი 3

„განსხვავებული პრაქტიკაა სხვადასხვა ორგანიზაციებთან მიმართებაში. საუკეთესო პრაქტიკაა, როდესაც გვაძლევენ წერილობით უკუკავშირს. თუმცა, თუ ეს არ არის, სპეციალისტი სატელეფონო ფორმით მაინც ცდილობს, მიიღოს უკუკავშირი, როგორ გაიარა ბენეფიციარმა ესა თუ ის პროგრამა“.

### რესპონდენტი 4

„წერილობითი უკუკავშირი არ მიმიღია. თუმცა უკუკავშირი მიმიღია ინფორმაციის სახით, ან ყოფილა შემთხვევა, პრობაციის ოფიცირისთვის უთქვამს, რამდენად კმაყოფილი იყო კონკრეტული პროგრამის ან აქტივობის გავლის შემდგომ“.

შიდა სუპერვიზიის სისტემასთან დაკავშირებით რესპონდენტების უმრავლესობამ ერთგავროვნად აღწერა აღნიშნული პროცესი. მათი განმარტებით, მათ ყავთ პროფესიული ზედამხედველი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით (და უმეტესობამ დაადასტურა, რომ 6 თვეში ერთხელ მაინც), ახორციელებს შიდა სუპერვიზიას. სუპერვიზიის დროს ხდება სოციალური მუშაკების საქმიანობაზე დაკვირვება და, ასევე, შესაძლოა განახორციელონ კონკრეტული შემთხვევების ანალიზიც და ჩაატარონ სიმულაციური ტრენინგები. ასევე რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ აქვთ შემუშავებული ისეთი სახის სუპერვიზიის სისტემა, როცა თანამშრომლობი ერთმანეთს ამოწმებენ.

### რესპონდენტი 1

„პროგრამებთან მიმართებაში სამმართველოს ყავს სამი პროფესიული ზედამხედველი, რომელთაც განაწილებული ყავთ ჩვენი სპეციალისტები და შინაარსობრივად ამოწმებენ ყველა ქეისს. მაგალითად, 6 თვეში ერთხელ ახორციელებენ სუპერვიზიას, სადაც ყველა კომპონენტი გაითვალისწინება. გვაქვს სუპერვიზიის ფორმები, ამასთან, ახლა ვწერთ გაიდლაინებს, როგორ უნდა იმუშავოს სუპერვაიზორმა და მისმა დაქვემდებარებულმა. სუპერვიზიის დროს ყველაფერს ვაჯერებთ, ვთქვათ, რამდენი ბენეფიციარი ჰყავს სპეციალისტს და როგორ ახორციელებს მუშაობას, ფასდება მთელი პროცესი დასაწყისიდან დასასრულამდე, მათ შორის, თუ რა უჭირს სოციალურ მუშაკს“.



## რესპონდენტი 2

„ჩვენ გვაქვს შიდა ინსპექტირების მექანიზმი, რომელიც ჩატარდა 2015 წელს და იმედი გვაქვს, რომ ჩავატარებთ 2017-შიც. ეს გულისხმობს ერთი ან ორი სპეციალისტის, სოციალური მუშაკის და ოფიცრის პროცესში ჩართვას და სხვა რეგიონის შემოწმებას. თანამშრომლები ამოწმებენ ერთმანეთს, ოღონდ სხვადასხვა რაიონები. მერე ეს დგება დოკუმენტურად, ჯერდება ქულობრივად, თუმცა ამას არ მოჰყვება რაიმე სანქცია, არამედ ატარებს რეკომენდაციის სახეს“.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ინსპექტირების/სუპერვიზიის მექანიზმი ნორმატიულად დარეგულირებული არ არის და არ აქვთ შესაბამისი ინსტრუმენტებიც - „რაც შეეხება ბრძანებას, სამწუხაროდ, არ გვაქვს დამტკიცებული ეს ინსპექტირების მექანიზმი და სუპერვიზიის კომპონენტი, არც შესაბამისი ფორმები“. თუმცა მეორე რესპონდენტმა განმარტა, რომ, თუ სერვისებს უშუალოდ სააგენტოს თანამშრომლები აწვდიან, აღნიშნული პროცესი სამართლებრივად დარეგულირებულია ბრძანებით.

## რესპონდენტი 1

„იმ შემთხვევაში, თუ პრობაციის ეროვნული სააგენტო უშუალოდ ახორციელებს სარეაბილიტაციო პროგრამებს პირობით მსჯავრდებულებთან, ბრძანებით არის დარეგულირებული რა ვადით და როგორ უნდა მოხდეს ამ პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი. თუ 18 თვეზე ნაკლები ვადაა დარჩენილი საპრობაციო ვადის, მაშინ სამ თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს, თუ 18 თვეზე მეტია, მაშინ მაქსიმუმ 6 თვეში ერთხელ“

რესპონდენტების ნაწილმა ასევე განაცხადა, რომ გარე სუპერვიზია მათთან არ ხორციელდება - „არა, გარე მონიტორინგი არ ხორციელდება. ჩვენ გვყავს უფროსი სოციალური მუშაკი, სუპერვაიზორი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ერთვება მონიტორინგის პროცესში“. „პროფესიული (გარე) სუპერვიზია არ გვაქვს“. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ასევე განაცხადა, რომ გარკვეული სახის კონტროლს ახორციელებს მათი სტატისტიკისა და კონტროლის სამმართველო.

## რესპონდენტი 1

„ჩვენ ასევე გვყავს სტატისტიკისა და კონტროლის სამმართველო რომელსაც ჰყავს თავისი თანამშრომლები და მთელ ამ პროცესის შეჯერებას ახორციელებენ. მაგალითად, კონტროლის სამსახური ამოწმებს, რამდენად სწორად შეივსო ზიანის რისკის შეფასების დოკუმენტი“.

## რესპონდენტი 2

„როგორც გითხარი, მაგალითად, ზედამხედველი, რომელიც აფასებს თავის დაქვემდებარებულ პირს, წერს ფორმას, აუცილებლად აცნობს სოციალურ მუშაკს, თუ რაზე ესაჭიროება გაძლიერება, შემდეგ ამას მაცნობს მე. ინდიკატორი ეს არის ის შეფასების ანალიზი, რომელსაც დებს პროფესიული ზედამხედველი“.

## რესპონდენტი 3

6 თვეში ერთხელ სპეციალისტთან არის დაგეგმილი ინდივიდუალური სუპერვიზია, თუმცა ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ზედამხედველობა მათ საქმიანობაზე, მაგალითად, ინდივიდუალური შეფასებების გადახედვის ფორმით, გარდამავალ მენეჯმენტზე ვსაუბრობთ და არც ერთი შეფასება გარე უწყებებში არ იგზავნება სუპერვაიზორის მიერ გავლის გარეშე. ნებისმიერი შეფასება, რომელიც გარე უწყებაში იგზავნება, ჯერ გადახედილია პროფესიული ზედამხედველის მიერ და პროფესიული უკუკავშირია მიწოდებული. თუ რაიმე არის შესაცვლელი, მისი რეკომენდაციით იცვლება და შემდეგ იგზავნება. რაც შეეხება 6 თვეში ერთხელ სუპერვიზიას, ეს წინასწარ არის დაგეგმილი და ხდება სხვადასხვა ტიპის ქეისების განხილვა, რასაც გულისხმობს სუპერვიზია“.

## რესპონდენტი 4

„რაც შეეხება სუპერვიზიას და მონიტორინგს, უფროსი სოციალური მუშაკი, სუპერვაიზორი ან თუნდაც სამმართველოს უფროსი ნებისმიერ დროს შესაძლებელია დამესწროს კონკრეტულ სარეაბილიტაციო პროგრამაზე ან მთხოვოს, რომ სურს, დაესწროს, რამდენად წარმატებით ვახორციელებ კონკრეტულ აქტივობას. მას შემდეგ, რაც დაესწრება პროგრამას, შეაფასებს საქმიანობას და რეკომენდაციებს მომცემს. ასევე სოციალური მუშაკები ვახორციელებთ ხოლმე სიმულაციებს, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამების ჩატარებას სოციალური მუშაკების ჯგუფში. ამას ესწრება სამმართველოს უფროსი, უფროსი სოციალური მუშაკი, საჭიროების შემთხვევაში მრჩეველი, რომლებიც უფრო გამოცდილები არიან და გვაძლევენ რეკომენდაციებს, ეს სარეაბილიტაციო პროგრამა სხვა ფორმით ან სხვა მიმართულებით ჩავატაროთ“.

რესპონდენტების მხრიდან მსგავსი მოსაზრებები გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იღებენ გადაწყვეტილებას, სხვადასხვა სახის პროგრამებში ბენეფიციარების გადამისამართების კუთხით. ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ პროგრამაში გადამისამართება ეფუძნება რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტს, სადაც ხდება მსჯავრდებულების კლასიფიცირება დაბალი, საშუალო და მაღალი რისკის მიხედვით. ამის საფუძველზე მათ სთავაზობენ ნებაყოფლობით და სავალდებულო პროგრამებს. რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, მათ შემუშავებული აქვთ რეფერირების სისტემა და მისი მეშვეობით ახორციელებენ პრობაციონერების გადამისამართებას შესაბამის სერვისებში. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით კი

ყველა სახის ინფორმაცია იყრის თავს ერთიან ელექტრონულ ბაზაში, სადაც ასევე აისახება მონიტორინგის და შეფასების შედეგებიც. თუმცა სხვა რესპონდენტის განმარტებით, ერთიანი დოკუმენტი, სადაც ასახული იქნება მონიტორინგის შედეგები, არ არსებობს.

#### რესპონდენტი 1

„ჩვენ გვაქვს რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტი, რომელსაც თავიდან აქვს ზიანის რისკის სკრინინგ-ინსტრუმენტი და განსაზღვრავს, ადამიანი დაბალი, საშუალო თუ მაღალი რისკის მქონეა. საშუალო რისკის დროს შეფასებაში ერთვება სოციალური მუშაკი, რომელიც გამოკვეთს საჭიროებებს და ამის შესაბამისად მსჯავრდებულს ჩასვამს შესაბამის პროგრამაში“.

#### რესპონდენტი 2

„სატელეფონო კომუნიკაციით ხდება შერჩევა (და დაკავშირება სერვისის მიმწოდებლებთან). ამასთან, შეიძლება უშუალოდ შევხვდე კიდეც, მაგალითად, იმ ფსიქოლოგს, რომელიც მუშაობდა ბენეფიციართან. ჩვენგან გადამისამართება ძირითადად ხდება ოფიციალურად, რეფერირებით“.

#### რესპონდენტი 3

„ყველა დოკუმენტი ატვირთულია ელექტრონულად ერთიან ბაზაში და პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვება შეუძლია ქეისის მართვაში ჩართულ ყველა სპეციალისტს. აქვე აისახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგებიც“.

#### რესპონდენტი 4

„მონაცემები გროვდება, როდესაც 6 თვეში ერთხელ იწერება მონიტორინგის გეგმა, სუპერვიზიის ჩანაწერი, რომელიც მოდის ჩემთან. ეს ყველაფერი არის თვის ვადებით და აქტივობებით გაწერილი“.

#### რესპონდენტი 5

„არ გვყავს არც ერთი სპეციალისტი, რომელიც უშუალოდ მიმაგრებულია, მხოლოდ იმაზე, რომ გააკეთოს მონიტორინგი; ამაში უშუალოდ ჩართულია თითოეული სოციალური მუშაკი, რომელმაც გადაამისამართა ან ჩართო ბენეფიციარი კონკრეტულ აქტივობაში. შესაბამისად,

ერთიანი დოკუმენტი, სადაც ასახული იქნება ნებისმიერი სახის მომსახურების მონიტორინგი, არ არსებობს“.

პროგრამების/სერვისების ეფექტიანობის შეფასების სისტემასთან დაკავშირებით რეპოდენტების მხრიდან გამოითქვა სხვადასხვა სახის მოსაზრებები. ერთ-ერთი რესპოდენტის განმარტებით, პროგრამების ეფექტურობის შეფასებასთან დაკავშირებით, პერიოდულად აუცილებელია კვლევების ჩატარება. რესპოდენტების მეორე ნაწილმა განაცხადა, რომ ხარისხის შეფასებას ამ ეტაპზე ვერ ახორციელებენ.

### რესპოდენტი 1

„აუცილებელია, რომ ამ მიმართულებით იყოს კვლევები. მაგალითად, თუ სისტემიდან გადის ყოფილი მსჯავრდებული და მე უკვე გარკვეული რესურსი დახარჯული მაქვს მასზე, აუცილებელია, რომ კვლევა ტარდებოდეს, რამდენად გრძელვადიან შედეგზე ვიმუშავე მასთან მიმართებაში, რამდენად ეფექტური იყო ესა თუ ის სარეაბილიტაციო პროგრამა, რამდენად ეფექტური იყო ფსიქოლოგიის ინტერვენცია. ამ ყველაფერს მოკლევადიან პერიოდში ვხედავთ, მაგრამ გრძელვადიანად ვერა. შესაბამისად, ამისთვის აუცილებელია მასშტაბური კვლევის ჩატარება“.

### რესპოდენტი 2

„ჩვენ კი ვატარებთ და ვაკვირდებით, რამდენად სწორად ტარდება პროგრამები, მაგრამ ხარისხს ამ ეტაპზე ვერ ვიკვლევთ, გრძელვადიან შედეგებს ვერ ვიკვლევთ და ამ მიმართულებითაც გვაქვს მუშაობა გასაუმჯობესებელი“.

გარდა ამისა, რესპოდენტების ნაწილმა (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები) განაცხადა, რომ პრე და პოსტ-ტესტების მეშვეობით იღებენ უკუკავშირს ბენეფიციარებისაგან და ამის მიხედვით ზომავენ მიწოდებული სერვისის ეფექტიანობას. სერვისის მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების უმრავლესობის შეფასებით პროგრამის ეფექტურობის გაზომვა ამ ეტაპზე ვერ ხორციელდება. მათი შეფასება ეხება როგორც პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში, ასევე დანაშაულის პრევენციის ცენტრში განხორციელებულ პროგრამებს/სერვისებს. ერთ-ერთი რესპოდენტის განცხადებით, კი პროგრამების/სერვისების ეფექტურობა უნდა გაიზომოს განმეორებით დანაშაულის მაჩვენებლის შეფასებით.

### რესპოდენტი 1

„ჩვენ პრე- და პოსტ-ტესტებით ვამოწმებთ, იმიტომ, რომ თუ მაქვს მომატებული შფოთვა პროექტის დასაწყისში და მერე პოსტ შეფასებაში შფოთვამ დაიწია რაღაც ჩარევების საფუძველზე, ეს ნიშნავს, რომ ხარისხიანი სერვისი მიეწოდა“.

## რესპონდენტი 2

„არ ხდება იმის შეფასება და ეფექტიანობის განსაზღვრა, რა პროგრამებიც ხორციელდება. პროგრამა, რომელიც 5 წლის წინ იყო მნიშვნელოვანი, დღეს შეიძლება აქტუალური აღარ არის და ამის გადამოწმება უნდა ხდებოდეს“.

## რესპონდენტი 3

„მე ვფიქრობ, რომ ეს პროცესი თვითონ სისტემისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი და კრიტიკული. ვერ დაინახავ შედეგებს, თუ არ იქნება და არ მოხდება ეფექტიანობის შეფასება - რა პროგრამებია და რა შედეგებს იძლევა, რატომ ხდება დუბლირება და რატომ ამზადებენ ერთი და იმავე ადამიანებს ერთი მიმართულებით რამდენჯერმე“.

სერვისის მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებით, მათთვის მთავარი საზომი არის ბენეფიციარის დასაქმება, ხოლო ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით პროგრამის შეფასებითვის მათ აქვთ რაოდენობრივი ინდიკატორები.

## რესპონდენტი 1

„ჩვენთან თუ საბოლოოდ დასაქმდა ადამიანი, რეალურად მივიღეთ შედეგი ჩვენი მუშაობის, ეს არის დასაბუთებული და ეგზავნება ჩვენს დონორს და ამით ხდება ხარისხის კონტროლი, ანუ პირველი ინდიკატორი დასაქმება არის ჩვენთან და მეორე კიდეც კეთდება შეფასებები რასაც ვასწავლით და უკუკავშირიც ეს არის - რა მოეწონათ და რა იყო დასახვეწი“.

## რესპონდენტი 2

„გვაქვს რაოდენობრივი ინდიკატორები, მაგალითად ტესტირებაზე, კონსულტაციებზე, ფსიქოლოგიურზე და ზედოზირებაზე. ასევე გვაქვს კლიენტის კმაყოფილების ფორმა, რომლითაც ვღებულობთ უკუკავშირს კლიენტისგან, რამდენად კმაყოფილია“.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ხარისხის კონტროლის ზოგიერთ მექანიზმთან დაკავშირებით მიდგომები არაერთგვაროვანია. ამ ეტაპზე, არ არის ჩამოყალიბებული მიწოდებული სერვისების ხარისხის კონტროლის



ერთიანი სისტემა. მაგალითად, ზოგიერთი სერვისის მიმწოდებელი მის მიერ განხორციელებულ პროგრამასთან დაკავშირებით უკუკავშირს იღებს წერილობით, ნაწილი - სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით, ხოლო ზოგი კი - სიტყვიერად.

სუპერვიზია/მონიტორინგი ხარისხის კონტროლის სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. კვლევამ აჩვენა, რომ პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, ჩამოყალიბებულია სუპერვიზიის/მონიტორინგის ერთიანი სისტემა და პრაქტიკაში ამ კუთხით არის მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი მიდგომები. თუმცა, კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ამ პროცესის მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩო ამ ეტაპზე შექმნილი არ არის. ასევე ერთგვაროვანია მიდგომები მსჯავრდებულთა საჭიროებების შეფასების მხრივ და ის ეფუძნება რისკებისა და საჭიროებების შეფასების სისტემას.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ არ არის ჩამოყალიბებული ანგარიშგების ერთიანი სისტემა. ზოგისთვის ცნობილი იყო ანგარიშგების სისტემის არსებობის შესახებ, ხოლო ნაწილმა განაცხადა, რომ ერთიანი ინფორმაცია თავს არსად იყრის. ამის გათვალისწინებით, რთულია იმის განსაზღვრა, ასეთი სისტემა არ არსებობს, თუ კონკრეტულ რესპონდენტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია მის შესახებ. ორივე შემთხვევაში, იკვეთება, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მიდგომები არასისტემურია .

კვლევამ აჩვენა, რომ არ არის ჩამოყალიბებული მიწოდებული სერვისების ეფექტურობის შეფასების სისტემა. რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ მიღებული უკუკავშირის მიხედვით არის შესაძლებელი ეფექტურობის გაზომვა, ზოგმა აღნიშნა, რომ ამ კუთხით აქვთ რაოდენობრივი ინდიკატორები, ხოლო რესპონდენტების ნაწილმა კი განაცხადა, რომ ასეთი სისტემა საერთოდ არ არსებობს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, ხარისხის კონტროლის ზოგიერთი კომპონენტი გამართულად ფუნქციონირებს (რისკებისა და საჭიროებების შეფასება; სუპერვიზიის სისტემა). თუმცა ასევე იკვეთება, რომ გამართულად არ არის ჩამოყალიბებული ხარისხის კონტროლის ერთიანი სისტემა, რომელმაც უნდა მოიცვას ყველა ელემენტი: რისკებისა და საჭიროებების შეფასება; სუპერვიზია/მონიტორინგი; უკუკავშირის დაანგარიშგების სისტემა; არსებული მონაცემების შეგროვების და ანალიზის სისტემა.



### გ) დანაშაულის პრევენციის ცენტრი

როგორც საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზის ნაწილში აღინიშნა, დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის მიერ არის შემუშავებული ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა და მისი განხორციელების წესი<sup>97</sup>. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტში საკმაოდ დეტალურად არის გაწერილი ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესში მათი საჭიროებების შეფასების სისტემა (შესაბამისი ინსტრუმენტებით)<sup>98</sup>, პროფესიული ზედამხედველობის პროცესი<sup>99</sup>, ფორმები და პერიოდულობა<sup>100</sup>, ასევე მონაცემების შეგროვების და ანალიზის ვალდებულება.<sup>101</sup>

თუმცა, თვისობრივი კვლევისას, დანაშაულის პრევენციის ცენტრში განხორციელებულ სერვისებთან დაკავშირებით, რესპონდენტების მხრიდან მიღებული ინფორმაცია არ იყო ერთგვაროვანი. უკუკავშირის სისტემასთან დაკავშირებით, რესპონდენტების (დანაშაულის პრევენციის ცენტრის წარმომადგენელი) ნაწილის განცხადებით, უკუკავშირის ისინი იღებენ წერილობითი ფორმით, ხოლო მეორე ნაწილის განმარტებით უკუკავშირის იღებენ მხოლოდ სიტყვიერად.

გარდა ამისა, რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ ისინი იღებენ სამადლობელო წერილებს ბენეფიციარებისაგან და მათი შეფასებით მადლიერების/კმაყოფილების გამოხატვაც, შესაძლოა, ჩაითვალოს ერთგვარად უკუკავშირის ფორმად. ერთ-ერთმა რესპონდენტმა კი განაცხადა, რომ პირდაპირ უკუკავშირის არ იღებენ, ვინაიდან ამ შემთხვევაში მხოლოდ სტატისტიკური მონაცემებს მიიღებენ.

### რესპონდენტი 1

„ასე პირდაპირი უკუკავშირის მიღება არ ხდება, იმიტომ, რომ რადგან მხოლოდ და მხოლოდ სტატისტიკური მონაცემია, რამდენს შევხვდით და რამდენმა შეავსო და ა.შ. დიდი უკუკავშირიც არ მოყვება ხოლმე“.

### რესპონდენტი 2

„ამის შესახებ [სერვისების] ორი მიმართულებით ვიღებთ უკუკავშირს, ბენეფიციარისგან და პერსონალისგან ვინც დახვდება. სოციალური მუშაკი უკავშირდება იქაურ თანამშრომელს და იგებს ინფორმაციას, რა მომსახურება მიიღო კონკრეტულ ორგანიზაციაში და ასევე ბენეფიციარს ეკითხება, რამდენად კმაყოფილია მიღებული მომსახურებით“.

<sup>97</sup><http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/aqtebi/programa.pdf>.

<sup>98</sup> დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა და მისი განხორციელების წესი, მ.24, <http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/aqtebi/programa.pdf>.

<sup>99</sup> იქვე, მ.32

<sup>100</sup> იქვე, მ.34-35

<sup>101</sup> იქვე, მ.31, 36.

### რესპონდენტი 3

„არის ხოლმე, რომ ვიღაცეები წერენ, მაგალითად, სამადლობელ წერილებს [ყოფილი პატიმრები], მაგრამ უმრავლესად, თუ ტელეფონით ვესაუბრებით, სიტყვიერად, ან თუ პირადად მოდიან. ძირითადად არის კმაყოფილება ჩვენს მიმართ, რომ ვაქცევთ ყურადღებას და არის უფრო სამადლობელი ხასიათის. ამას მონიტორინგის ფორმებში ავსახავთ ხოლმე შემდგომ პროცესში“.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ პერსონალის მიერ განხორციელებული საქმიანობის სუპერვიზია ამ ეტაზე ვერ ხერხდება და არ ყავთ შესაბამისი სუპერვიზორი. თუმცა რესპონდენტები ნაწილმა განაცხადა, რომ სერვისების ეფექტიანობის შეფასების მიზნით სოციალური მუშაკები უშუალოდ ახორციელებენ ყოველთვიურ მონიტორინგს.

### რესპონდენტი 1

„პერსონალის ხარისხის კონტროლს რაც შეეხება, აქაც ცოტა პრობლემაა, რადგან სუპერვიზორი ჯერ-ჯერობით არ გვყავს, ვინც გააკეთებდა სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის საქმიანობის სუპერვიზიას, წლის ბოლომდე იგეგმება, რომ ცენტრში გაჩნდეს ასეთი თანამდებობა. თუმცა, ჯერჯერობით მსგავსი პრაქტიკა არ არის, რომ საქმიანობის შეფასება ხდებოდეს“.

### რესპონდენტი 2

„სოციალური მუშაკები ახორციელებენ ყოველთვიურ მონიტორინგს. აუცილებელია ყოველთვიური, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ეს შესაძლოა განხორციელდეს დღეში ორჯერაც, კვირაში ერთხელ და ა.შ. რაც შეეხება გარე სერვისებს, ჩვენ ხომ გვყავს ასევე დასაქმებულები, ყველა დასაქმებულთან თვეში ერთხელ მიდის ჩვენი ერთ-ერთი სამმართველოს წარმომადგენელი და ეცნობა ადგილზე სიტუაციას, ფორმა გვაქვს, რომელსაც ვავსებთ, რომ გავიგოთ, რამდენად კმაყოფილია დასაქმებული ან დამსაქმებელი, რამე პრობლემა ხომ არ არის და ა.შ. ყოველთვის საქმის კურსში ვართ რა ხდება ჩვენი ბენეფიციარის თავს“.

თუ რა სახის პროგრამების/სერვისების საჭიროება არსებობს სისტემაში, რესპონდენტებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, აღნიშნულ საჭიროებას საზღვრავენ ბენეფიციარის შეფასების შედეგად, ხოლო მეორე ნაწილის განმარტებით კი, ყოველი თვის 25 რიცხვში სოციალური მუშაკები აკეთებენ საჭიროებების კვლევას.

### რესპონდენტი 1

„არის საჭიროებების კვლევის ფურცელი, წერია საჭიროება და შესაბამისი მომსახურება და

ვავსებით ამას. ასევე ვახდენთ მომსახურებების აღრიცხვას, რა სერვისი სჭირდებოდა, ანუ მიიღო თუ არა მომსახურება. შემდგომ სერვისების სამმართველო და ვინც აგროვებს ჩვენი მხრიდან ინფორმაციას, თავად ახდენენ ანალიზს და გამოიკვეთება, რა საჭიროება აქვს, შესაბამისი მომსახურება მიაწოდა თუ არა და სწორედ ახლა იგეგმება ამ ყველაფრის საფუძველზე რომ მომზადდეს ანგარიში“.

## რესპონდენტი 2

„აქამდე, ერთი წლის წინ იყო ასე, ძირითადად სოციალური მუშაკების საერთო შეთანხმების საფუძველზე იყო, შეთანხმდებოდნენ, რომ ეს საჭიროება მათ ბენეფიციარებს ყველაზე მეტად ჰქონდათ და ამის მიხედვით ხდებოდა კვლევის და სერვისების მხრიდან საგრანტო კონკურსის გამოცხადება. დღეს რაც გვაქვს, ეს არის ასე: საჭიროების შეფასების ფორმას ვეძახით, რომლის მიხედვითაც, სოციალური მუშაკი, როდესაც თავის ბიო-ფსიქოსოციალურ შეფასებას დაამთავრებს, ამ საჭიროების ფორმასაც ავსებს. აქ არის მოკლედ ჩამოწერილი ის პროგრამები და მომსახურებები, რაც შეიძლება ბენეფიციარს სჭირდებოდეს, რასაც თვლის სოციალური მუშაკი.

რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, ყველა ბენეფიციარის შეფასება ერთნაირად არ ხდება. მათი განცხადებით, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის მომსახურება სჭირდება ბენეფიციარს. რესპონდენტების უმრავლესობის განმარტებით, ბენეფიციართა შეფასების პროცესში ისინი ხელმძღვანელობენ შიდა მომსახურების სტანდარტით, რომელიც დამტკიცებულია მათი ხელმძღვანელის მიერ. პროგრამების/სერვისების ეფექტურობასთან დაკავშირებით რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე მის გაზომვას ვერ ახერხებენ, თუმცა მომავალში გეგმავენ შესაბამისი ინსტრუმენტის შემუშავებას უცხოელი ექსპერტის დახმარებით.

## რესპონდენტი 1

„შეფასება ხდება ყველასი, ოღონდ ახლანდელი სტანდარტის მიხედვით, ვისაც სურს საგრანტო და საგანმანათლებლო სერვისში ჩართვა, ისინი ფასდებიან სრულად და ვისაც, მაგალითად, ვისაც სურს შიდა მომსახურება, ანუ მხოლოდ იურისტის კონსულტაცია ან მხოლოდ ფსიქოლოგის კონსულტაცია, ისინი ფასდებიან ნაწილობრივ“.

## რესპონდენტი 2

„დამტკიცებულია რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტანდარტი. ამ სტანდარტში არის გაწერილი ზუსტად ეს, ვის რა შემთხვევაში ვაფასებთ, ვის როდის ვაფასებთ, როდესაც მოგვმართავენ რა ვადაში უნდა შეეხმიანოს სოციალური მუშაკი, რა ვადაში უნდა დაეწეროს სოციალურ მუშაკს საქმე, რომ მერე შეეხმიანოს და რა ვადაში უნდა შეფასდეს, და ა.შ.“

### რესპონდენტი 3

„ინდიკატორების გაწერაზე ახლა ვმუშაობთ, ამერიკელი ექსპერტი გვეხმარება მაგ საკითხში და ჩვენ, პრობაციაც და პენიტენციურიც ერთობლივ ფორმატში ვგეგმავთ, რომ ინდიკატორები გავეწეროთ, რაც თვისობრივ შედეგებს გაგვაზომინებს“.

### რესპონდენტი 4

რაც შეეხება თვითონ შედეგების გაზომვას, ამას აქვს ანგარიშების სახე, რომელიც კეთდება თვეში ერთხელ, ამ ანგარიშებს მე ვაკეთებ, პროცესი გულისხმობს სოციალური მუშაკების მხრიდან ბენეფიციარების მიღებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მოკრებას, ერთიან მონაცემთა ბაზაში განთავსებას და შემდეგ რაოდენობრივ აღრიცხვას იმის, თუ რა საჭიროება შეუსრულდათ ბენეფიციარებს. თუმცა, მთავარი სირთულე, რაც გვაქვს პროგრამების შეფასებისას, არის თვისობრივი შეფასება. მაგალითად, ვაკეთებთ ასე, რომ, მაგალითად, ამ პროგრამით ისარგებლა ათმა ბენეფიციარმა, ამის შეფასებას ვაკეთებთ, მაგრამ ამ პროგრამით რომ ისარგებლა ათმა ბენეფიციარმა, რამდენად ეფექტური იყო ეს სარგებლობა, ამ ეფექტურობის გაზომვას ჯერჯერობით ვერ ვაკეთებთ. ეს არ გვაქვს“.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ პროგრამის ეფექტურობის შეფასებისთვის ჩაატარეს ბენეფიციარების კმაყოფილების კვლევა და განხორციელდა მისი შედეგების ანალიზი - „პროგრამის შეფასებაში ბენეფიციარებს რაც შეეხებათ, წინა წელს ჩავატარეთ ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევა, კითხვარების საშუალებით გამოვკითხეთ, რამდენად კმაყოფილი იყვნენ მიღებული მომსახურებით, ასევე გარემოთი და ა.შ. საკმაოდ ვრცელი კითხვარი იყო და ამის შედეგები გაანალიზდა. ერთადერთი უკუკავშირის სახე არის მსგავსი კითხვარები“.

### რესპონდენტი 1

„ჩვენ ჯამში რა მომსახურებებსაც ვაწვდით, ამის შეფასება რამე კონკრეტული ინსტრუმენტით ჯერჯერობით ვერ ხერხდება, მაგრამ შეიძლება ზეპირსიტყვიერი უკუკავშირით ხდებოდეს ამის შეფასება უშუალოდ მომსახურების მიმღებისგან, მაგრამ ისე, რომ რამე ინსტრუმენტი იყოს და კვლევის დონეზე ხდებოდეს მომსახურების ხარისხის შემოწმება, ასეთი რამის შესახებ არ მაქვს ინფორმაცია. სხვა ორგანიზაციებს რაც შეეხება, ესეც ალბათ უკუკავშირით შემოიფარგლება ერთმანეთს შორის“.

კვლევამ აჩვენა, რომ დანაშაულის პრევენციის ცენტრში ხარისხის კონტროლის სისტემასთან დაკავშირებით, ჩამოყალიბებულია პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო. თუმცა, მიუხედავად ამ რეგულაციებისა, იკვეთება, რომ ეს პროცესი საკმაოდ არაერთგვაროვნად მიმდინარეობს. მაგალითად, მიწოდებულ სერვისთან დაკავშირებით, ზოგ შემთხვევაში უკუკავშირის იღებენ წერილობით, ზოგ

შემთხვევაში - სიტყვიერად, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი ბენეფიციარის კმაყოფილებით ზომავენ მიწოდებული სერვისის ხარისხს.

სუპერვიზიის/მონიტორინგის ერთიანი სისტემასთან დაკავშირებით რესპონდენტების მხრიდან ასევე არაერთგვაროვანი მოსაზრებები გამოითქვა. რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ მათ სუპერვიზიას არ უტარებენ, ხოლო ზოგმა განაცხადა, რომ სუპერვიზიას სოციალური მუშაკები აკეთებენ ყოველთვიურად. აქედან გამომდინარე, მიდგომები არ არის სისტემური.

სერვისების საჭიროებების განსაზღვრასთან დაკავშირებით კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მიდგომები ერთგვაროვანია და უნიფიცირებული. კერძოდ, ხორციელდება ბენეფიციარების საჭიროებების შეფასება და ამ კუთხით არსებობს შეფასების ორგვარი სისტემა, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის სერვისის მიღების სურვილი აქვს ყოფილ პატიმარს. საჭიროებების შეფასება ხორციელდება ყოველი თვის ბოლოს და ამის საფუძველზე ხდება შედეგების ანალიზი. შესაბამისად, არსებობს ანგარიშგების სისტემის ელემენტები, თუმცა რამდენად სისტემურია ეს, კვლევამ არ აჩვენა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ არ არის ჩამოყალიბებული მიწოდებული სერვისების ხარისხის კონტროლის ერთიანი სისტემა. ხარისხის კონტროლის ეფექტიანი სისტემის ფუნქციონირებისათვის არსებობს გარკვეული ელემენტები, თუმცა ერთიანი პროცესის სისტემატიზირებული ანალიზი ამ შემთხვევაშიც ვერ ხორციელდება.

## სამომავლო გეგმები

თვისობრივი კვლევის ფარგლებში შეგროვდა ინფორმაცია პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში სამომავლოდ დაგეგმილ აქტივობებთან დაკავშირებით. ეს ინფორმაცია მიღებულ იქნა როგორც პენიტენციური და პრობაციის სისტემების და დანაშაულის პრევენციის ცენტრის, ასევე *პენიტენციური და პრობაციის სისტემების განვითარების მხარდამჭერი ევროკავშირის პროექტის (EU4JUSTICE) წარმომადგენლებმა*.

ევროკავშირის პროექტის წარმომადგენლების განმარტებით, ამჟამად ისინი მუშაობენ შემთხვევის მართვის სისტემის გაუმჯობესებაზე პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში, ასევე გარკვეული სახის დახმარების უწყვეტ დანაშაულის პრევენციის ცენტრსაც. მათი განმარტებით, შემთხვევის მართვის სისტემამ უნდა მოიცვას მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების (ე.წ. „გარდამავალი მენეჯმენტის“) პროცესიც. ევროკავშირის პროექტის წარმომადგენლებმა ასევე



განაცხადეს, რომ აპირებენ შემთხვევის მართვის სისტემის პილოტირებას N16 დაბალი რისკის და ერთ-ერთ ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებაში. რის შემდგომაც დაგეგმილია ამ მოდელის დანერგვა სხვა დაწესებულებებშიც. ამ პროცესში ჩართულები არიან ადგილობრივი ექსპერტები, თუმცა პროცესში ჩაეთვება ასევე უცხოელი ექსპერტიც, რომელიც ტექნიკურ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს.

#### EU4JUSTICE წარმომადგენელი

“პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტი არის ევროკავშირის ტექნიკური დახმარება. პროექტი რამდენიმე მიმართულებით მუშაობს, ერთ-ერთია შემთხვევის მართვის სისტემის გაუმჯობესება. შემთხვევის მართვის სისტემის კონცეფციის მიხედვით, შემთხვევის მართვის პროცესი მოიცავს გარდამავალი მენეჯმენტის ეტაპს. მაშასადამე, გარდამავალი მენეჯმენტი არის ეტაპი, რომელიც უნდა განხორციელდეს შემთხვევის მართვის ფარგლებში, რაც ასევე გულისხმობს მსჯავრდებულების გათავისუფლებისთვის მომზადებას. მთავარი ამოცანაა, გათავისუფლების შემდეგ ადამიანებმა გააგრძელონ ცხოვრება რეციდივის გარეშე. ჩვენი პროექტის დახმარებით მუშავდება რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტი, რომლის მთავარი ამოცანაა რეციდივის ალბათობის განსაზღვრა და საჭიროებების შესაბამისი ინტერვენციების განსაზღვრა. გარდამავალი მენეჯმენტის ფარგლებში ძირითადი აქტორებია პენიტენციური დეპარტამენტი, პრობაციის ეროვნული სააგენტო, დანაშაულის პრევენციის ცენტრი და არასამთავრობო სექტორი. ჩვენი პროექტის მხარდაჭერით იგეგმება შემთხვევის მართვის სისტემის, მათ შორის გარდამავალი მენეჯმენტის საკითხების, პილოტირება მე-16 პენიტენციურ დაწესებულებაში, ასევე, ერთ-ერთ ნახევრად ღია პენიტენციურ დაწესებულებაში. პილოტირების პროცესში ჩვენ როლი იქნება პროცესის ზედამხედველობა და მხარდაჭერა“.

მისასალმებელია პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში, ასევე დანაშაულის პრევენციის ცენტრში დაგეგმილი ცვლილებები, რაც მიზნად ისახავს, სხვა კომპონენტებთან ერთად, გააუმჯობესოს მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესი.

გარდა ამისა, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს და დადებითად შეფასდეს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები „საქართველოს პატიმრობის კოდექსში“, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან. ამ ცვლილებების თანახმად, პენიტენციურ სისტემაში იქმნება გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება<sup>102</sup>. ასეთი სახის დაწესებულების არსებობამ პენიტენციურ სისტემაში ხელი უნდა შეუწყოს განსაზღვრული ჯგუფის მსჯავრდებულების

<sup>102</sup> პატიმრობის კოდექსი, მ.10<sup>1</sup>



გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესს. თუმცა, ამ ეტაპზე ჯერ არ არის შემუშავებული ასეთ დაწესებულებაში მოთავსების წესი და პირობები და არ არის განსაზღვრული უწყებათაშორისი თანამშრომლობის ჩარჩო, რამაც გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესი უნდა დაარეგულიროს. შესაბამისად, აღნიშნული სიახლის სრული ანალიზი ამ ეტაპზე ვერ განხორციელდა.

## ძირითადი მიგნებები, დასკვნები და რეკომენდაციები

### ინდივიდუალური მიდგომა

#### პენიტენციური დეპარტამენტი

##### ძირითადი მიგნებები

მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, მნიშვნელოვანია კანონთან კონფლიქტში მყოფი ყველა პირის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის შემუშავება. გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესის ეფექტიანი ორგანიზება პენიტენციურ სისტემაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ეს პროცესი სასურველია ინდივიდუალური დაგეგმვის ნაწილი იყოს. ამის გათვალისწინებით, პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე პროცესების ანალიზს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პენიტენციურ სისტემაში ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი სხვადასხვა დაწესებულებაში სხვადასხვაგვარად არის ორგანიზებული. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა უკვე 2017 წლიდან ხორციელდებოდა N5, N8, N11, N12, N15, N16, N17, N18, N19 დაწესებულებებში. თუმცა, თვისობრივი კვლევისას რესპონდენტების ერთმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ინდივიდუალური დაგეგმვა ხორციელდება ყველა დაწესებულებაში, ხოლო მეორე ნაწილმა კი თქვა, რომ ეს ხდება ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, გარდა N7 და N9 პენიტენციური დაწესებულებებისა. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N33 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული არის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია, რომელიც შესაძლოა გავრცელდეს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაზე, გარდა N11 პენიტენციური დაწესებულებისა. ხოლო 2018 წლის დასაწყისიდან კი, კანონმდებლობის დონეზე სავალდებულოა, რომ ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი ყველა დაწესებულებაში მიმდინარეობდეს. N11 დაწესებულებასთან მიმართებაში ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესს არეგულირებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №132/№95/ №23 - ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ. აქ უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციური დაწესებულებების უმრავლესობაში იკვეთება აშკარა სხვაობა და დისბალანსი

მსჯავრდებულთა რაოდენობასა და ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართულ პირებს შორის.

ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესის შეფასებისას ცალკე გაანალიზდა ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი N5 ქალთა, N11 არასრულწლოვანთა და N16 დაბალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში. 2017 წლის სექტემბრის ბოლოს N5 დაწესებულებაში განთავსებული იყო - 258 ბრალდებული/მსჯავრდებული; N11 დაწესებულებაში 20 მსჯავრდებული, ხოლო N16 დაწესებულებაში - 135 მსჯავრდებული. აღნიშნულ დაწესებულებებში, პატიმართა რაოდენობის გათვალისწინებით, ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესის ორგანიზება უფრო ადვილია, ვიდრე სხვა დიდი ზომის დაწესებულებებში. თვისობრივი კვლევისას რესპონდენტების უმრავლესობამ დაადასტურა, რომ ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი აღნიშნულ დაწესებულებებში ყველა მსჯავრდებულის მიმართ მიმდინარეობდა.

გარდა ამისა, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მსჯავრდებულთა საჭიროებების შეფასება ხორციელდება როგორც ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში, ასევე არის შემთხვევები, რომ სერვისის მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების თხოვნით, ცალკე, დამატებით ხორციელდება მსჯავრდებულთა საჭიროებების განსაზღვრა. რესპონდენტების ნაწილმა კი განაცხადა, რომ კონკრეტულ პროგრამებში ჩართვის მიზნით, საჭიროებების შეფასება არ ხდება და დამოკიდებულია მხოლოდ მსჯავრდებულთა სურვილზე. მსჯავრდებულთა საჭიროებების ორჯერ, თუნდაც მრავალჯერ შეფასება ბუნებრივია არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს და პრაქტიკას, თუმცა მიზანშეწონილია, მსჯავრდებულთა შეფასების პროცესი მიმდინარეობდეს ერთიანი რეგულირების ფარგლებში, რაც რესურსების ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას მოგვცემს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ პენიტენციურ დაწესებულებაში ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში პირველ ეტაპზე ჩართეს გარკვეული სამიზნე ჯგუფები - „სუიციდის პროგრამაში“ ჩართული მსჯავრდებულები და სსკ-ს 126<sup>1</sup> მუხლით გასამართლებული პირები (ოჯახური და გენდერულ ძალადობა). ლოგიკურია, განსაკუთრებით დიდი ზომის პენიტენციური დაწესებულებებში, პირველ ეტაპზე, სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში გარკვეული სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა, თუმცა არსებული რესურსების გათვალისწინებით რთულია იმის განსაზღვრა, როგორ უნდა შეძლოს, მაგალითად, N17 დაწესებულებამ, სადაც კვლევის პერიოდში განთავსებული იყო 2000-მდე მსჯავრდებული და ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართული იყო მხოლოდ 10 მსჯავრდებული, პროცესის ისე ორგანიზება, რომ ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში, მომავალში ჩართოს მსჯავრდებულთა 50% მაინც.

თვისობრივი კვლევისას ცალკე არ მომხდარა რესპონდენტების გამოკითხვა სხვა პენიტენციურ დაწესებულებებთან მიმართებაში, თუმცა ანალოგიურად შეიძლება შევაფასოთ N8 დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა, სადაც კვლევის პერიოდში განთავსებული იყო 2308 ბრალდებული/მსჯავრდებული და ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართული იყო 25 მსჯავრდებული; N18 დაწესებულება, სადაც კვლევის პერიოდში განთავსებული იყო 106 ბრალდებული/მსჯავრდებული და ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართული იყო 2 მსჯავრდებული; N19 დაწესებულება, სადაც კვლევის პერიოდში განთავსებული იყო 88 მსჯავრდებული და ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართული იყო 2 მსჯავრდებული.

### დასკვნა

ამჟამად ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი სრულყოფილად ფუნქციონირებს მხოლოდ N11, N5 და N16 პენიტენციურ დაწესებულებებში. თუმცა N5 დაწესებულებასთან მიმართებაშიც კი გამოიკვეთა არაერთგვაროვანი მიდგომის პრაქტიკა. კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა ხარვეზები ადამიანური რესურსების (სოციალური მუშაკების) ნაკლებობასთან დაკავშირებით.

### რეკომენდაციები:

*სასურველია:*

- ჩამოყალიბდეს პენიტენციურ დაწესებულებებში ინდივიდუალური მიდგომის დანერგვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა;
- გადაიდგას ნაბიჯები სოციალური მუშაკების რაოდენობის ეტაპობრივად ზრდის კუთხით, განსაკუთრებით დიდი ზომის პენიტენციურ დაწესებულებებში.

პრობაციის ეროვნული სააგენტო

### **ძირითადი მიგნებები**

თვისობრივი კვლევისას რესპონდენტების უმრავლესობამ დაადასტურა ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ერთგვაროვანი მიდგომების არსებობა. კვლევისას ასევე გამოიკვეთა, რომ ხორციელდება ყველა მსჯავრდებულის ჩართვა ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში, რომელიც ეფუძნება მათი ზიანის რისკის და დანაშაულის ალბათობის შეფასებას. ამის საფუძველზე ხდება მსჯავრდებულების გადამისამართება ნებაყოფლობით ან/და სავალდებულო პროგრამებში.

### **დასკვნა:**

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი ერთგვაროვნად მიმდინარეობს. საკანონმდებლო დონეზე არის ჩამოყალიბებული აღნიშნული პროცესის მარეგულირებელი ნორმები.

დანაშაულის პრევენციის ცენტრი

### **ძირითადი მიგნებები**

როგორც საკანონმდებლო ჩარჩოს, ასევე თვისობრივი კვლევის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ დანაშაულის პრევენციის ცენტრში არის შემუშავებული სპეციალური პროცედურები, რომელიც სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესს არეგულირებს. გარდა ამისა, ყველა რესპონდენტმა დაადასტურა ერთგვაროვანი მიდგომები, რომ ყოფილი პატიმრების მიმართ დგება ინდივიდუალური მომსახურების გეგმა, რაც ნამდვილად მისასალმებელია.

### **დასკვნა**

დანაშაულის პრევენციის ცენტრში ჩამოყალიბებულია ყოფილ პატიმართა მიმართ ინდივიდუალური მიდგომის მარეგულირებელი ნორმები. ეს პროცესი პრაქტიკაში ერთგვაროვნად მიმდინარეობს. შესაბამისად, კვლევის საფუძველზე კონკრეტული რეკომენდაციის საჭიროება არ დადგა.

## სერვისები

გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა პენიტენციურ დაწესებულებებში

### ძირითადი მიგნებები

პენიტენციური სისტემიდან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესის ეფექტიანად ორგანიზების მიზნით მნიშვნელოვანია გათავისუფლებისათვის მომზადების სპეციალური პროგრამების არსებობა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკების მიერ შემუშავდა აღნიშნული პროგრამის ერთიანი მოდული, რისი გამოყენების შესაძლებლობაც აქვთ ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში.

თუმცა, თვისობრივი კვლევის შედეგად მივიღეთ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ამ ეტაპზე რომელ პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარეობს ეს პროგრამა. რეპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ ეს პროგრამა ყველგან მიმდინარეობს; ერთმა ნაწილმა განაცხადა, რომ ის ფუნქციონირებს ყველა ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებაში. რესპონდენტების სხვა ნაწილმა აღნიშნა, რომ პროგრამა მიმდინარეობს ყველა დაწესებულებაში, გარდა N3, N7 და N9 დაწესებულებების; გარდა ამისა, რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე არც N5 და არც N16 პენიტენციურ დაწესებულებებში ეს პროგრამა არ ფუნქციონირებს.

გარდა ამისა, რეპონდენტების მხრიდან მივიღეთ საკმაოდ არაერთგვაროვანი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ეტაპზე რთავენ მსჯავრდებულებს გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში. რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ პროგრამაში რთავენ იმ პირებს, ვისაც 1 წელზე ნაკლები აქვს დარჩენილი სასჯელი; ნაწილმა განაცხადა, რომ 6-9 თვემდე უნდა ჰქონდეთ სასჯელი დარჩენილი; სხვების განმარტებით, პროგრამაში ჩასართავად მსჯავრდებულს დარჩენილი უნდა ჰქონდეს 6 თვე, ხოლო ნაწილის აზრით კი - 3 თვე. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ პენიტენციური სისტემის თანამშრომლებმა შეიმუშავეს გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის ერთიანი მოდული, რომლის გამოყენებასაც გეგმავდნენ ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში. ამ ფონზე, ცოტა გაუგებარია, სხვადასხვაგვარად როგორ ხდება პენიტენციურ დაწესებულების ადმინისტრაციების მიერ გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის გამოყენება. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი მიდგომა პროგრამის განხორციელების პროცესში. ბუნებრივია, შესაძლებელია არსებობდეს განხვავებული მიდგომები, სხვადასხვა კატეგორიის მსჯავრდებულების მიმართ და დაწესებულების ტიპის მიხედვით, თუმცა ამ



შემთხვევაში უნდა იყოს შემუშავებული პროგრამის სხვადასხვაგვარი მოდულები, რაც კვლევის ფარგლებში არც ერთ რესპონდენტს არ დაუდასტურებია.

როგორც ინდივიდუალურ მიდგომასთან, ასევე გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში ბენეფიციარების ჩართვასთან დაკავშირებით რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე გარკვეული სამიზნე ჯგუფები იქნა შერჩეული. განსაკუთრებით დიდი ზომის პენიტენციურ დაწესებულებებში, გარკვეული აქცენტის გაკეთება განსაზღვრულ სამიზნე ჯგუფთან მიმართებაში მისასაღმებელია, ვინაიდან, არსებული რესურსების (სერვისები, თანამშრომელთა რაოდენობა, ინფრასტრუქტურა) გათვალისწინებით, ამ ეტაპზე ყველა მსჯავრდებულის ჩართვა გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში, საკმაოდ რთული იქნება. თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაციაც არ იყო ერთგვაროვანი.

### დასკვნა

მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პენიტენციურ სისტემაში გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის სხვადასხვა დაწესებულებებში დანერგვასთან დაკავშირებით არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი ხედვა და ეს პროცესი საკმაოდ ქაოტურად მიმდინარეობს. გარდა ამისა, ასევე არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი ხედვა, რა ეტაპზე უნდა ხდებოდეს მსჯავრდებულების ჩართვა გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში.

### რეკომენდაციები:

სასურველია:

- ჩამოყალიბდეს გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის დანერგვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა, სხვადასხვა პენიტენციური დაწესებულებების მიხედვით;
- ჩამოყალიბდეს გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში მსჯავრდებულთა ჩართვის მკაფიო კრიტერიუმები.

სხვა სახის სერვისები პენიტენციურ დაწესებულებებში

### ძირითადი მიგნებები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მსჯავრდებულებს სხვადასხვა სახის სერვისებზე ხელმისაწვდომობა აქვთ N11, N5 და N16 პენიტენციურ დაწესებულებებში. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს რამდენიმე ფაქტორი - სხვა დაწესებულებებისგან განსხვავებით, აღნიშნულ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რაოდენობა არის მცირე; გარდა ამისა, ამ დაწესებულებებს აქვს უკეთესი ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები სერვისების ორგანიზებისთვის; როგორც სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, ასევე არასამთავრობო სექტორის მხრიდან, სერვისების მიწოდების კუთხით პრიორიტეტად არიან მიჩნეულნი არასრულწლოვანი, ქალი და დაბალი რისკის მატარებელი მსჯავრდებულები. შესაძლებელია, პირველ ეტაპზე სერვისების მიწოდების კუთხით აქცენტი გაკეთდეს განსაკუთრებით ისეთ მოწყვლად ჯგუფზე, როგორიც არიან, მაგალითად, ქალი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულები. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გადადგას ნაბიჯები იმ მიმართულებით, რომ სერვისების რაოდენობა მაქსიმალურად გაიზარდოს იმ მსჯავრდებულებისთვისაც, რომლებიც არ არიან განთავსებული ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებში.

სერვისების ორგანიზებასთან დაკავშირებით თვისობრივი კვლევისას რესპონდენტების უმრავლესობამ ხაზი გაუსვა ასევე ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ პრობლემებს, განსაკუთრებით დიდი ზომის პენიტენციურ დაწესებულებებში.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სერვისების უწყვეტობა/არამდგრადობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. მნიშვნელოვანია, რომ სერვისების ისედაც მცირე რაოდენობა მსჯავრდებულებს მიეწოდოთ დროულად და კონკრეტულად იმ პერიოდში, როდესაც არის ამის საჭიროება. ამ კუთხით არსებულ ხარვეზებზე მიუთითა რესპონდენტების უმრავლესობამ.

სერვისების მიწოდების პროცესში ერთ-ერთ გამოწვევად გამოიკვეთა კრიმინალური სუბკულტურა. აღნიშნული ფაქტი არაერთმა რესპონდენტმა დაადასტურა. კრიმინალური სუბკულტურა ზოგადად არის ერთ-ერთი გამოწვევა პენიტენციური სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის და ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი ხანია მიდის მსჯელობა. კრიმინალური სუბკულტურაში არსებული წესების თანახმად, მსჯავრდებულების ჩართვა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ცუდ ტონად ითვლება მსჯავრდებულთა გარკვეულ ჯგუფებს შორის, რის გამოც შესაძლოა იყოს გამოწვევული აღნიშნული პრობლემები ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და პრაქტიკული სახის ნაბიჯები (*შეიქმნა დაბალი რისკის პენიტენციური დაწესებულება და 2018 წლიდან იქმნება გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულება*), მაღალი ალბათობით უკავშირდება კრიმინალური

სუბკულტურის გავლენების შემცირების მცდელობას, რომ ჩამოაყალიბოს აღნიშნულ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურისგან თავისუფალი გარემო, სადაც მსჯავრდებულებს ექნებათ შესაძლებლობა, თავისუფლად ჩაერთონ სხვადასხვა სახის პროგრამებში/აქტივობებში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ცვლილებები შეეხება მხოლოდ პატიმრების მცირე ჯგუფს (*მაგალითად, N16 დაბალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებაში 2017 წლის ოქტომბერში იყოს განთავსებული 134 მსჯავრდებული, მამინ, როდესაც მთლიანად სისტემაში კვლევის პერიოდში განთავსებული იყო 9360 ბრალდებული/მსჯავრდებული*).

## დასკვნა

სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულებებში არის საკმაოდ არაერთგვაროვანი მიდგომა. არის დაწესებულებები, სადაც ხორციელდება სერვისების ძირითადი სპექტრი, თუმცა არის ასევე დაწესებულებები, სადაც აღნიშნული სერვისების რაოდენობა არის ძალიან მცირე.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ამ ეტაპზე არ აქვს ჩამოყალიბებული ზოგადად პენიტენციურ სისტემაში ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი ხედვა. სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, განსაკუთრებით დიდი ზომის პენიტენციურ დაწესებულებებში, შესაძლებელია მხოლოდ ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების ზრდის პარალელურად.

როგორც წესი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არ აქვს წინასწარ განსაზღვრული იმ სერვისების ჩამონათვალი, რისი საჭიროებაც შესაძლოა არსებობდეს სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში, ყოველი წლის დასაწყისში. აღნიშნული საჭიროებები აუცილებლად უნდა იყოს განსაზღვრული მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ამ ეტაპზე არ აქვს ჩამოყალიბებული გრძელვადიანი ხედვა, თუ როგორ აპირებს პენიტენციურ დაწესებულებებში დაწესებულებების ნორმალურ ფუნქციონირებზე კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შემცირებას გრძელვადიან პერსპექტივაში.

## რეკომენდაციები:

სასურველია:

- გაიზარდოს სხვადასხვა სახის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, როგორც საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდის კუთხით, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით;

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ ყოველწლიურად წინასწარ განსაზღვროს იმ სერვისების ჩამონათვალი, რისი საჭიროებაც ექნება სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის.
- ჩამოყალიბდეს პენიტენციურ სისტემაში ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი გეგმა;
- ჩამოყალიბდეს პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის გავლენის მაქსიმალურად შემცირების გრძელვადიანი გეგმა.

პრობაციის ეროვნული სააგენტო

### ძირითადი მიგნებები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში (2017 წლის იანვარში), პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზრუნვისა და კონტროლის ქვეშ მყოფ 21741 მსჯავრდებულისაგან, მხოლოდ 436 (2%) ჰქონდა წვდომა სხვადასხვა სახის სერვისებზე. სერვისების ნაკლებობა აღნიშნა ასევე რესპონდენტების უმრავლესობამ.

თუმცა დადებითად უნდა შეფასდეს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში მსჯავრდებულთა რისკებისა და დანაშაულის ალბათობის შეფასების სისტემის არსებობა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სააგენტოს მუშაკებს, ამ შეფასების სისტემაზე დაყრდნობით, შესაბამისი სერვისები შესთავაზონ იმ მსჯავრდებულებს, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ. აღნიშნული სისტემა იძლევა შესაძლებლობას ისედაც მცირე რესურსები უფრო რაციონალურად განაწილდეს.

ერთ-ერთ გამოწვევად სერვისების პრობაციის ეროვნული სააგენტოს დონეზეც გამოიკვეთა პრობლემები სერვისების უწყვეტობასთან და არამდგრადობასთან დაკავშირებით. რესპონდენტებმა ამ კუთხით უფრო მეტი აქცენტი გააკეთეს გარედან მოწოდებული სერვისების არამდგრადობაზე.

### დასკვნა

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ როგორც პენიტენციურ სისტემაში, ასევე პრობაციის ეროვნულ სააგენტოში არის სერვისების სიმცირე, რაც მსჯავრდებულთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. ასევე იკვეთება პრობლემები სერვისების უწყვეტობასთან და არამდგრადობასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია, რომ არსებული სერვისების ისედაც მცირე რაოდენობა

პრობაციონერებს მიეწოდოთ დროულად და კონკრეტულად იმ პერიოდში, როდესაც არის ამის საჭიროება.

### რეკომენდაციები:

სასურველია:

- გაიზარდოს სხვადასხვა სახის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, როგორც საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდის კუთხით, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით;
- სამინისტრომ ყოველწლიურად წინასწარ განსაზღვროს იმ სერვისების ჩამონათვალი, რისი საჭიროებაც ექნება პრობაციის ეროვნულ სააგენტოს. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

დანაშაულის პრევენციის ცენტრი

### ძირითადი მიგნებები

როგორც სამაგიდო კვლევის შედეგად, ასევე თვისობრივი კვლევისას რესპონდენტების უმრავლესობის მხრიდან გამოთქმული მოსაზრებებიდან იკვეთება, რომ სერვისების დეფიციტი დანაშაულის პრევენციის ცენტრის დონეზეც არის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბენეფიციარების დიდმა ნაწილმა დადებითად შეაფასა ყოფილი პატიმრების მიერ ბიზნეს აქტივობის დაწყების მიზნით დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ მცირე გრანტების გაცემის პრაქტიკა. რესპონდენტების უმრავლესობამ ერთ-ერთ გამოწვევად ასევე მიუთითა სერვისების უწყვეტობა და არამდგრადობა.

### დასკვნა

აქედან გამომდინარე, დანაშაულის პრევენციის ცენტრის დონეზეც იკვეთება, რომ სერვისების სიმცირე არის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რაც ყოფილ პატიმართა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. თუმცა უნდა ითქვას, რომ საკმაოდ დადებითი შეფასება მოყვა დანაშაულის პრევენციის ცენტრის საგრანტო პროგრამებს, რაც ნამდვილად მისასალმებელია.

როგორც სხვა უწყებებთან მიმართებაში, დანაშაულის პრევენციის დონეზეც იკვეთება პრობლემები, სერვისების ორგანიზებასთან, არამდგრადობასთან დაკავშირებით. ამ

შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია, რომ არსებული სერვისების ისედაც მცირე რაოდენობა ყოფილ პატიმრებს მიეწოდოთ დროულად და კონკრეტულად იმ პერიოდში, როდესაც არის ამის საჭიროება.

### რეკომენდაციები:

სასურველია:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრმა იზრუნოს სხვადასხვა სახის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, როგორც საბიუჯეტო დაფინანსების მატების კუთხით, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით;
- იუსტიციის სამინისტრომ (დანაშაულის პრევენციის ცენტრმა) ყოველწლიურად წინასწარ განსაზღვროს იმ სერვისების ჩამონათვალი, რისი საჭიროებაც აქვს უწყებას. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის;
- სიღრმისეულად გაანალიზდეს გრანტების გაცემის პროგრამის ეფექტიანობა და შემუშავდეს, მომავალში ამ კომპონენტის უფრო აქტიურად გამოყენების მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა.



## უწყებათაშორისი თანამშრომლობა

### პრობაციის და პენიტენციური სისტემების თანამშრომლობა

#### ძირითადი მიგნებები

კვლევის შედეგად რესპონდენტების უმრავლესობამ დაადასტურა, რომ მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში, პენიტენციურ დეპარტამენტსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის თანამშრომლობა იწყება მსჯავრდებულის მხოლოდ შესაძლო ვადაზე ადრე გათავისუფლებამდე (ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლამდე) 3 თვით ადრე. კვლევის შედეგად ასევე დადასტურდა, რომ რაიმე სახის თანამშრომლობა ან ინფორმაციის გაცვლა ამ ორ უწყებას შორის (რომლებიც ერთი სამინისტროს ქოლგის ქვეშ არიან), როცა მსჯავრდებული თავისუფლდება სხვა მიზეზით, გარდა ვადაზე ადრე გათავისუფლებისა, ამჟამად არ არსებობს.

როგორც საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზისას, ასევე რესპონდენტების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებებიდან იკვეთება, რომ პენიტენციურ და პრობაციის სისტემებს შორის თანამშრომლობა, შემოიფარგლება მხოლოდ ქალ და არასრულწლოვან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში. თუმცა რესპონდენტების ნაწილმა ხაზი გაუსვა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებითაც.

#### დასკვნა

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში პენიტენციურ დეპარტამენტსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის თანამშრომლობა იწყება მსჯავრდებულის მხოლოდ შესაძლო ვადაზე ადრე გათავისუფლებამდე (ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლამდე) 3 თვით ადრე. ეს თანამშრომლობა ამ ეტაპზე შემოიფარგლება მხოლოდ ქალ და არასრულწლოვან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში.

გარდა ამისა, რესპონდენტების უმრავლესობამ დაადასტურა, რომ ამ ორ უწყებას შორის თანამშრომლობა შემოიფარგლება მხოლოდ მსაჯვრდებულის ვადაზე ადრე გათავისუფლების პროცესში და არა სხვა საფუძვლით პირის გათავისუფლებისას.

აუცილებელია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შემუშავებული ჰქონდეს გათავისუფლებისათვის მომზადების სისტემის ჩამოყალიბების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა. ამ ორ უწყებას შორის თანამშრომლობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ვადაზე ადრე გათავისუფლების შემთხვევებით. პირი შესაძლოა სხვადასხვა გზით (შეწყალება, ამნისტია, სასჯელის გადავადება და ა.შ.) გათავისუფლდეს პენიტენციური დაწესებულებიდან, თუმცა ამავდროულად ჰქონდეს პირობითი მსჯავრი. აუცილებელია, ასეთ შემთხვევებთან დაკავშირებითაც იყოს შემუშავებული უწყებებს შორის გარკვეული სახის თანამშრომლობის მექანიზმი.

პენიტენციური დეპარტამენტი და პრობაციის ეროვნული სააგენტო გაერთიანებულნი არიან ერთი სამინისტროს ქვეშ. თუმცა, კვლევა ადასტურებს, რომ ამ ორ უწყებას შორის თანამშრომლობა არის არასისტემური და ამ ეტაპზე გათვლილია მხოლოდ მცირე სამიზნე ჯგუფზე. რასაკვირველია, უმჯობესია, რომ გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესი ყველა პენიტენციურ დაწესებულებასთან მიმართებაში ერთგვაროვნად იყოს ორგანიზებული, თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ ამ ეტაპზე გათავისუფლებისათვის მომზადების სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბება ყველა დაწესებულებაში შეუძლებელია (ადამიანური რესურსების, ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების, სერვისების ნაკლებობის და სხვა ფაქტორების გამო). შესაბამისად, გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესიც შესაძლოა სხვადასხვაგვარად იყოს ორგანიზებული. რიგ შემთხვევებში, პენიტენციურ დაწესებულებას შეუძლია პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდეგ გაუზიაროს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის პროგრამებში იყო ჩართული მსჯავრდებული დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში.

## რეკომენდაციები:

სასურველია:

- გათავისუფლებისათვის მომზადების სისტემის სრულყოფილად ჩამოყალიბებამდე, იმ დაწესებულებებში, სადაც ამ ორ უწყებას შორის თანამშრომლობის პროცესი არ არის რეგულირებული, ჩამოყალიბდეს უწყებებს შორის გარკვეული სახის ინფორმაციის გაცვლის სისტემა;
- ჩამოყალიბდეს უწყებათაშორისო თანამშრომლობის და ინფორმაციის გაცვლის მექანიზმი იმ შემთხვევებთან დაკავშირებით, როცა მსჯავრდებული თავისუფლდება სხვა მიზეზით, გარდა ვადაზე ადრე გათავისუფლებისა (ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა) და

*მსჯავრდებულს ამავედროულად დარჩენილი აქვს პირობითი მსჯავრის მოხდა;*

- ჩამოყალიბდეს პენიტენციურ დაწესებულებებში გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესის დანერგვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა.

დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომლობა

### **ძირითადი მიგნებები**

საჯარო ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოკვეთა, რომ დანაშაულს პრევენციის ცენტრსა და პენიტენციურ დეპარტამენტს შორის თანამშრომლობის მიზნით 2013 წელს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი (იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შორის). თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს თანამშრომლობის მხოლოდ ზოგად ჩარჩოს. აქვე უნდა ითქვას, რომ რესპონდენტების უმრავლესობამ ასევე დაადასტურა, რომ არ აქვთ ინფორმაცია მემორანდუმის შინაარსთან დაკავშირებით.

თვისობრივი კვლევისას, რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ, როგორც წესი, დანაშაულის პრევენციის ცენტრის თანამშრომლები ხვდებიან იმ მსჯავრდებულებს, რომლებსაც დარჩენილი აქვთ სასჯელის მოხდა 3 თვემდე ვადით და ამ კუთხით არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი მიდგომა. თუმცა, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ იმ მსჯავრდებულების შესახებ, ვინც შეიძლება გათავისუფლდეს, ინფორმაციას ზოგი იღებს წინასწარ, ხოლო ზოგი კი უშუალოდ დაწესებულებაში შესვლისას.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომლის თაობაზე რესპონდენტების უმრავლესობამ მიუთითა, არის ის, რომ მსჯავრდებულების უმრავლესობას არ მიეწოდება ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა უწყებას წარმოადგენს დანაშაულის პრევენციის ცენტრი და რა სახის სერვისებს სთავაზობს მსჯავრდებულებს გათავისუფლების შემთხვევაში. კვლევამ აჩვენა, რომ მსჯავრდებულებს ხშირად დანაშაულის პრევენციის ცენტრის წარმომადგენლები ჰგონიათ ისეთი უწყებებიდან, როგორიც არის იუსტიციის სახლი, დასაქმების ბიურო და ა.შ.

გარდა ამისა, რესპონდენტების უმრავლესობამ ასევე განაცხადა, რომ უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლა (მაგალითად, რა სახის პროგრამებში იყო მსჯავრდებული პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდში) ფაქტობრივად არ ხორციელდება.

## დასკვნა

პენიტენციურ დეპარტამენტსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრს შორის დღეს არსებული თანამშრომლობა შემოიფარგლება მხოლოდ მსჯავრდებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებით, თუ რა სახის სერვისებზე შეიძლება ჰქონდეთ წვდომა გათავისუფლების შემდეგ. მხოლოდ აღნიშნული აქტივობა არ წარმოადგენს გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესის ეფექტურ მექანიზმს. ამ კუთხით აშკარად გამოიკვეთა უწყებებს შორის თანამშრომლობის ხარვეზები, განსაკუთრებით მსჯავრდებულებისთვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდების კუთხით, თუ რა უწყებას წარმოადგენს დანაშაულის პრევენციის ცენტრი და რას სთავაზობს მათ გათავისუფლებისათვის მომზადების შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ორ უწყებას შორის არის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი, აღნიშნული დოკუმენტი ვერ არეგულირებს თანამშრომლობის დეტალურ ჩარჩოს. გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ შესაბამის მოხელეებს არ აქვთ ინფორმაცია აღნიშნული მემორანდუმის შესახებ. ამ კუთხით მიზანშეწონილია, რომ პენიტენციურ დეპარტამენტსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრს შორის თანამშრომლობა დარეგულირდეს ნორმატიულად, სადაც ასახული იქნება, სულ მინიმუმ, დღევანდელ პრაქტიკაში არსებული ჩარჩო და უწყებების ვალდებულებები ასეთი სახის თანამშრომლობის პროცესში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ერთიანმა რეგულაციამ უფრო კონკრეტულად განსაზღვროს მსჯავრდებულთა შეფასების, მათთვის ინფორმაციის მიწოდების და ამ ორ უწყებას შორის ინფორმაციის გაცვლის საკითხები.

## რეკომენდაციები

სასურველია:

- ნორმატიულად ჩამოყალიბდეს პენიტენციურ დეპარტამენტსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრს შორის თანამშრომლობის დეტალური პროცედურები, რამაც უნდა მოიცვას მსჯავრდებულთა შეფასების, მათთვის ინფორმაციის მიწოდების და ამ უწყებებს შორის თანამშრომლობის სხვა სახის დეტალური რეგულაციები.

## ხარისხის კონტროლის სისტემა

### პენიტენციური დეპარტამენტი

#### ძირითადი მიგნებები

თვისობრივი კვლევისას რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ განხორციელებული სერვისების შესახებ სერვისის მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ნაწილი უკუკავშირს იღებს წერილობით და ნაწილი - ზეპირად.

რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ სუპერვიზიის/მონიტორინგის ელემენტები არსებობს იმ შემთხვევებში, როცა სერვისის მიმწოდებელი უშუალოდ სისტემის თანამშრომელია. თუმცა კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ აღნიშნული პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქციები და ინსტრუმენტები ამ ეტაპზე არ არის ჩამოყალიბებული.

კვლევამ აჩვენა, რომ პენიტენციურ სისტემაში ხარისხის კონტროლის მექანიზმები არაერთგვაროვანია და აშკარად იკვეთება, რომ ეს პროცესი არ არის სისტემატიზებული. ამ ეტაპზე, არ არის ჩამოყალიბებული მიწოდებული სერვისების ხარისხის კონტროლის ერთიანი სისტემა. მაგალითად, ზოგიერთ სერვისის მიმწოდებელი იღებს უკუკავშირს მის განხორციელებულ პროგრამასთან დაკავშირებით წერილობით, ხოლო ზოგი ან საერთოდ არ იღებს ასეთი სახის უკუკავშირს ან მხოლოდ სიტყვიერად.

არაერთგვაროვანი იყოს რესპონდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ ახდენენ მსჯავრდებულთა საჭიროებების განსაზღვრას. რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, ზოგ შემთხვევებში ხდება მსჯავრდებულთა წინასწარ გამოკითხვა, თუ რა სახის სერვისებში სურთ ჩართვა. ნაწილმა განაცხადა, რომ საჭიროებების განსაზღვრას ახდენენ მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასების შედეგად. ხოლო ნაწილის განმარტებით კი ისინი არ ახდენენ რაიმე სახის ანალიზს და უბრალოდ ეყრდნობიან საუკეთესო გამოცდილებას.

გარდა ამისა, რესპონდენტების მხრიდან მიღებული ინფორმაციის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ არ არის ჩამოყალიბებული ანგარიშგების ერთიანი სისტემა.

#### დასკვნა

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ არ არის ჩამოყალიბებული მიწოდებული სერვისების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და შესაბამისად ვერც გათავისუფლებისათვის

მომზადების ერთიანი პროცესის ანალიზი ხორციელდება. აუცილებელია ჩამოყალიბდეს ხარისხის კონტროლის სისტემა, რომელმაც უნდა მოიცვას ყველა ელემენტი, რაც ზემოთ იქნა განხილული - სუპერვიზია/მონიტორინგი; უკუკავშირის და ანგარიშგების სისტემა; არსებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სისტემა. ბუნებრივია ამ პროცესში შესაძლოა გათვალისწინებული იყოს განსახვავებული მიდგომები დაწესებულებების ტიპის და მსჯავრდებულთა კატეგორიის მიხედვით. უნდა ჩამოყალიბდეს ხარისხის კონტროლის სისტემის ერთიანი ციკლი, რომელიც უნდა იყოს რეგულირებული საკანონმდებლო დონეზე.

პრობაციის ეროვნული სააგენტო

### ძირითადი მიგნებები

თვისობრივი კვლევისას, რესპონდენტების მხრიდან გამოითქვა არაერთგვაროვანი მოსაზრებები უკუკავშირის სისტემასთან დაკავშირებით. რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ განხორციელებული სერვისების შესახებ ნაწილი უკუკავშირის იღებს წერილობით, ხოლო ნაწილი ზეპირად.

რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ არის ჩამოყალიბებული სუპერვიზიის ერგვაროვანი სისტემა სააგენტოში, თუმცა ასევე გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პროცესი სამართლებრივად რეგულირებული არ არის. რესპონდენტების უმრავლესობამ დადასტურა, რომ მსჯავრდებულთა საჭიროებების განსაზღვრა ეფუძნება მსჯავრდებულის რისკებისა და საჭიროებების შეფასების მექანიზმს და ამ კუთხით ჩამოყალიბებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა.

რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ არის გარკვეული ანგარიშგების სისტემა, ხოლო ნაწილმა განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია ერთიანად თავს არსად იყრის. ამის გათვალისწინებით, რთულია იყო იმის განსაზღვრა, ასეთი სისტემა არ არსებობს, თუ კონკრეტულ რესპონდენტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე. ორივე შემთხვევაში იკვეთება, რომ გვაქვს არასისტემური მიდგომები ამ საკითხთან დაკავშირებით.

სერვისების ეფექტურობასთან დაკავშირებით, რესპონდენტების მხრიდან გამოითქვა ასევე არაერთგვაროვანი მოსაზრებები. რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ მიღებული უკუკავშირის მიხედვით არის შესაძლებელი ეფექტურობის გაზომვა, ზოგმა



განაცხადა რომ ამ კუთხით აქვთ რაოდენობრივი ინდიკატორები, ხოლო რესპონდენტების ნაწილმა კი განაცხადა, რომ ასეთი სისტემა საერთოდ არ არსებობს.

## დასკვნა

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, ხარისხის უზრუნველყოფის ზოგიერთი კომპონენტი მეტ-ნაკლებად გამართულად ფუნქციონირებს (რისკებისა და საჭიროებების შეფასება; სუპერვიზიის სისტემა). თუმცა ასევე იკვეთება, რომ გამართულად არ არის ჩამოყალიბებული ხარისხის კონტროლის ერთიანი სისტემა, რომელმაც უნდა მოიცვას ყველა ელემენტი - რისკებისა და საჭიროებების შეფასება; სუპერვიზია/მონიტორინგი; უკუკავშირის და ანგარიშების სისტემა; არსებული მონაცემების შეგროვების და ანალიზის სისტემა. ბუნებრივია ამ პროცესში შესაძლოა იყოს გათვალისწინებული განსახვავებული მიდგომები მსჯავრდებულთა კატეგორიის და სხვა რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. უნდა ჩამოყალიბდეს აღნიშნული პროცესის ერთიანი ციკლი, რომელიც უნდა იყოს რეგულირებული საკანონმდებლო დონეზე.

## რეკომენდაციები

სასურველია:

- *პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში ნორმატიულად ჩამოყალიბდეს ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი ინსტრუქციები, ინსტრუმენტები და დეტალური პროცედურები, რამაც უნდა მოიცვას სუპერვიზია/მონიტორინგის, უკუკავშირისა და ანგარიშების, მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის კომპონენტების ერთიანი ციკლი.*

დანაშაულის პრევენციის ცენტრი

### ძირითადი მიგნებები

თვისობრივი კვლევისას, რესპონდენტების მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ იყო ერთგვაროვანი. რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, მიწოდებულ სერვისთან დაკავშირებით, ზოგ შემთხვევაში უკუკავშირს იღებენ წერილობით, ზოგ შემთხვევაში სიტყვიერად, ხოლო ზოგ შემთხვევაში, ბენეფიციარის კმაყოფილებით ზომავენ მიწოდებული სერვისის ხარისხს.

სუპერვიზიის/მონიტორინგის ერთიანი სისტემასთან დაკავშირებითაც გამოითქვა არაეთვაროვანი მოსაზრებები. რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ მათ სუპერვიზიას არ უტარებენ, ხოლო ზოგმა განაცხადა, რომ სუპერვიზიას სოციალური მუშაკები აკეთებენ ყოველთვიურად.

თვისობრივი კვლევისას, ასევე გამოიკვეთა, რომ სერვისების საჭიროებების განსაზღვრასთან დაკავშირებით, არსებობს მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი მიდგომები. კერძოდ, ხორციელდება ბენეფიციარების საჭიროებების შეფასება და ამ კუთხით არსებობს შეფასების ორგვარი სისტემა, რაც დამოკიდებულია, თუ რა სახის სერვისის მიღების სურვილი აქვს ყოფილ პაციმარს. საჭიროებების შეფასება ხორციელდება ყოველი თვის ბოლოს და ამის საფუძველზე ახორციელებენ ანალიზს. შესაბამისად იკვეთება, რომ არის ანგარიშგების სისტემის გარკვეული სახის ელემენტები.

### დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ არ არის ჩამოყალიბებული მიწოდებული სერვისების ხარისხის კონტროლის ერთიანი სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ არის ჩამოყალიბებული ხარისხის უზრუნველყოფის გარკვეული სახის ელემენტები, ერთიანი პროცესის სისტემატიზირებული ანალიზი ვერ ხორციელდება. აუცილებელია ჩამოყალიბდეს ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი სახის სისტემა, რომელმაც უნდა მოიცვას ყველა ელემენტი, სუპერვიზია/მონიტორინგი; უკუკავშირის და ანგარიშგების სისტემა; არსებული მონაცემების შეგროვების და ანალიზის სისტემა. ბუნებრივია ამ პროცესში შესაძლოა იყოს გათვალისწინებული განსახვავებული მიდგომები ყოფილ პაციმართა კატეგორიის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ ჩამოყალიბდეს აღნიშნული პროცესის ერთიანი ციკლი, რომელიც უნდა იყოს რეგულირებული, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე სპეციალური ინსტრუქციების, სახელმძღვანელო პრინციპების და ინსტრუმენტების მეშვეობით.

## რეკომენდაციები:

### სასურველია:

- დანაშაულის პრევენციის ცენტრში ნორმატიულად ჩამოყალიბდეს ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი ინსტრუქციები, ინსტრუმენტები და დეტალური პროცედურები, რამაც უნდა მოიცვას სუპერვიზია/მონიტორინგის, უკუკავშირისა და ანგარიშგების, მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის კომპონენტების ერთიანი ციკლი.

# ციხის სარეაბილიტაციო პროგრამების საუკეთესო პრაქტიკა ნიდერლანდებში, გერმანიასა და ლიტვაში

*მიმოხილვა*

**მიმოხილვა** - ციხის სარეაბილიტაციო პროგრამების  
საუკეთესო პრაქტიკა ნიდერლანდებში, გერმანიასა და  
ლიტვაში

ჰელი მიური, მეცნიერებათა მაგისტრი

სუპერვაიზორები: **მაკტელდ ბუჟი და იოსტ ბრიკსიმა**

მაინლანდი

2018

## რეზიუმე

ყოფილ პატიმრებს შორის მაღალია რეციდივიზმის დონე. დაახლოებით მათი ნახევარი, გათავისუფლებიდან 2 წლის მანძილზე, განმეორებით დანაშაულს ჩადის (Linckens & De Looff, 2013). სტატისტიკა ცხადყოფს, რომ, ერთის მხრივ, ისინი აწყდებიან გადაულახავ დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლით თავი აარიდონ განმეორებითი დანაშაულის ჩადენას, ხოლო, მეორეს მხრივ, ის გზა, რომელიც დღეს მართლმსაჯულების სისტემაში პატიმრის რეაბილიტაციისთვის არის არჩეული, უბრალოდ, არ მუშაობს. ამ ანგარიშის მიზანია, სარეაბილიტაციო პროგრამების საუკეთესო პრაქტიკების მეშვეობით, გვაჩვენოს, როგორ ცდილობენ ნიდერლანდები, გერმანია და ლიტვა, შეამცირონ ეს სტატისტიკური მაჩვენებელი. ყურადღებას გავამახვილებთ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ციხეში/საზოგადოებაში განხორციელებულ სხვადასხვა პროექტზე, რომელიც ხელს უწყობს ყოფილი პატიმრების საზოგადოებაში რეინტეგრაციას. ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, თუ რამ იმუშავა ამ ქვეყნების პენიტენციურ სისტემებში, შემდეგ კი, საუკეთესო პრაქტიკები რეკომენდაციების სახით წარვუდგინოთ საქართველოში მომუშავე ორგანიზაციებს, მათ მიერ ყოფილი პატიმრების რეაბილიტაციის გაუმჯობესების მცდელობის გაუმჯობესებისათვის. ნიდერლანდებისა და გერმანიის არჩევის მიზეზი მათი პენიტენციური რეფორმები და მაღალი დონის სტანდარტებია, ლიტვა კი იმიტომ შევარჩიეთ, რომ საქართველოს მსგავსად იმყოფებოდა სსრკ-ს მმართველობაში.

პირველ რიგში, მოკლედ მიმოვიხილავთ რეაბილიტაციასა და რეციდივიზმს, ასევე ზოგადად, რა პროგრამები არსებობს ციხეებსა და საზოგადოებაში და რა წინააღმდეგობებს აწყდებიან ისინი. იმისათვის, რომ გავარკვიოთ თუ რა მიდგომები უნდა იქნას გამოყენებული რეციდივის შემცირებისკენ მიმართული პროგრამების შემუშავებისას. ძირითად სახელმძღვანელოდ გამოვიყენებთ თეორიის „რა მუშაობს“ პრინციპებს. შემდეგ მიმოვიხილავთ სამი ქვეყნის პენიტენციურ სისტემას და სარეაბილიტაციო პროგრამების გამოყენების პრაქტიკას. ეს გულისხმობს თითოეული ქვეყნის პენიტენციური სისტემისა და სასჯელის დანიშვნის პრაქტიკის კონტექსტის გადმოცემას, ვინაიდან ისეთი სასჯელის დანიშვნა, რომელიც წარმოადგენს დასჯის ალტერნატივას, საშუალებას იძლევა შემცირდეს რეციდივის მაჩვენებელი (Warta et al., 2017). დეტალურად განვიხილავთ თითოეული ქვეყნის კონკრეტულ სარეაბილიტაციო პროგრამასა და პროექტებს, რას გვთავაზობს ეს პროგრამები, ვისთვისაა ისინი, როგორ მოხდა მათი დანერგვა და რატომ ხდება (ან არ ხდება) მათი შენარჩუნება, ვინ აფინანსებს, ვინ მართავს და სად ხორციელდება- ციხეში, საზოგადოებაში თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა წარსულში წამალდამოკიდებულების მქონე პატიმრებისთვის განკუთვნილ პროგრამებს.



## შესავალი

რეაბილიტაცია - თანამედროვე პენიტენციური სისტემების მთავარი მიზანი, წარმოადგენს ყოფილი პატიმრის საზოგადოებაში რეინტეგრაციას და დანაშაულისგან თავისუფალი ცხოვრების უზრუნველყოფას, პროფესიონალთა მხარდაჭერითა და საკუთარი თავის დახმარების მეშვეობით (Heubner, 2009). ზიანის შემცირების ამ მიდგომის მხარდამჭერებისთვის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს არა პატიმრის შემდგომი დასჯა, არამედ ყველა საშუალების გამოყენება პენიტენციურ სისტემაში დაბრუნების თავიდან ასაცილებლად. რეაბილიტაცია მოიცავს პროგრამათა ერთობლიობას, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის, ნივთიერებაზე დამოკიდებულებისა და საგანმანათლებლო სერვისების შესახებ, რომელიც პირს მიეწოდება როგორც ციხის შიგნით, ასევე მის გარეთ. იდეალურ შემთხვევაში, პატიმართა რეაბილიტაცია იწყება სასჯელის მოხდის პერიოდში და გრძელდება გათავისუფლების შემდგომ (Casey & Jarman, 2011). სასარგებლოა რეაბილიტაციის გაგება ეტაპობრივი თვალსაზრისით, როგორც, მაგალითად დაკავების წინა ეტაპი (მაგ.: სამკურნალო პროგრამებში გადამისამართება, რეაბილიტაცია თუ თავისუფლების აღკვეთა), პატიმრობის ეტაპი (მაგ.: პატიმრობის პერიოდში განხორციელებული პროგრამები) და გათავისუფლების შემდგომი პერიოდი (მაგ.: პრობაცია, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება (half way house). პროექტების არსის უკეთ გაგების მიზნით, აქცენტი გაკეთდება პროექტის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე.

ციხეში, რეაბილიტაცია კლასიფიცირდება როგორც საგანმანათლებლო, კულტურული, სოციალური და რეკრეაციული აქტივობები, რომლის საშუალებითაც ხდება პატიმრის გარე სამყაროსთვის მომზადება (იქვე). ციხის გარეთ, პატიმართა რეაბილიტაცია ხორციელდება ისეთი პროგრამების მეშვეობით, რომლებიც მათ საშუალებას აძლევთ იყვნენ საზოგადოების წევრნი და დარჩნენ პენიტენციური სისტემის გარეთ. მსგავსი შესაძლებლობები და სარეაბილიტაციო პროგრამების არსებობა, პატიმრებისთვის ხაზს უსვამს, იმ ფაქტს, რომ დასჯის პარალელურად, მათში ინვესტიციის ჩადება ხორციელდება. სამწუხაროდ, ბევრი ციხის ადმინისტრაციას არ გააჩნია შესაბამისი რესურსი იმ უამრავ პრობლემასთან გასამკლავებლად, რომელიც აწუხებს გათავისუფლების ვადასთან ახლოს მყოფ პატიმარს: საცხოვრებელთან დაკავშირებული საკითხები, განათლება, ჯანმრთელობა, ნარკოტიკის გამოყენება, ფინანსები, ოჯახი და ქცევა (Roy, 2012). ამ საკითხების ნახვა შესაძლებელია ციხის მინიმალურ პროგრამებში, რომელიც პატიმართა კეთილდღეობასა თუ ჯანდაცვას ეხება(იქვე). თუ მსგავსი პროგრამები სათანადოდ ხორციელდება და მართლმსაჯულების სისტემას შეუძლია დამნაშავეთა წარმატებული რეაბილიტაცია და ჩვენი საზოგადოება უფრო უსაფრთხოა.

სარეაბილიტაციო პროგრამები მეტად უნდა იყვნენ ორიენტირებული ნორმალიზაციაზე, რაც გულისხმობს ციხის ცხოვრების საზოგადოებრივ ცხოვრებასთან შეძლებისდაგვარად შესაბამისობაში მოყვანას (Subramanian & Shames, 2013). დაუშვებელია, საპატიმრო სასჯელი ნიშნავდეს რომელიმე იმ უფლების ჩამორთმევას, რომელიც ახდენს ჩვენი, როგორც მოქალაქეების განსაზღვრებას, მათ შორის ჯანდაცვისა და მკურნალობის უფლება. ნორმალიზაციის პრინციპი ასეთი სწორხაზოვანი არ არის ნივთიერებათა მოხმარებასთან მიმართებაში, ვინაიდან იგი ასახავს პირის დამოკიდებულებას ნივთიერებათა უკანონო მოხმარების მიმართ. ზოგს შეიძლება

მიაჩნდეს, რომ წამალდამოკიდებულ პაციმარს ისევე უნდა ვეპყრობოდეთ, როგორც სხვა პაციმრებს და ისინი არ საჭიროებენ რაიმე სახის განსაკუთრებულ მიდგომას, როგორცაა, მაგალითად, თერაპია ან მკურნალობა. მეორენი მიიჩნევენ, რომ ციხე სულაც არ არის ის ადგილი, სადაც შესაძლებელია პირის მოტივირება, გაუმკლავდეს ან შეცვალოს ნივთიერების მოხმარების საკითხი. ხოლო ზოგიერთი საუკეთესო მეთოდად არა დასჯას, არამედ წამალდამოკიდებულებისადმი ჯანმრთელობაზე დაფუძნებულ მიდგომას თვლის. მსგავსი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება კარგადაა ასახული პენიტენციურ სისტემაში, რომლებიც წამალდამოკიდებულების სარეაბილიტაციო პროგრამებს დაუდევრად სთავაზობენ პაციმრებს, გათავისუფლების შემდგომ კი, პროგრამებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია და ყოფილ პაციმარს არანაირ მხარდაჭერას აღარ სთავაზობს.

ვრცელი სალიტერატურო მიმოხილვის შედეგად, Nation and colleagues-მა (2003) შეიმუშავა ცხრა „რა მუშაობს“ პრინციპი, რომელიც მუდმივად ფიგურირებდა წარმატებულ პროგრამებში, მათ შორისა ნივთიერებათა მოხმარებასა და ძალადობაზე. ეს ცხრა პრინციპი, რომელიც „მუშაობს“, იყოფა სამ კატეგორიად. პირველი ხუთი პრინციპი უკავშირდება პროგრამის მახასიათებლებს, იმდენად, რამდენადაც სარეაბილიტაციო პროგრამები უნდა იყოს სრულყოფილი, მოიცავდეს სხვადასხვა სასწავლო მეთოდებს, მიეწოდებოდეს შესაბამისი დოზით (სათანადო რაოდენობით), წამყვან ნაწილს უნდა წარმოადგენდეს თეორია და იძლეოდეს დადებითი ურთიერთობების შესაძლებლობას. დანარჩენი ორი პრინციპი ეხება მონაწილეთა პროგრამასთან თავსებადობას, ვინაიდან აუცილებელია, სარეაბილიტაციო პროგრამები დროში სწორად გაწერილი და სოციალურ-კულტურულ გარემოსთან შესაბამისი იყოს. უკანასკნელი ორი პრინციპი უკავშირდება პროგრამის განხორციელებას. სარეაბილიტაციო პროგრამებს უნდა ჰყავდეს კარგად მომზადებული პერსონალი და უზრუნველყოფდეს შედეგების შეფასებას (იქვე). თითოეული პრინციპის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ დოკუმენტის დანართი.

ავტორებზე დაყრდნობით, სარეაბილიტაციო პროგრამისგან შედეგის მისაღებად, აუცილებელია ყველა ამ პრინციპის არსებობა. თუმცადა, ზოგჯერ არარეალურია ყველა პრინციპის რომელიმე სარეაბილიტაციო პროგრამაში, ყველა კონტექსტსა და მართლმსაჯულების სისტემაში არსებობა. მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ როგორც სახელმძღვანელო ინსტრუქციები. თვალსაჩინოებისათვის, თუ როგორ ხდება „რა მუშაობს“ პრინციპების პრაქტიკაში გამოყენება, ანგარიშში გამოვკვეთავთ თუ როგორ მოახდინა ხსენებულმა სამმა ქვეყანამ მათი ადაპტირება ციხეში თუ საზოგადოებაში განხორციელებულ სარეაბილიტაციო პროექტებში და მათ როლს თითოეული პროექტის წარმატებაში.

## ნიდერლანდები

### ნიდერლანდების მართლმსაჯულების სისტემის მიმოხილვა და კონტექსტი

ნიდერლანდები ცნობილი არიან პრაგმატული მიდგომებით ისეთი სოციალური საკითხებისადმი, როგორიცაა მსუბუქი ნარკოტიკი, პროსტიტუცია და ევთანაზია (Verster & Solberg, 2003). უშიშროებისა და იუსტიციის სამინისტროს მიდგომა კანონისა და წესრიგის რეგულირებისადმი ამ ლიბერალიზმს ასახავს ყურადღების გამახვილებით იმ საკითხებზე, რაც კარგად მუშაობს ფართო საზოგადოებაში და არა იმაზე, თუ როგორ უნდა დაისაჯოს დამნაშავე. იმის გათვალისწინებით, რომ ნიდერლანდებში ყოველწლიურად 40,000 სრულწლოვანი პირის დაპატიმრება და მათგან დაახლოებით 30,000 ადამიანის უკან-საზოგადოებაში დაბრუნება ხდება, ეს ლოგიკური მიდგომაა (Subramanian & Shames, 2013). ქვეყნის მასშტაბით, პენიტენციური დეპარტამენტი განიხილავს ზრდასრულ პირთა პატიმრობის ყველა შემთხვევას დაახლოებით 400-ს ციხეში. ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ ნიდერლანდების მუნიციპალიტეტებთან იმის უზრუნველსაყოფად, რომ პატიმარს გააჩნდეს წვდომა ინფორმაციაზე საცხოვრებლის, ფინანსების, ჯანმრთელობისა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის შესახებ (იქვე). არსებობს სხვადასხვა ტიპის დაწესებულებები, სადაც ხდება მსჯავრდებული პირის განთავსება: დაწესებულებები სრულწლოვანთათვის (ღია და დახურული ტიპის), დაწესებულებები არასრულწლოვან დამნაშავეთათვის, ფსიქიატრიული დაწესებულებები, დაკავებულ არალეგალთა ცენტრები და წინასწარი პატიმრობის ცენტრები (Tonry & Bijleveld, 2007). სამუშაოს დაწყებამდე, სისტემის თანამშრომლები, როგორც წესი, გადიან ორწლიან მომზადებას - ერთწლიან სწავლებას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და ერთწლიან პრაქტიკას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საგანმანათლებლო თეორია, ფსიქოლოგია, სოციალური განათლება, სტრესისა და კონფლიქტების მართვა (Rook & Verhagen, 1987). ასეთი დეტალური მომზადების მიზანია მათი (უკეთესი) უნარებით აღჭურვა პატიმრებთან ურთიერთობისა და მოპყრობისას, ნებისმიერ სიტუაციაში პატივისცემისა და გაგების შენარჩუნების მიზნით.

ნიდერლანდებში, გათავისუფლებიდან ექვსი წლის შემდეგ, ყოფილ პატიმართა 70%-ზე მეტი ჩადიოდა განმეორებით დანაშაულს, ხოლო თითქმის 50% ხელახლა იქნა დაპატიმრებული (Wartna et al., 2011). თუმცა, წლების მანძილზე, 2003-დან 2007 წლამდე, განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელი 7%-ით შემცირდა (იქვე). უფრო კონკრეტულად, უშიშროების სამინისტროს დოკუმენტაციის ცენტრის მიერ, 2010 წელს განხორციელებულმა რეციდივის მონიტორინგმა ცხადყო, რომ 2006 წელს, ყოფილ პატიმართა 54.1%, გათავისუფლებიდან 2 წლის მანძილზე დაბრუნდა სისხლის სამართლის სისტემაში (სისხლის სამართლებრივი დევნა ან პატიმრობა). 2002 წელს იგივე მაჩვენებელი 59% იყო (იქვე). მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკური მაჩვენებელი ისევ საკმაოდ მაღალია, ნიდერლანდებში რეციდივი მცირდება.

ნიდერლანდების რეციდივის მონიტორი ყველა არასრულწლოვან თუ სრულწლოვან დამნაშავეს აკვირდება რეციდივიზმის სტანდარტიზებული საზომის მეშვეობით (იქვე). ეს უშიშროებისა და იუსტიციის სამინისტროს საშუალებას აძლევს განიხილოს თითოეული კრიმინალის საქმე და

მათი რეციდივიზმის განვითარება. კერძოდ კი, ისინი აგროვებენ მონაცემებს რეციდივის პრევალენტობის, სიჩქარის, სიხშირისა და მახასიათებლების შესახებ (იქვე). მათ ასევე შეუძლიათ, თითოეულ პოპულაციაში, შეისწავლონ დამნაშავეთა მახასიათებლები, იგივე კრიმინოგენური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს განმეორებითი დანაშაულის ჩადენაზე - პირველი დანაშაულის ჩადენის ასაკი, სქესი, ასაკი და წარმოშობის ქვეყანა. ზემოთ ხსენებული სასამართლო დოკუმენტაციის კვლევისა და პოლიტიკის მონაცემთა ბაზა (OBJD) და უშიშროებისა და იუსტიციის სამინისტროს კვლევისა და დოკუმენტირების ცენტრი (WODC) წარმოადგენს ორ დაწესებულებას, რომელიც აუცილებელია ვახსენოთ ნიდერლანდების სასჯელაღსრულების სისტემაზე საუბრისას. სასამართლო დოკუმენტაციის კვლევისა და პოლიტიკის მონაცემთა ბაზა (OBJD) მოიცავს ინფორმაციას ყველა ექვმიტანილ თუ დამნაშავე ფიზიკურ და იურიდიულ პირზე ნიდერლანდებში, ხოლო უშიშროებისა და იუსტიციის სამინისტროს კვლევისა და დოკუმენტირების ცენტრი (WODC) წარმოადგენს ცოდნის ბაზას უსაფრთხოების, პოლიციის, სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული მართლმსაჯულების საკითხებზე (Wartna et al., 2017). იგი ფლობს ინფორმაციას დამნაშავეთა ექვსი სხვადასხვა პოპულაციის შესახებ: სრულწლოვანი დამნაშავენი, არასრულწლოვანი დამნაშავენი, წარსულში პრობაციაზე მყოფი დამნაშავეები, სრულწლოვანი ყოფილი პატიმრები, არასრულწლოვანი ყოფილი პატიმრები და სასამართლო-ფსიქიატრიული ცენტრის ყოფილი პატიმრები (იქვე). ორივე სააგენტო ფუნქციონირებს უშიშროებისა და იუსტიციის სამინისტროს ეგიდით. საპატიმრო დაწესებულებების მთავარი სამოქმედო გეგმის (2013-2018) შემუშავებით, ნიდერლანდების მთავრობა გეგმავს სასჯელაღსრულების სისტემის ხარჯების შეკვეცას შემცირებების გზით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია 270 მილიონი ევროს დაზოგვა. ამ გეგმის მთავარ მახასიათებლებს წარმოადგენს შემდეგი: 2018 წლისთვის, ქვეყნის მასშტაბით დაიხურება 19 ციხე, რაც თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ პატიმართა ნახევარზე მეტი მალე საერთო საკნებში აღმოჩნდება, თითოეულ საკანში ორჯერ იმაზე მეტი, ვიდრე ახლა არიან. გაუქმდება ისეთი ზომები, რომელიც გათავისუფლებასთან ახლო ვადის მქონე პატიმარს საშუალებას აძლევს წავიდეს სახლში თავისუფალი/რეინტეგრაციის დღის საშუალებით, ასევე, ციხის სხვა სარეაბილიტაციო პროგრამები (საპატიმრო სასჯელები, n.d.). ეს მკვეთრი შემცირებები უდავოდ უარყოფითად იმოქმედებს ნიდერლანდების პენიტენციური სისტემის სოციალურ გარემოზე და მნიშვნელოვნად შეამცირებს ყოფილი პატიმრების სათანადო რესოციალიზაციის შანსს.

## სასჯელის დანიშვნა ნიდერლანდებში

ნიდერლანდების სასჯელაღსრულების სისტემას დამნაშავესთან გამკლავების მხოლოდ ორი გზა აქვს: პატიმრობა სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში, ან ალტერნატიული სასჯელი, როგორცაა, მაგალითად, ჯარიმა, მკურნალობა, ინსტიტუციონალიზაცია, პრობაცია, რეაბილიტაცია, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, გარიგება ან განრიდება. შემცირებული სასჯელი წარმოადგენს პატიმრობაზე ნაკლებად სასტიკ, თუმცა პრობაციაზე მკაცრ დასჯის ფორმას (საპატიმრო სასჯელები, n.d.). იგი მოკლევადიანი პატიმრობის ალტერნატივაა, რომელიც ემსახურება რეციდივის შემცირების იდეას (Aarten et al., 2014). 2010 წელს გამოტანილი სასჯელებიდან 56% წარმოადგენდა ნაწილობრივ ან სრულად შემცირებულ სასჯელს (Wartna et al.,



2011). ნიდერლანდების ფინანსური ჯარიმების აქტზე დაყრდნობით, როგორც წესი, მეტად სასურველია, დაწესდეს არა პატიმრობა, არამედ სწორედ ამ სახის სასჯელი. (Subramanian & Shames, 2013). ნაკლებად მძიმე შემთხვევების დროს, შესაძლებელია დამნაშავესთვის მორიგების შეთავაზება, რაც წარმოადგენს „გარიგებას“, რომ დამნაშავე მიიღებს იმ სასჯელს, რომელიც შესაძლოა მის მიმართ დაწესებულიყო საქმის სასამართლოში წასვლის შემთხვევაში“ (იქვე). დამნაშავესთვის სამართლებრივი დევნის, შესაბამისად კი - პატიმრობის, თავიდან აცილების კიდევ ერთი მეთოდია განრიდება. ამ ტიპის სასჯელის დაწესება შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევებში. მაგალითად, როდესაც დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ვადა ექვსი წელია. ნიდერლანდებში სასჯელების უმეტესობა სწორედ ამ ვადას ითვალისწინებს. 2004 წელს, ჩადენილი დანაშაულების 33%-ი მსგავსი გარიგებების საშუალებით მოგვარდა. ზოგიერთი სასჯელი ითვალისწინებს ე.წ. „შვებულებას“, რაც პატიმარს საშუალებას აძლევს მოაგვაროს საქმიანი ურთიერთობები, განაახლოს კონტაქტები და გამოსცადოს ცხოვრება ზედამხედველობის გარეშე (Rook & Verhagen, 1987). ეს მიიჩნევა რეაბილიტაციის იარაღად, ეხმარება რა პატიმარს, მოემზადოს ციხის მიღმა, ზოგჯერ წინააღმდეგობებითა და სირთულეებით აღსავსე ცხოვრებისთვის.

უშიშროებისა და იუსტიციის სამინისტრო პატიმრებს გადასცემს ქცევის სერტიფიკატს, რომელიც წარმოადგენს დასტურს, რომ წინააღმდეგი არ არიან პატიმარმა განაცხადი გააკეთოს ან შეინარჩუნოს გარკვეული სამუშაო. ამ სერტიფიკატების გაცემის მიზანია, უზრუნველყონ დამსაქმებლის მიერ ყოფილი პატიმრების ისეთი საქმიანობისთვის დაქირავების პრევენცია, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საზოგადოების უსაფრთხოებას. ეს სავალდებულოა ისეთ სფეროში, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვზე ზრუნვა და განათლება. პატიმრებისთვის ამ სერტიფიკატის გადაცემა გარკვეულწილად რეაბილიტაციის ფორმას წარმოადგენს, ვინაიდან მისი საშუალებით ხდება პირისთვის მუშაობის უფლების აღდგენა (Boone, 2011).

## პატიმრები და ნივთიერებათა მოხმარება ნიდერლანდების პენიტენციურ სისტემაში

ნიდერლანდების მთავრობა პასუხისმგებელია დამოკიდებულებებზე ზრუნვის პროგრამების შემუშავებაზე, განხორციელებასა და შეფასებაზე. ხოლო ჯანდაცვის, უშიშროებისა და იუსტიციის სამინისტროები, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებები უზრუნველყოფენ მათ დაფინანსებას (Verster & Solberg, 2003). როგორც ზემოთ აღინიშნა, ნიდერლანდები მხარს უჭერს ზიანის შემცირებას და ამ მიდგომას იყენებს ნარკოტიკის მოხმარების რისკის მინიმუმამდე დაყვანისა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ჯანდაცვის, პრევენციისა და მკურნალობის მნიშვნელობაზე ხაზგასმის მიზნით (Subramanian & Shames, 2013). ამ იდეოლოგიას ემხრობა დამოკიდებულებებზე ზრუნვის ინსტიტუციები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ნარკოტიკის პრევენციაზე, მკურნალობაზე, გასვლით სამუშაოზე, შემდგომ მზრუნველობასა და რეინტეგრაციაზე (Verster & Solberg, 2003). გარდა ამისა, მსგავსი მიდგომა ამცირებს ნარკოტიკების

მიზეზით დაპატიმრებულ პირთა რაოდენობას, ვინაიდან პოლიციას ნარკოტიკის შენახვის ტიპის მცირე დანაშაულებებიდან ყურადღება უფრო მნიშვნელოვან დანაშაულებზე გადააქვს, როგორცაა, მაგალითად ნარკო ტრეფიკინგი.

ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების ევროპის მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA) ბოლო ინფორმაციაზე დაყრდნობით (2003-2009), 10-დან 4 პატიმარი ნიდერლანდებში, პენიტენციურ სისტემაში მოხვედრამდე, (პრობლემური) ნივთიერებათა მომხმარებელი იყო (იქვე). უშიშროებისა და იუსტიციის სამინისტრომ, თუმცა საეჭვოა, მაგრამ “ნარკოტიკისგან თავისუფალი” ციხეების ქონის მიზნით, ამ სტატისტიკის საპასუხოდ, ციხეში ნარკოტიკის ხელმისაწვდომობა შეზღუდა. მიუხედავად ამისა, ზოგ შემთხვევაში, სამინისტრო აფინანსებს წამალდამოკიდებულების სამკურნალო პროგრამებს, ვინაიდან უწყვეტი მზრუნველობა და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა ყველა პატიმრის საბაზისო უფლებაა. უნდა აღინიშნოს, რომ რეალობა ყოველთვის ასეთი არ არის (UNDOC, 2013).

2004 წლიდან, წამალდამოკიდებული კანონდამრღვევები, რომლებმაც განმეორებითი დანაშაული ჩაიდინეს, ექცევიან ერთი კონკრეტული კანონის ქვეშ და „თავსდებიან პროლიფიურ დამნაშავეთათვის განკუთვნილ დაწესებულებაში“. მიუხედავად იმისა, რომ იგი არ საუბრობს ნივთიერებათა მომხმარებლებზე, კანონი აერთიანებს პატიმრობას, ქცევით ინტერვენციასა და ციხის გარეთ განხორციელებულ მკურნალობას. პოლიციას, პროკურატურასა თუ მოსამართლეებს შესაძლებლობა აქვთ, პატიმარი გადაამისამართონ დამოკიდებულებების სამკურნალო ცენტრებში. (Verster & Solberg, 2003).

2015 წელს, ციხეებში ნარკოტიკის მომხმარებელთა მკურნალობა გაუმჯობესდა, პროცესში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ქცევითი ინტერვენციისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ჩართვის საშუალებით. მაგალითად, გამა ჰიდროქსიბუტირატზე (GHB) ანბენზოდიამიზეპინზე (მაგ., ქსანაქსი) დამოკიდებულ პირებს დაენიშნათ სპეციალური მკურნალობა ციხეში; დაპატიმრებამდე მეტადონის პროგრამაში ჩართულ პირებს საშუალება მიეცათ გაეგრძელებინათ მკურნალობა. შემთხვევიდან გამომდინარე, ნივთიერებათა მოხმარების პრობლემების მქონე პატიმრებს უფლება ეძლევათ, საპატიმრო სასჯელი ჩაანაცვლონ ციხის გარეთ წამალდამოკიდებულების მკურნალობით.

## რეინტეგრაციის პროექტების მაგალითები ნიდერლანდებში

### *Prison Gate Office*

1995 წელს, ნიდერლანდებში, გათავისუფლების შემდგომი მზრუნველობის ბევრი პროგრამა შეწყდა და პატიმართა მხარდაჭერისა და რეინტეგრაციის საკითხები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს გადაეცათ. პრობლემაში მსგავსი ტიპის შეკვეცამ ციხეები პატიმრების ციხის შემდგომი ცხოვრებისთვის მოსამზადებელი ყველანაირი საშუალების გარეშე დატოვა. ამგვარად, თუ ციხე პატიმარზე პასუხისმგებელი იყო პირის მის იურისდიქციაში ყოფნის პერიოდში, გათავისუფლების შემდეგ პატიმრის კეთილდღეობასა და რეინტეგრაციაზე პასუხისმგებლობა იმ



მუნიციპალიტეტს ეკისრებოდა, საიდანაც წარმოშობით იყო. გაიაზრა რა ყოფილ პატიმრებზე გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის არსის მნიშვნელობა რეციდივის მაჩვენებლის შემცირებისთვის, „ხსნის არმიამ“ შეიმუშავა პროექტი Prison Gate Office გათავისუფლების შემდგომი ეტაპისთვის (Van Vliet & Zwemmer, 2008). ციხეებისა და საზოგადოების მიერ ერთობლივად უზრუნველყოფილი სერვისის მიზანია, დაეხმაროს მუდმივი საცხოვრებლის მიებაში მყოფ პატიმარს, რათა თავიდან ავიცილოთ მათი უსახლკაროდ დარჩენა. პროგრამაში მონაწილეობის შეწყვეტის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, რაც არც თუ გასაკვირია, რადგან სხვა ბევრი პროგრამაც იბრძვის ისეთი რთული პრობლემების მქონე პირთა მოზიდვისთვის, როგორიცაა ნივთიერებებზე დამოკიდებულება ან ფსიქიკური ჯანმრთელობა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ამ პროგრამამ ბევრად დიდ წარმატებას პატარა ციხეებსა და საზოგადოებებში მიაღწია, სადაც ყოფილი პატიმარი მარტივად არ „იკარგება“ (იქვე).

აღსანიშნავია, რომ ეს პროგრამა მოიცავდა დადებითი ურთიერთობების ხელშეწყობის პრინციპს. „ხსნის არმიის“ ციხისგარე საზოგადოების ჩართულობისა და საზოგადოებასა და სამიზნე პოპულაციას შორის ურთიერთობების გამყარების თვალსაზრისით. ასევე, გამომდინარე ფაქტიდან, რომ მათ სოფლის გარემოში მეტი მონაწილის მოზიდვა შეძლეს, ვიდრე ქალაქებში, „ხსნის არმიამ“ გადაწყვიტა, ემუშავა ქალაქგარე ციხეებში, შესაბამისად კი, გამოიყენა „რა მუშაობს“ პრინციპი.

### ***Werk Na Detentie***

ნიდერლანდების უშიშროებისა და იუსტიციის სამინისტროსა და სხვა საჯარო თუ კერძო ბიზნესებთან ერთად, პროექტი Werk Na Detentie („მუშაობა პატიმრობის შემდეგ“) პატიმრებს სამსახურის მოძიებაში ეხმარება. პროგრამა ხორციელდება გათავისუფლების შემდგომ ეტაპზე. ყოფილ პატიმართა წარმატებული დასაქმების და რეციდივის მაჩვენებლის შემცირების მიზნით, 36 თვის მანძილზე, ჯამში 1.2 მილიონის ევროს ინვესტიცია ჩაიდო. საჯარო და კერძო სტრუქტურების საზიარო ფინანსირებისა და ინვესტიციის მსგავსი მოდელი ცნობილია, როგორც „კავშირი სოციალური გავლენისთვის“ (SIB). ეს კონკრეტული კავშირი აერთიანებს შედეგის დამფინანსებელს (ხელისუფლება), ინვესტორებს (ფონდები), მომსახურების მიმწოდებელს (ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაცია) და ბენეფიციარ პოპულაციას (ყოფილი პატიმრები და მათი გარემო/მუნიციპალიტეტი). კერძო ინვესტორი უზრუნველყოფს კაპიტალურ ავანსს მსგავსი ტიპის სარეაბილიტაციო მომსახურებისთვის, წარმატების შემთხვევაში კი (მაგ.: ყოფილი პატიმრის წარმატებული დასაქმება) სახელმწიფო მათ ამ ინვესტიციას უბრუნებს. ამჟამად, კავშირს ჰყავს ათი პარტნიორი, რომელიც ერთობლივი მუშაობით 150 ყოფილ პატიმარს უწევს დახმარებას. კავშირის წარმატების საწინდარი კერძო ფონდების ისეთი სოციალური პრობლემების გადაჭრისკენ მიმართვაა, როგორიც რეციდივია. საბოლოო ჯამში, კავშირი წრმოადგენს სოციალური პროექტების ბიზნეს სტიმულს, რომელიც ინვესტორებს საშუალებას აძლევს, მხარი დაუჭირონ სოციალურ პროექტებს და ამავედროულად, მიიღონ სარგებელი (Ramakers et al., 2014).

ეს პროგრამა გარე დაინტერესებული პირების ჩართულობის მეშვეობითა და პატიმრის რეაბილიტაციის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით, მოიაზრებს დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბების პრინციპს. გარდა ამისა, გამომდინარე კავშირების დიდი

მასშტაბებიდან, ასევე იქიდან, რომ ნიდერლანდებში მხოლოდ ეს კავშირი მეხუთეა მსგავს გაერთიანებებს შორის, პროგრამა ასევე ეხმიანება შედეგების შეფასების პრინციპს. მან წარსულში უკვე დაამტკიცა, რომ მიაღწია საერთო მიზანს, ერთდროულად იყოს ფინანსურად მომგებიანი და სოციალურად ეფექტური.

### *Halt*

პროგრამის Halt სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 12-დან 18 წლამდე პირი, რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული და მიზნად ისახავს მათთვის პატიმრობის არიდებას, პროგრამის ფარგლებში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შეთავაზებით. აქტიურად მუშაობს რა ახალგაზრდების მართლმსაჯულების სისტემიდან გარიდებაზე, პროგრამის განხორციელება ხდება წინასწარი დაკავების ეტაპზე. Halt მუშაობს ახალგაზრდების ქცევით და განვითარებით პრობლემებზე, მათი ქცევებისა და მიდგომების შეცვლის მიზნით. ეს პროგრამა ნიდერლანდების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ნაწილია და პრევენციის სახით მუშაობს სკოლებთან, უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფისა და მოსწავლეებში საგანმანათლებლო წარმატების მნიშვნელობის დანერგვის მიზნით (Rud et al., 2014). მთავარ იდეას წარმოადგენს მოზარდების „შეცდომების გამოსწორება“ სავალდებულო ბოდიშის მოხდისა და სრულწლოვანი პირის ახლო ზედამხედველობის საფუძველზე, რაც მართლმსაჯულების სისტემაში შესვლის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. პროგრამა Halt-ს აქვს წარმატების 90%-იანი მაჩვენებელი, რაც თავის მხრივ, ნიშნავს რომ არასრულწლოვანის მიერ პროგრამის დამთავრების შემდეგ მას ოფიციალურად ეხსნება ყველა ბრალდება, არ ხდება მათი სისხლისსამართლებრივი დასჯა და შესაბამისად, არ აქვთ ნასამართლეობის ისტორია (Euwema & Miedema, n.d).

არასრულწლოვან დამნაშავეთა მშობლებისა და მეურვეების ჩართულობის გზით, პროგრამა ფარავს დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბების პრინციპს დ წარმოადგენს დამატებითი, სტაბილური მხარდაჭერის წყაროს. გარდა ამისა, Halt-ი სამიზნე ჯგუფს სხვადასხვა მეთოდებით უდგება, რისი საშუალებითაც უახლოვდება სწავლების სხვადასხვა პრინციპს. არასრულწლოვანთა შორის ღრმად გათავისებულ ქცევებზე ყურადღების გამახვილების საშუალებით, იგი ასევე იცავს სოციალური და კულტურული შესაბამისობის პრინციპს.

## განმეორებითი დანაშაულის პრევენციის პროგრამა

განმეორებითი დანაშაულის პრევენციის პროგრამა (2002-2014) წარმოადგენდა სარეაბილიტაციო პროგრამას, რომელიც ხორციელდებოდა ციხეში და მიზნად ისახავდა ოთხ თვეზე მეტი ხანგრძლივობის სასჯელის მქონე პატიმრებს შორის განმეორებითი დანაშაულის შემცირებას (ნიდერლანდების პენიტენციური სამსახური და ნიდერლანდების პრობაციის სამსახურები 2007). პროგრამის განხორციელება 2002 წელს დაიწყო, რომელსაც მთავრობა მართავდა და აფინანსებდა. 2007 წელს სრული ქვეყნის მასშტაბით ხორციელდებოდა, ხოლო 2014 წელს შეწყდა. პროგრამის შემუშავება მოხდა დანაშაულის პრევენციისა და გამასწორებელი რეაბილიტაციის „რისკი,

საჭიროება, პასუხისმგებლობის“ (RNR) მოდელის საფუძველზე (Andrews et al, 1999). მოდელს სამი კომპონენტი აქვს: რისკი (ვისი მკურნალობა), საჭიროება (რისი მკურნალობა) და პასუხისმგებლობა (რა სახით მკურნალობა). განმეორებითი დანაშაულის პრევენციის პროგრამა მუშაობს რეციდივის მაჩვენებლის შემცირებაზე მოხალისე მონაწილეებისთვის, მათ მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის შეფასებისა და კონკრეტული რისკებისკენ მიმართული სპეციფიკური მკურნალობის საშუალებით. ვინაიდან პროგრამის სამიზნეს წარმოადგენენ პატიმრები გათავისუფლებამდე, პროგრამა ხორციელდება პატიმრობის ეტაპზე. პროგრამის შედეგად, ნიდერლანდებში 10%-ით შემცირდა განმეორებითი დანაშაული (Bosma et al, 2016).

პირველ რიგში, აუცილებელი იყო, მონაწილეს ჰქონოდა პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაცია. კვალიფიკაციის განსაზღვრა ხდებოდა მსჯავრდების დღიდან და ფიქსირდებოდა WODC სისტემაში, რომელიც გამოიყენებოდა ყველა ციხეში, ქვეყნის მასშტაბით. მეორე რიგში, კანდიდატებს, რომლებიც იღებდნენ შეთავაზებას, მაგალითად, დარჩენილი სასჯელის ნახევრად ღია დაწესებულებაში მოხდის თაობაზე, სურვილისამებრ უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება პროგრამაში ჩართვის შესახებ. პატიმრის მიერ პროგრამაში ჩართვაზე უარის გაცხადების შემთხვევაში, მათი ქცევა მიიჩნეოდა თანამშრომლობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად და ხდებოდა მათი გადაყვანა მაღალი უსაფრთხოების დაწესებულებაში (Boone, 2011). პატიმრებზე მკურნალობის სპეციფიკური რეინტეგრაციის მოდულების მორგება ხდებოდა მათ მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის შეფასების საფუძველზე. შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა გარკვეულ კრიმინოგენულ ფაქტორებს, როგორიცაა ნივთიერებათა მოხმარებისა და ტრავმის ისტორია, განათლების დონე და სოციალური ქცევა.

მონაწილეზე მორგებული მოდულები მუშავდებოდა პრობაციის ოფიცრისა და პროგრამის მრჩეველის მიერ და მის სამიზნეს წარმოადგენდა გათავისუფლების შემდგომ დამდგარი ძირითადი პრობლემები, როგორიცაა საცხოვრებელი, შემოსავალი, ჯანდაცვა და დოკუმენტები. გარდა ამისა, რისკების შეფასებით დგინდებოდა, რა ტიპის მოდული იყო შესაფერისი პატიმრისთვის. მაგალითად, შემეცნებითი უნარ-ჩვევების ან ცხოვრების სტილის შესახებ ტრენინგზე მუდმივი დასწრება დამოკიდებულების პრობლემის მქონე პატიმრებისთვის. პროექტისთვის ეს წარუმატებელი ნაბიჯი აღმოჩნდა, რადგან, პატიმრის რეაბილიტაცია მაშინ მუშაობს, როდესაც გრძელდება გათავისუფლების შემდგომ ეტაპზეც. (Bosma et al, 2016).

კვალიფიციურ პატიმართა ნახევარი პროგრამაში არ იღებდა მონაწილეობას (იქვე). ჩართულობის პრობლემა, რასაც ციხეებში ყველგან ვაწყდებით, აუცილებლად გადასაჭრელია, ვინაიდან, არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად კარგად აგებული და ეფექტურია პროგრამა, იგი განწირულია წარუმატებლობისთვის, თუ არ ჰყავს მონაწილეები.

უშიშროებისა და იუსტიციის სამინისტროს მხრიდან დაფინანსების შემცირების გამო, პროგრამა გაუქმდა 2014 წელს. ამჟამად, ყველა პატიმარი საერთო რეჟიმის ქვეშაა; ისინი, ვინც მინიმუმ 6 თვის მანძილზე კარგი სოციალური ქცევით გამოირჩევიან, იღებენ განსაკუთრებულ პრივილეგიებს. მაგალითად, დამატებითი საათები საკნის გარეთ. განმეორებითი დანაშაულის პრევენციის პროგრამისგან განსხვავებით, რომელიც ყველა პატიმარს აძლევდა შანსს, შეემცირებინათ განმეორებითი დანაშაულის რისკი, ამჟამინდელი მოწყობა მხოლოდ იმ პატიმრებს უტოვებს სარეაბილიტაციო მხარდაჭერის შანსს, ვისაც შეუძლია აჩვენოს კარგი ქცევა და მოტივაცია. პროგრამას ჰქონდა ორი ასპექტი, რომელიც ხელს უწყობდა რეციდივის მაჩვენებლის

შემცირებას: პირველი - პატიმრის რეციდივის რისკის შეფასება იყო, ხოლო მეორე - ქცევითი ინტერვენციების განხორციელება, რომლებიც ამ რისკს შეამცირებდა.

პროგრამა მიჩნეულ იქნა ამბიციურად და არასრულყოფილად. ერთის მხრივ, მონაწილეობის მაჩვენებელი დაბალი იყო შერჩევის კონკრეტული კრიტერიუმების გამო. ხშირი იყო პროგრამის მიტოვების ან დაუსრულებლობის შემთხვევები. მათ, ვინც კვალიფიცირდებოდნენ, ხშირად არ ეძლეოდათ (სათანადო) ინტერვენციული მოდელები, რომელიც მორგებული იქნებოდა მათ ქცევით პრობლემებზე, რაც თავის მხრივ, დაკავშირებული იყო განმეორებით სისხლისსამართლებრივ ქცევასთან. მეორეს მხრივ, პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იყო ცნობილი პრაქტიკები და მოდელები (როგორცაა RNR მოდელი და რისკების შეფასებების გამოცდილი მეთოდები), რაც ეხმიანება წამყვანი თეორიული ნაწილის პრინციპს. იგი ასევე ფარავს სხვა „რა მუშაობს“ პრინციპებსაც. უფრო კონკრეტულად კი, იყო ყოვლისმომცველი, ჰქონდა სწავლების სხვადასხვა მეთოდები და ხდებოდა სხვადასხვა ეტაპზე სწორი დოზების მიწოდება.

## ანგარიშვალდებულებისა და მხარდაჭერის წრეები

მიუხედავად იმისა, რომ სამივე ქვეყანას გააჩნია სპეციალური სარეაბილიტაციო პროგრამები, რომლებიც სექსუალური სახის დანაშაულისთვის მსჯავრდებული პატიმრებისთვისაა განკუთვნილი, ნიდერლანდების მიერ განხორციელებული პროგრამა „ანგარიშვალდებულებისა და მხარდაჭერის წრეები“ (CoSA) ყველაზე დახვეწილი პროგრამაა, რომლისგანაც შეიძლება მაგალითის აღება (Holling et al., 2015). პროგრამას მართავს უშიშროებისა და იუსტიციის სამინისტრო და ძირითადად ემყარება კარგად მომზადებული მოხალისეების მცდელობებს, მოახდინონ დამნაშავეების რეინტეგრაცია და საზოგადოებაში უსაფრთხო დაბრუნება. CoSA პირთან მუშაობს ციხეშიც და გათავისუფლების შემდეგაც. შესაბამისად მოიცავს როგორც საპატიმრო, ასევე გათავისუფლების შემდგომ ეტაპებს. თავდაპირველად, კანადაში შემუშავებული პროგრამის განხორციელება ნიდერლანდებში 2009 წელს დაიწყო და ერთ-ერთ ქალაქში სექსუალური დანაშაულისთვის მსჯავრდებულ ორ პირთან მუშაობდა. 2014 წლისთვის, ქვეყნის მასშტაბით უკვე 60 ასეთი „წრე“ იყო (იქვე). ძირითადი წევრს, სექსუალური დანაშაულისთვის მსჯავრდებულს, ხშირად სტუმრობენ მისი შიდა წრის წევრები - მოხალისეები ადგილობრივი საზოგადოებიდან. მათ გავლილი აქვთ ტრენინგი, როგორ დაეხმარონ დამნაშავეს ცხოვრების ხელახლა დაწყებაში, და როგორ ამოიცნონ ქცევა, რომელიც შესაძლებელია მიანიშნებდეს განმეორებითი დანაშაულის რისკზე. ასეთ შემთხვევაში, პრობლემის გადასაჭრელად ერთვებიან გარე წრის წარმომადგენლები - პროფესიონალები, პრობაციის ოფიცრები და თერაპევტები. პროგრამის ფარგლებში აღმოჩნდა, რომ წრეებს შორის ღია კომუნიკაცია წარმოადგენს რეაბილიტაციის წარმატებულ იარაღს, ვინაიდან მისი სამიზნე ორი ყველაზე დიდი პრობლემაა: სოციალური იზოლაცია და ემოციური მარტოობა (იქვე). ამ პროგრამის კიდევ ერთი განმასხვავებელი თვისებაა ის, რომ არის საზოგადოებაში განხორციელებული პროექტი, რომელიც დიდწილად ეფუძნება სხვადასხვა დაინტერესებული პირის ჩართულობას და არ ხდება მისი უბრალოდ სხვა ქვეყნის კონტექსტზე მორგება. მიუხედავად იმისა, რომ რეციდივის მაჩვენებელი სექსუალური დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა შორის არც ისე მაღალია, როგორც



დამნაშავეთა სხვა ჯგუფებში - 6 წლის მანძილზე 15%-ზე ნაკლები (იქვე) - CoSA-ს სამიზნეს წარმოადგენს საზოგადოებაში შექმნილი წარმოდგენის გაქარწყლება, რომ სექსუალური ტიპის დანაშაულისთვის ბრალდებული არის საზოგადოებისთვის საშიში პირი.

პროგრამა დადებითად შეფასდა. შესაბამისად, დადებითად შეფასდა მისი ქვეყნის მასშტაბით ზრდაც. კვლევითმა ჯგუფმა ჩაატარა კვლევა CoSA-ს პრაქტიკების გავლენის შესახებ (იქვე). ნიდერლანდების მასშტაბით, 17 წრის შესწავლის შედეგად შეფასდა მოდელის მთლიანობა (შიდა წრეების ხარისხი და ფუნქცია) და პროგრამის ლოიალურობა (განხორციელების ხარისხი). ორი ძირითადი მიგნება, რაც კვლევისას გამოიკვეთა იყო ის, რომ შესწავლილი წრეების მეოთხედი ვერ აკმაყოფილებდა პროგრამის ლოიალურობის კრიტერიუმს; ასევე შიდა წრეების ხარისხი, რაც წარმოადგენდა მოხალისის/დამნაშავის დინამიკას და პირდაპირ კავშირში იყო პროგრამის ლოიალურობის დონესთან (იქვე). ასევე გამოიკვეთა, რომ მოხალისეთა გამოყენება პროგრამის საბაზისო შემადგენელ ნაწილად სასარგებლო აღმოჩნდა, ვინაიდან ეხმიანება მოდელირების ეფექტს. (van Den Boss, 2006).

ამ პროგრამის ფუნდამენტალურ ნაწილს წარმოადგენდა ყოვლისმომცველობის პრინციპი, რადგან, დამნაშავის მიმართ აქტიურად გამოიყენებოდა სოციალური ურთიერთობები, ანუ წრეები, რაც თავის მხრივ ასრულებდა გაძლიერებული უსაფრთხოების ქსელის ფუნქციას. შედეგად, ყალიბდებოდა მყარი ურთიერთობები მოხალისეებსა და პატიმრებს შორის, რომელსაც დადებითი ურთიერთობების პრინციპთან მივყავართ.

### *Exodus*

Exodus წარმოადგენს გათავისუფლების შემდგომი რეაბილიტაციის უდიდეს ორგანიზაციას ნიდერლანდებში, რომელიც უზრუნველყოფს კონსულტაციებს ყოფილი პატიმრებისა და მათი ოჯახებისთვის. მონაწილეები, რომლებსაც გააჩნიათ მოტივაცია, გაზარდონ გათავისუფლების შემდგომი რეაბილიტაციის წარმატების შანსები, იღებენ პროფესიონალის მხარდაჭერას ან მოხალისე პარტნიორს. გათავისუფლების შემდგომი რეაბილიტაციის ეს პროგრამა განსხვავდება ყველა სხვა სარეაბილიტაციო პროგრამისგან, ვინაიდან ინტეგრალური და სტრუქტურული მიდგომების საშუალებით მოიცავს მონაწილეთა საჭიროებების ყველა ასპექტს: საცხოვრებელი, ფინანსები, დასაქმება და ურთიერთობები (Exodus, n.d). ეს თვალსაჩინოა მათი მეთოდოლოგიიდანაც, მოახდინონ მონაწილეთა პროგრამაში ჩართვის მოტივაცია, რაც მოიცავს მონაწილეებთან მათი გამოსწორებისა და რეინტეგრაციის შესახებ იდეების განხილვასაც (იქვე). ამ სახლებში მცხოვრები ყოფილი პატიმრები ასევე იღებდნენ ურთიერთობების აღდგენისთვის საჭირო სოციალურ მხარდაჭერას (Hoetjes & Plaisier, 2013). მიუხედავად ამისა, იმავე პირებისთვის დახმარება მუდმივი საცხოვრებლის ძიებაში არაეფექტური აღმოჩნდა (იქვე). 2001-დან 2005 წლამდე, ქალაქ უტრეხტის ექსოდუსის პრობაციის სახლის 212 ბინადრიდან 54-მა დაასრულა პროგრამა (Exodus, n.d).

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ხორციელდება მთელ ქვეყანაში, იგი საკმაოდ მცირე მასშტაბებით ფუნქციონირებს, ინარჩუნებს რა საბინაო პერსონალსა და მონაწილეებს შორის ურთიერთობას (იქვე). მონაწილის ოჯახის ჩართულობა საოჯახო აქტივობებში ხაზს უსვამს

პროექტის სიძლიერეს დამხმარე ურთიერთობების თვალსაზრისით, რაც თავისთავად ეხმარება დადებითი ურთიერთობების „რა მუშაობს“ პრინციპს.

## გერმანია

### გერმანიის პენიტენციური სისტემის მიმოხილვა და კონტექსტი

გერმანიაში 16 ფედერალური შტატია (მიწა) და ყოველი მათგანი აკონტროლებს მის საზღვრებში მდებარე ციხეებს. მსოფლიო ციხეების მოკლე მიმოხილვის მიხედვით, გერმანიის 183 ციხეში 64.000-ზე მეტი პატიმარი (მათ შორის წინასწარი დაკავების ცენტრებში) იმყოფება (მსოფლიო ციხეების მოკლე მიმოხილვა, 2017b). ნიდერლანდების მსგავსად, გერმანიის პენიტენციური სისტემა ყურადღებას ამახვილებს რეაბილიტაციაზე, რაც გაწერილიც არის ციხის აქტის კანონში. ხსენებული აქტის მიხედვით, “პატიმრობის ერთადერთი მიზანია, შესაძლებლობა მისცეს პატიმრებს, გათავისუფლების შემდეგ იცხოვრონ სოციალური პასუხისმგებლობით სავსე და დანაშაულებრივი ქმედებისგან თავისუფალი ცხოვრებით, რაც თავის მხრივ, მოითხოვს, ციხის ცხოვრება მაქსიმალურად იქნას მიმსგავსებული საზოგადოებრივ ცხოვრებას და უზრუნველყოს საზოგადოებაში რეინტეგრაცია.” (Subramanian & Shames, 2013).

ერთიანობაში, გერმანიის ციხის მანდატს წარმოადგენს რეაბილიტაციისა და ანგარიშვალდებულებისთვის პრიორიტეტის მინიჭება, პატიმრების სოციალური პასუხისმგებლობის მქონე და დანაშაულისგან თავისუფალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით (Chammah, 2015). დამერი(1996) აღნიშნავს, რომ გერმანიის ციხეებში, რეაბილიტაციის ხელშეწყობის სამი პრინციპი არსებობს: უნიკალური გარემო პირობები (მაგ.: ფიზიკური ადგილმდებარეობა და სტრუქტურული დიზაინი), დიდძალი სამუშაო და ტრენინგ პროგრამები და საზოგადოებრივი რეინტეგრაციის ეტაპობრივი პროგრამების ხშირი გამოყენება (საოჯახო პაემნებიდან ნაწილობრივ გათავისუფლებამდე). გერმანიაში ციხის თანამშრომლები მომზადდებიან გადიან პატიმართან ურთიერთობის საკითხებში, რადგანაც ეს ეხმარებათ, ჩაწვდნენ დანაშაულებრივი ქმედების საფუძველს და პატიმრების ქცევები განიხილონ არა როგორც უპატივცემულო დამოკიდებულების, არამედ როგორც მათი გარემოს ამსახველი სიმპტომები.

### სასჯელის დანიშვნა გერმანიის ციხეებში

როგორც წესი, გერმანიის სასამართლოები ერთ წლამდე პატიმრობის გამოყენების ნაცვლად, დამნაშავისთვის მკაცრი ტიპის პრობაციის დაწესებას ითხოვენ. 2006 წელს, პატიმართა 75%-ს სწორედ ასეთი განაჩენი გამოუტანეს. (Subramanian & Shames, 2013). კიდევ ერთი საშუალება, რითიც



გერმანია პატიმრობის მაჩვენებელს ამცირებს, დღიური ჯარიმებია, როდესაც ჯარიმის ერთეულს დღეების რაოდენობა წარმოადგენს (ერთი ჯარიმის ერთეული=პატიმრობის ერთი დღე) და დამოკიდებულია პატიმრის შემოსავალზე, მისი სხვადასხვა ეკონომიკური გარემოებებიდან გამომდინარე. 2010 წელს, ჯარიმა მთლიანი სასჯელების 79%-ს შეადგენდა(იქვე).

2013 წელს, გერმანიამ გამოსცა საკამათო პატიმრობის კანონი, რომელიც ეხებოდა დაახლოებით 500-მდე პატიმარს, რომლებიც მიუხედავად სასჯელის მოხდისა, კვლავ საზოგადოებისთვის საშიშად მიიჩნევიან და იმყოფებიან “პრევენციულ პატიმრობაში” (Resnek, 2016). მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი პატიმრობის პირობები ჩვეულებრივი ციხის პირობებზე ნაკლებად მკაცრია, აქ პატიმრების მოთავსება განუსაზღვრელი ვადით ხდება. ათ წლიანი უმაღლესი ვადა გაუქმდა 1998 წელს (იქვე). მსგავსი პატიმრობის მიზანია, საზოგადოების პოტენციურად საშიში პირისგან დაცვა, თუმცა ამავედროულად, ახდენს ამ პირისთვის თავისუფლების აღკვეთას. ასეთი ტიპის პატიმრობაში მყოფთა უმრავლესობას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებს. შედეგად, გერმანიაში პრევენციულ პატიმრობაში მყოფი ყველა პატიმრისთვის, რეაბილიტაციის ძალისხმევის სახით, სავალდებულოა ინდივიდუალურად შედგენილ თერაპიულ პროგრამაში მონაწილეობა. ყოველწლიურად, ფსიქოლოგები და დაწესებულების ხელმძღვანელი პირები წყვეტენ, შესაძლებელია თუ არა პატიმრის პრევენციული პატიმრობიდან უსაფრთხოდ, ნაწილობრივი ან სრულად გათავისუფლება. თუმცადა, ციხეების უმეტესობა უკვე თავად სთავაზობს პატიმრებს ფსიქიატრიულ მკურნალობას, ხოლო ეს - გახანგრძლივებული პატიმრობის პრაქტიკა მკაცრი კრიტიკის ქვეშ მოექცა (იქვე).

## პატიმრები და ნივთიერებათა მოხმარება გერმანიის პენიტენციურ სისტემაში

2006 წლიდან, გერმანიის ყველა შტატი საკუთარ პენიტენციურ სისტემაზე პასუხისმგებელი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ციხეში ნარკოტიკის მოხმარებ(ლ)ის ყველა შემთხვევაზე ერთნაირი რეაგირება არ არსებობს. მიუხედავად ამისა, გერმანიის ციხეებში ვხვდებით შემდეგი ტიპის ნარკო-მკურნალობას: მოკლევადიანი დეტოქსიკაცია, აბსტინენტური მკურნალობა კონსულტაციების თანხლებით და ოპოიდური ჩანაცვლების თერაპია (Stoever, 2002). როგორც წესი, ეს ინტერვენციები დაფინანსებულია ჯანდაცვის, სოციალური კეთილდღეობისა და იუსტიციის სამინისტროების მიერ. (Verster & Solberg, 2003). გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის დაწესებულებები ფინანსდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაზღვევების ერთობლიობით, თუმცა მხოლოდ მცირე რაოდენობით. სწორედ ამ მიზეზით, ქვეყანაში მოქმედებს დაახლოებით 150, ძირითადად არამომგებიანი ორგანიზაცია გათავისუფლების შემდგომი ზრუნვისა და რეინტეგრაციის სხვადასხვა სერვისებით, რეგიონული მოთხოვნილებებისა და გარემოებებიდან გამომდინარე (იქვე). ნარკოტიკებისა და დამოკიდებულების პროფესიონალურმა ასოციაციამ გამოსცა რეკომენდაცია პატიმრის გარდამავალი მართვის შესახებ ნივთიერებათა მომხმარებლებისთვის, რომელიც ასევე მოიცავდა შეთავაზებას სასჯელის მოხდის პერიოდში სარეაბილიტაციო მკურნალობის შესახებ, რომელიც ხორციელდებოდა გარედან, გათავისუფლების შემდგომი მკურნალობის მხარდაჭერის მიზნით (იქვე).

## რეინტეგრაციის პროექტები გერმანიაში

### *მედიაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების პროექტი ციხეში*

ციხეში მედიაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების პროექტი (MEREPS) ინტერდისციპლინარული და საერთაშორისო პროექტია, რომელიც გერმანიის, უნგრეთისა და გაერთიანებული სამეფოს ერთობლივი ძალისხმევით ახდენს აღდგენითი მართლმსაჯულების საუკეთესო პრაქტიკების გამოვლენას, მათ გაზიარებასა და განვითარებას პატიმრების წარმატებული რეინტეგრაციის მიზნით. აღდგენითი მართლმსაჯულება, როგორც რეაბილიტაციის ფორმა, წარმოადგენს მედიაციის პრაქტიკას, რომელიც ძირითად აქცენტს აკეთებს მსხვერპლ(ებ)ის პატიმართან დაკავშირებაზე ჯერ კიდევ სასჯელის მოხდის პერიოდში, მათ შორის არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით. ამ პროექტში, რომელიც ციხეში ხორციელდება, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მაშინ, როდესაც, სხვა საპატიმრო სასჯელების დანიშვნის პირველადი მიზანი პირის მიერ წარსულში ჩადენილი ქმედების გამო დასჯას წარმოადგენს, აღდგენითი მართლმსაჯულება მხოლოდ მსხვერპლ(ებ)ისა და დამნაშავესთვის უკეთესი მომავლის შექმნას ცდილობს. (Barabas et al., 2012). იდეალურ შემთხვევაში, დანაშაულის მსხვერპლთა მხარდაჭერისა და დამნაშავეს მიერ პასუხისმგებლობის აღების მაჩვენებლის ზრდის, ასევე დამნაშავესთვის მის მიერ ჩადენილი ქმედების რეალური შედეგების დანახვების მეშვეობით, ეს მიდგომა ბევრად უკეთესი შემაკავებელი საშუალებაა, ვიდრე სავარაუდო სამომავლო პატიმრობა. ამგვარად, მას უფრო მშვიდობიანი საზოგადოებისკენ მივყავართ. (Casey & Jarman, 2011). პროგრამაში მონაწილეები სასჯელის მოხდის პერიოდში ერთვებიან, შესაბამისად მისი განხორციელება საპატიმრო ეტაპზე ხდება.

ამ შემთხვევაში, „რა მუშაობს“ პრინციპებიდან ადგილზეა სოციალური და კულტურული შესაბამისობის პრინციპი, ვინაიდან, ციხეებმა შეძლეს იმ პატიმართა მოთხოვნებზე რეაგირება, რომელთაც სურდათ აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციაში ჩართვა. პროექტის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ სერიოზული დამნაშავეები. კვლევის თანახმად (Barabas et al., 2012), აღდგენითი მართლმსაჯულებას საუკეთესო გავლენა და შედეგები სწორედ მძიმე დანაშაულთან შეხებაში მყოფი პირების შემთხვევაში აქვთ, რაც თავის მხრივ, შედეგების შეფასების პრინციპს ეხმიანება.

### **აღდგენითი კომუნები**

აღდგენითი კომუნები შექმნილია დანაშაულებრივი ქცევის შემცირების მიზნით და წარმოადგენს ხასიათზე ორიენტირებულ და რწმენაზე დაფუძნებულ პროგრამას. პროგრამა ხორციელდება ციხეში პროფესიონალი პერსონალისა და მოხალისე პატიმრების საშუალებით და ციხეს აერთიანებს უფრო ფართო კომუნასთან. პროგრამა იწყება პატიმრებისთვის (ხელახალი) სწავლებით, როგორ იცხოვრონ საზოგადოებაში და სრულდება მათ მიერ ციხის დროებით დატოვებითა და კომუნაში მუშაობით. მონაწილეთა დახმარება გათავისუფლების შემდეგაც გრძელდება და ისინი საზოგადოებაში დასაბრუნებლად სრულ გზას გადიან. აქედან გამომდინარე, პროექტი ხორციელდება როგორც, საპატიმრო, ასევე გათავისუფლების შემდგომ ეტაპზეც.

პროგრამაში ჩართულ ციხეებს ყოფილი პატიმრების მიერ ჩადენილი განმეორებითი დანაშაულის ბევრად დაბალი მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე იმ ციხეებს, რომლებიც არ მონაწილეობენ მასში (აღდგენითი კომუნები, 2017).

პროგრამით გათვალისწინებული უწყვეტი მხარდაჭერა ასახავს მოსაზრებას, რომ წარმატებული პრევენციის პროგრამები აუცილებელია იყოს მგრძნობიარე მონაწილეთა საჭიროებების მიმართ, რაც დამახასიათებელია ყოვლისმომცველი „რა მუშაობს“ პრინციპისთვის.

### ***MABiS2/MABiS.Net/ZUBILIS***

იუსტიციის სამინისტროს დახმარებით, გერმანიის ჩრდილო რაინის შტატმა - ვესტფალიამ (NRW) ყოფილი პატიმრებისათვის განათლებისა და გადამზადების შესაძლებლობების გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, შეიმუშავა სამ ეტაპიანი მიდგომა. პირველი იყო MABiS2, რომელიც დაიწყო 1998 წელს და წარმოადგენდა ბაზარზე ორიენტირებულ მოსამზადებელ პროგრამას. მეორე - MABiS.Net, ხორციელდებოდა 2002-2005 წლებში და მის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, შეიქმნა გათავისუფლების შემდგომი სააგენტოები, რომლებიც თანამშრომლობდნენ MABiS2-ის ფარგლებში მოძიებულ აქტორებთან, ყოფილი პატიმრების საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით. პროგრამის მესამე ეტაპი იყო ZUBILIS, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა წინა ორ ეტაპზე დაწყებული კომპონენტების გაგრძელება და განახლება ახალი მიდგომებისა და შრომის ბაზრის ცვალებადი საჭიროებების შესაბამისად. სამივე პროგრამის ეფექტიანობას მოგვიანებით დეტალურად განვიხილავთ.

### ***Marktorientierte Ausbildungs und Beschäftigungsintegration fuer Straftatlassene (MABiS2)***

MABiS2 („ტრენინგებისა და დასაქმების შრომის ბაზარზე ორიენტირებული ინტეგრაცია ყოფილი პატიმრებისთვის“) ორიენტირებული იყო სამუშაოს მაძიებელი ყოფილი პატიმრების გათავისუფლების შემდგომ მხარდაჭერაზე. მათ მიზანს წარმოადგენდა ყოფილ პატიმართათვის განკუთვნილი ტრენინგების უწყვეტობა, როგორც სამუშაო ბაზრის, ასევე NRW-ის დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის შესაბამისად, სხვადასხვა მონაწილეებისა და პრინციპების საშუალებით.

პენიტენციური სისტემისა და შრომის ბაზრის ურთიერთთანამშრომლობით, პროგრამა მიზნად ისახავდა მდგრადი პარტნიორობის განვითარებას ციხის პროფესიული პროგრამებისა და დამსაქმებლებს შორის. ამის მიღწევა შესაძლებელი გახდა სამი სვეტის საშუალებით. პირველ სვეტს წარმოადგენდა გათავისუფლების შემდგომი ქსელები, რომლებიც, კონსულტაციების და ინდივიდუალური დაგეგმვის საშუალებით, უზრუნველყოფდა პატიმრებისათვის პროფესიული პროგრამებისა და დასაქმების უწყვეტობას (ორიენტირით ნარკოტიკის მოხმარებასა და საცხოვრებელზე), პრობლემების დეტალურად დოკუმენტირებასა და სტრატეგიების შემუშავებას, და პროგრამის მონაწილეებისთვის მიზნობრივ სამიზნო სისტემას, რომლის საშუალებითაც ისინი ხელმისაწვდომი იქნებოდნენ პოტენციური დამსაქმებლებისთვის. მეორე სვეტი - მონაწილეთა

მონაცემებით აღჭურვილი კომპიუტერული განთავსების ქსელები, რომლის საშუალებითაც ხდებოდა ორი მხარის ურთიერთკავშირის ეფექტურობის გაზრდა. მესამე სვეტი გერმანიის შტატებს შორის საუკეთესო პრაქტიკების გავრცელება იყო, რომლის მიზანს წარმოადგენდა, ქვეყნის მასშტაბით, მართლმსაჯულებასა და შრომის ბაზარს შორის თანამშრომლობის გამყარება. ყველაფერ ამას ხელს უწყობდა რეგიონული რეინტეგრაციის ფორუმები, რომლების საშუალებითაც ხდებოდა ციხის რეგიონული რეინტეგრაციის ღონისძიებების კოორდინაცია, რეგიონული შრომის ბაზრების სხვადასხვა მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, ყოფილ პატიმართა პროფესიული რეინტეგრაციის მიზნით, ანგარიშები და პუბლიკაციები კვალიფიკაციისა და განთავსება ძალისხმევის შესახებ ვრცელდებოდა გარეთაც, ხოლო შედეგების განსახილველად, იმართებოდა კონფერენციები ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით (Equal ZUBILIS, n.d.).

პროგრამის ფარგლებში, მოხდა პატიმართა საგანმანათლებლო საჭიროებების შესწავლა და მათი ეტაპოვრივი დახმარება დასაქმებასა და სტიგმის შემცირებაში. აქედან გამომდინარე, მონაწილეთა შესახებ გამჭვირვალე ინფორმაციისა და ტრენინგების მიწოდების, ასევე მათი სწორად შერჩეულ დამსაქმებლებთან თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირების საშუალებით, იზრდებოდა მდგრადი დასაქმების შანსებიც. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სხვა პროფესიული პროგრამებიც, ეს კონკრეტული პროგრამა მიმართული იყო ყოფილი პატიმრებისთვის გათავისუფლების შემდგომი ტრენინგის მიწოდებაზე (კონკრეტულად კი, მაღალი რისკის პერიოდში - გათავისუფლებიდან პირველი ექვსი თვის მანძილზე) და სტიგმასთან გამკლავებაზე, რომელსაც ისინი აუცილებლად აწყდებიან სამუშაო ბაზარზე ხელახალი დაფუძნების მცდელობისას. სწორედ ეს ტენდენციაა, რა მიმართულებითაც სხვა პროგრამებს არ უმუშავიათ.

### ***MABiS.Net***

პროექტის ეს ეტაპი ითვალისწინებდა სხვადასხვა ელექტრონული ხელსაწყოთა განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფდა ყოფილი პატიმრების განაწილების პროცესს. შეიქმნა მონაცემთა ბაზა, ციხის შიგნით თუ გარეთ არსებული შესაბამისი სასწავლო შესაძლებლობების შესახებ, ასევე ინსტრუმენტი, რომელიც მოახდენდა ინდივიდუალური პატიმრის მონაცემების მორგებას ხელმისაწვდომ სამუშაო ადგილსა თუ ტრენინგზე (Equal ZUBILIS, n.d.). პატიმრებს ასევე სთავაზობდნენ დახმარებას სხვადასხვა საკითხებზე, როგორიცაა საცხოვრებელი, ფინანსები, დასაქმება და სხვა, ზოგადი საყოფაცხოვრებო საკითხები. პატიმართა მხოლოდ 16%-მა არ დაასრულა მეორე პროგრამა, რაც მისი აუცილებლობისა და ეფექტურობის მაჩვენებელია (იქვე).

### **Zukunft der Bildung im Strafvollzug**

ZUBILIS („პენიტენციურ სისტემაში ტრენინგებისა და განათლების მომავალი“) არის პროექტი, რომელმაც ყოფილ პატიმრებში გაზარდა განათლებისა და სწავლების რელევანტურობა, მათი

დასაქმების შანსის გაზრდის იმედით. პროგრამის საფუძველს სამი სვეტი წარმოადგენდა: ბაზრისთვის მოსამზადებელი ტრენინგი (ამგვარად, პატიმრები შრომის ბაზარზე უფრო ადაპტირებულნი არიან), გათავისუფლების შემდგომი დაწესებულებები, რომლებიც აფასებენ პატიმართა უნარ-ჩვევებს და მათ შესაბამისობას სხვადასხვა სამუშაო ადგილისთვის და სამუშაო ბაზარზე გაჩენილ მუდმივ სიახლეებთან. (იქვე). გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებდა დაინტერესებული პირების ორივე მხარის - სამუშაო ბაზრისა და სისხლის სამართლის სისტემის თანამშრომლობის გაღრმავებას. პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად მოიაზრებოდა დასაქმების სააგენტოებს შორის თანამშრომლობა, რათა ციხეების წახალისების მიზნით, დაენერგათ რეინტეგრაციის ასეთი მიდგომა. ვიცით რა, რომ ეს შედეგი პროგრამის პრიორიტეტს წარმოადგენდა, სახეზე გვაქვს შედეგების შეფასების პრინციპი. ბოლოს კი, პროგრამის დასრულებამდე, შემუშავდა იუსტიციის სამინისტროს დოკუმენტი - “სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის სფეროსა და შრომის ბაზრის აქტორებს შორის ურთიერთობების შესახებ”.(იქვე).

რეციდივის მაჩვენებელი ყოფილ პატიმრებს შორის, რომელთაც პატიმრობის პერიოდში გაიარეს პროფესიული ტრენინგი, თუმცა გათავისუფლების შემდეგ ვერ იშოვეს სამუშაო, დაახლოებით 80%-ია. ამავდროულად, იგივე მაჩვენებელი ყოფილ პატიმრებს შორის, რომელთაც პატიმრობის პერიოდში გაიარეს პროფესიული ტრენინგი, ხოლო გათავისუფლების შემდეგ იშოვეს სამუშაო, მხოლოდ 33%-ია(Mabis.net, 2003). პროფესიულ ტრენინგებს ამ პატიმრებისთვის თავისი სარგებელი ჰქონდა როგორც პატიმრობის პერიოდში, ასევე მის შემდეგ, რაც მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ მათ მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის შემცირების მთავარი იარაღი დასაქმებაა. სახეზე გვაქვს დროში სათანადოდ გაწერის პრინციპი, ვინაიდან ვხედავთ, თუ რა სახით იყო პროგრამაში გათვალისწინებული გათავისუფლებული პატიმრების გრძელვადიანი საჭიროებები - კერძოდ კი - სტაბილური სამსახური.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის მთლიანი პროგრამა დასრულებულია, იგი წარმატებულად შეფასდა - პროგრამის ბოლო ორ წელიწადში მონაწილეთა მიერ პროგრამის ბოლომდე მიყვანის მაჩვენებელი 72% იყო. გარდა ამისა, 4.000 პატიმართა 50% წარმატებით განაწილდა, მათგან 80% - სტაბილური სამუშაო ადგილზე (Equal ZUBILIS, n.d).

ამ სამი პროგრამის წარმატებით განხორციელება, რომელიც ეხმიანება სათანადო დოზირების პრინციპს, წარმოადგენდა პროექტის საერთო წარმატების შემადგენელ ნაწილს, ვინაიდან დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევდა ემუშავათ ერთი და იგივე ტემპით, ხოლო ყოველი ეტაპის ბოლოს, მომდევნო საფეხურზე გადასვლამდე, შეეჯამებინათ მიღებული შედეგები (Equal ZUBILIS, n.d). გარდა ამისა, პროგრამის სამ ქვე-პროექტად დაშლა ეხმიანება სწავლების სხვადასხვა მეთოდებისა და სათანადო დოზირების პრინციპებს.



## ლიტვა

### ლიტვის პენიტენციურ სისტემის მიმოხილვა და კონტექსტი

ციხის კვლევების საერთაშორისო ცენტრზე დაყრდნობით, ამჟამად ლიტვის ციხეებში 7,355 ადამიანზე მეტი იმყოფება. შესაბამისად, პატიმართა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე, ყველაზე მაღალია ევროკავშირის ქვეყნებს შორის (მსოფლიო ციხეების მოკლე მიმოხილვა, 2017). ქვეყანაში 14 პენიტენციური დაწესებულებაა, რომელთაგან სამი განკუთვნილია კონკრეტულად 14-18 წლის არასრულწლოვანთათვის. დაწესებულებებს აკონტროლებს პენიტენციური დეპარტამენტი (Svedas, 2000). ათწლეულების წინ, საბჭოთა კავშირის პერიოდში აშენებულ ციხეთა უმრავლესობა გადატვირთულია. არ გააჩნია სათანადო ჯანდაცვისა და მკურნალობის საშუალებები და არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს (EEA გრანტები, 2014). ამ ფაქტორებს ისიც ამძაფრებს, რომ ლიტვის სისხლის სამართლის სისტემას არ აქვს დამნაშავეთა ეფექტიანი რეაბილიტაციის სათანადო საშუალება, რაც, თავის მხრივ, გამოიხატება რეციდივის მაღალი დონის მაჩვენებლით. (Mesoniene, 2009). კიდევ ერთ გამოწვევას ისიც წარმოადგენს, რომ ლიტვაში ყოფილი პატიმრები ძალიან ძლიერ სტიგმას აწყდებიან. 2015 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ლიტველების 60%-ს არ სურს მათ სამეზობლოში ცხოვრება, 40%-ს კი არ უნდა მათთან მუშაობა (ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ინსტიტუტი, 2017).

### სასჯელი ლიტვის ციხეებში

ლიტვაში სავარაუდო სასჯელები ცნობილია, როგორც თავისუფლების აღკვეთა და იგი შეიძლება მოიცავდეს პატიმრობას, გამასწორებელ სამუშაოს ან ჯარიმას (Svedas, 2000). მაშინ, როდესაც ნიდერლანდები და გერმანია ცდილობენ შეამცირონ საპატიმრო სასჯელთა რაოდენობა, ლიტვაში მსგავსი სასჯელი ხშირად გამოიყენება, რაც პატიმრობის მაღალ მაჩვენებელზეც აისახება. მიუხედავად ამისა, სასამართლოებში არსებობს ტენდენცია, არასაპატიმრო სასჯელების ალტერნატიული ზომების შეთავაზების მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად (Svedas, 2000).

საპატიმრო სასჯელის მქონე პირებისთვის მოქმედებს პროფესიული პროგრამები და პატიმრის სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია არსებული უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებელი, ან ახლის ასათვისებელი პროგრამების ციხის შიგნით ორგანიზება. ლიტვის პენიტენციურ სისტემას არ აქვს პატიმრობის შემდგომ ეტაპზე ზრუნვის ოფიციალური სისტემა. როგორც წესი, ინსტიტუციები, რომლებიც ყოფილ პატიმრებს საცხოვრებლისა თუ სამუშაოს მოძიებაში ეხმარება, ადგილობრივ ხელისუფლებებს ან არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენენ. ლიტვის ზოგ მუნიციპალიტეტს ყოფილი პატიმრებისთვის საკუთარი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება (half way house) აქვს, რომლის გამოყენება, როგორც მოსამზადებელი ნაბიჯი საზოგადოებისკენ, შესაძლებელია გათავისუფლების შემდეგ 6 თვის მანძილზე.



2000 წელს, ლიტვის ციხეებმა აღნიშნეს, რომ მიიღებდნენ ზომებს პატიმრებზე როგორც პატიმრობის, ასევე შემდგომ პერიოდში უკეთ ზრუნვის უზრუნველსაყოფად. ერთ-ერთი ასეთი ზომა საზოგადოების ჩართვა პატიმართა რეაბილიტაციის პროცესში, ამ ორ მხარეს შორის დამაბულობისა და აგრესიის მართვის მეშვეობით. კიდევ ერთ შეთავაზებას წარმოადგენდა მეტი წამახალისებელი და მოტივაციის საშუალებები პატიმრებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, მოკლევადიანი 'შვებულება' და პირობით ვადამდე გათავისუფლება კარგი ქცევის სანაცვლოდ. ამ ყველაფერს საფუძვლად პატიმრებში დამოუკიდებლობის შეგრძნებისა და პასუხისმგებლობის გაღვივება წარმოადგენდა. კოდექსის კიდევ ერთი ზომა ისეთ ტრენინგ პროგრამებზე ყურადღების გამახვილება იყო, რომელიც ბაზარზე მოთხოვნადი უნარების გაუმჯობესებას შეუწყობდა ხელს და პატიმრებს გათავისუფლების შემდგომ დასაქმების შანსს მისცემდა.

## პატიმრები და ნივთიერებათა მოხმარება ლიტვის პენიტენციურ სისტემაში

2012 წლის მონაცემებით, ნარკოტიკების მომხმარებელი პატიმრები ლიტვის ციხეების მთლიანი მოსახლეობის 15%-ს შეადგენდა (Andrulionis et al., 2014). გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის ნარკოტიკების შესახებ 2007 წლის სესიის მიხედვით, ლიტვაში იზრდება ნარკოტიკის მომხმარებელთა დაპატიმრების მაჩვენებელი, თუმცა მათთვის შეზღუდულია ისეთი რესურსები, როგორიცაა შპრიცების გაცვლის ან ჩანაცვლებითი თერაპიის მსგავსი ზიანის შემცირების პროგრამები (Sarang, 2008).

ECMDA-ს ანგარიშზე დაყრდნობით, წამალდამოკიდებულების სამკურნალო პროგრამების არსებობის შემთხვევაში, ისინი მიმართულია დამოკიდებული პატიმრის სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისკენ. ქვეყანაში ოთხ ციხეს აქვს ციხის შიდა სარეაბილიტაციო პროგრამა, ხოლო შვიდს - ალკოჰოლზე დამოკიდებულთა და ნარკომანთა ანონიმური ჯგუფები (იქვე). მიუხედავად ამისა, ოპოიდური ჩანაცვლების თერაპია ლიტვის არც ერთ ციხეში არ არის პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი, განურჩევლად ფაქტისა, იყენებდნენ თუ არა ისინი მსგავსი ტიპის მკურნალობას დაპატიმრებამდე, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება სათანადო ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის იდეას (Andrulionis et al., 2014).

2010 წელს ლიტვის ციხეებში შეიცვალა ნივთიერებათა მოხმარების პრობლემის მქონე პატიმართა მიმართ მიდგომები. ფსიქოლოგებთან ერთად, ყველა ციხეში, ადმინისტრაციებმა შექმნეს სოციალური რეაბილიტაციის ერთეულები, რომლებიც ზედამხედველობას გაუწევდა ნივთიერებათა მომხმარებელი პატიმრების სარეაბილიტაციო პროგრამებს. ისინი ეხმარებოდნენ პატიმრებს შეეკავებინათ თავი, შეემცირებინათ, ან უარი ეთქვათ ნივთიერებათა მოხმარებაზე. გარდა ამისა, ეს ცვლილებები მიზნად ისახავდა პატიმართა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების გაუმჯობესებას, როგორიცაა, მაგალითად, ინტერპერსონალური ურთიერთობები, ან ფიზიკური, ემოციური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა. მიზანი ნაწილობრივ მიღწეულია ისეთი გარე აქტორების ჩართვის მეშვეობით, როგორებიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც

წარმოდგენენ ნივთიერებათა მომხმარებელთა საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის საჭირო დამხმარე საშუალებას.

იმისათვის, რომ მიიღოს სარეაბილიტაციო მომსახურება, პაციმარი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს და ჰქონდეს ციხის ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგებისგან პროფესიონალური შეფასების შედეგად მიღებული დასტური. ამ სარეაბილიტაციო პროგრამის მონაწილეები კვალიფიცირდებიან შემთხვევითი ნარკოლოგიური შემოწმებისთვის; უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, ხდება მონაწილის პროგრამიდან ჩამოშორება და ციხეში დაბრუნება. შესაბამისად, ბევრ პაციმარს არ აქვს პროგრამაში ჩართვის სურვილი.

## ლიტვის სარეაბილიტაციო პროექტების მაგალითები

### *გამოსასწორებელი სერვისები, მათ შორის არასაპატიმრო სასჯელების პროგრამა*

5 წელიწადზე განაწილებული, ნორვეგიის მიერ ჩადებული 7.7 მილიონი ევროს ინვესტიციის მეშვეობით პროექტის “ პენიტენციური სერვისები, მათ შორის არასაპატიმრო სასჯელების პროგრამის” ფარგლებში შეიქმნა ღია ციხეები, რომლებიც ასევე ცნობილია თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების (halfway houses) სახელით და რომლებიც ახლად გათავისუფლებულ პატიმრებს ეხმარება საზოგადოებასთან კავშირის დამყარებაში. (EEA გრანტები, 2014). პროექტი დაფინანსებულია ნორვეგიული სასჯელაღსრულების სამსახურის ნორვეგიის დირექტორატთა პარტნიორობის მიერ, ხოლო მას ზედამხედველობას უწევს იუსტიციის სამინისტრო. პროექტი ხორციელდება გათავისუფლების შემდგომი რეაბილიტაციის ეტაპზე. პროგრამის მიზანია პენიტენციური სისტემის გაუმჯობესება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის გზით. 2009 წელს პროექტის დაწყების შემდეგ, ლიტვის ოთხ ქალაქში გაიხსნა ოთხი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება. ეს ის ადგილებია, სადაც პატიმრებს, ძირითადად კი იმ პირებს, რომლებიც სასჯელს მსუბუქი დანაშაულისთვის იხდიან და პატიმრობისას ახდენენ გამორჩეულად კარგი ქცევის დემონსტრირებას, საშუალება ეძლევათ, სოციალური მუშაკების დახმარებით, განავითარონ საკუთარი სოციალური უნარ-ჩვევები (ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ინსტიტუტი, 2017). უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლებთან ერთად, სოციალური მუშაკები ასევე მუშაობენ პირდაპირ საზოგადოებასთანაც, უხსნიან რა მათ პროგრამის მიზანსა და სარგებელს. ციხის ღია მოდელის მიზანია ამოავსოს პატიმრის გათავისუფლებასა და მის რეინტეგრაციას შორის არსებული უფსკრული და ბევრ ყოფილ პაციმარს აარიდოს განმეორებითი დანაშაულის ჩადენა. მიზანი რეციდივის მინიმუმ 5%-ით შემცირება იყო (იქვე).

ამ შემთხვევაში, წარმოდგენილია როგორც დადებითი ურთიერთობების, ასევე შედეგების შეფასების პრინციპი, რაც გამოიხატება ყოფილი პატიმრების სოციალურ მუშაკებთან და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლებთან კავშირში. ასევე ეხმარება ლიტვის პენიტენციურ სისტემას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან დაახლოებაში.

*გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) მცირე გრანტები: აივ/შიდსის პრევენცია და ზრუნვა ინექციური ნარკოტიკის მომხმარებლებზე ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ციხეებში*

2007 წელს, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურომ (UNODC) უამრავი მცირე გრანტი გასცა ლიტვაში ზიანის შემცირების პროგრამებისთვის, რომლებიც მუშაობდნენ იმ მომსახურებების დანერგვაზე, რომლებიც ეხმარება ნარკოტიკის მომხმარებლების (ძირითადად ინექციური) საჭიროებებს. ამ თანხებმა ხელი შეუწყო ლიტვის სამოქალაქო ორგანიზაციების განვითარებას და გაძლიერებას და აივ ინფექციითა თუ პატიმრობით დაზარალებული საზოგადოების ჩართულობის გაზრდას. თვრამეტიდან ორი პროგრამა მუშაობდა კონკრეტულად ციხის პოპულაციაზე. სწორედ ამ ორ პროგრამას განვიხილავთ უფრო დეტალურად.

### ***KRIS ლიტვის ჩრდილო-დასავლეთში***

KRIS-ის მიზანს წარმოადგენდა აივ ინფექციის პრევენციისა და ზიანის შემცირების სერვისების შესახებ ცნობიერების ამაღლება 14-დან 21 წლამდე, რეგისტრირებულ არასრულწლოვან დამნაშავეთა შორის. ახალგაზრდებს, რომლებიც საჭიროებდნენ სოციალურ ან ნივთიერებათა მოხმარების სარეაბილიტაციო სერვისებს, შესაძლებლობა ჰქონდათ, ინფორმაციისა და თერაპიული კურსების საშუალებით მიეღოთ სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარება. (UNDOC, 2017ა). ეს ქველმოქმედება ხელმისაწვდომი იყო გათავისუფლების შემდგომი რეაბილიტაციის ეტაპზე. იგი იყენებდა სოციალური კონტროლის თეორიას, რომელიც სოციალურ კონტროლს აღიქვამს, როგორც საშუალებას, დამნაშავეს თავიდან აარიდოს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის საფრთხე (იქვე). თეორია დამნაშავეში/სასჯელაღსრულების დინამიკაში საზოგადოების დადებითი ელემენტების შეტანას გულისხმობს და შესაბამისად, ხაზს უსვამს წამყვანი თეორიული ნაწილის პრინციპს.

### ***Pusiaukelis***

Pusiaukelis (Halfway) იყო პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა ინექციური ნარკოტიკის მომხმარებელთა შორის აივ ინფექციის გავრცელების პრევენციას ლიტვის ციხეში სახელად ვილნიუსის გამოსასწორებელი სახლი. პროექტი სამიზნე ჯგუფის საჭიროებებს ეხმარებოდა თვით-დახმარების ჯგუფების შეხვედრების ორგანიზების (რომლებსაც უძღვებოდნენ ინექციური ნარკოტიკის ყოფილი მომხმარებლები), ასევე შპრიცების გაცვლისა და ზიანის შემცირების მიდგომების და რესურსების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საშუალებით (UNDOC, 2017ბ). მიუხედავად იმისა, რომ პროექტი ხორციელდებოდა პატიმრობის ეტაპზე სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალის დახმარებით, იგი ასევე მოიცავდა საზოგადოებრივი ჩართულობის ელემენტებსაც, რადგან გულისხმობს ციხის გარეთ მყოფი პირების (ყოფილი ნარკო-მომხმარებლები) შემოყვანას ნივთიერებათა მოხმარების გამოცდილების გაზიარების მიზნით. პროგრამაში სახეზეა სწავლების სხვადასხვა მეთოდებისა და კარგად მომზადებული პერსონალის პრინციპები.

## დასკვნა

სანამ პატიმართა რეაბილიტაციაზე გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნებოდა, მოდით, გავაანალიზოთ თითოეულ ქვეყანაში არსებული სიტუაცია. პატიმართა რეინტეგრაცია ინტეგრირებულია ნიდერლანდების პოლიტიკაში და ნიდერლანდების პენიტენციურ სისტემაში. ციხეში განხორციელებული პროგრამების გარდა, ასევე კარგად არის წარმოდგენილი საზოგადოებაში განხორციელებული პროექტებიც. ერთის მხრივ, არსებობს ნარკოტიკის მომხმარებელ პატიმართა მხარდაჭერაც, თუმცა, არასაკმარისი. მეორეს მხრივ, ნიდერლანდებში პატიმართა სარეაბილიტაციო მხარდაჭერა ხორციელდება არა მხოლოდ პატიმრობის პერიოდში, არამედ გრძელდება გათავისუფლების შემდეგაც. გერმანია დამნაშავეებს სთავაზობს გათავისუფლების შემდგომ მომსახურებებს, რომელიც გულისხმობს რეაბილიტაციას საცხოვრებლის, პროფესიული ტრენინგების, დასაქმებისა და ფსიქოლოგიური კონსულტაციების საშუალებით. გარდა ამისა, ეს ხდება არა მხოლოდ პირის პატიმრობის პერიოდში, არამედ გრძელდება გათავისუფლების შემდეგაც. სიტუაციის გაუმჯობესება შეინიშნება ლიტვის პენიტენციურ სისტემაში და მათ მიდგომაში რეაბილიტაციის მიმართ. თუმცა, აქ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ევროპულ სტანდარტებთან მისაახლოვებლად. მათი სისტემა სარგებლობს ნორვეგიასთან პარტნიორობითა და მათი საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებით. პატიმრებს ახლა უკვე სთავაზობენ ზიანის შემცირების მომსახურებებს (გარდა ოპოიდური ჩანაცვლების თერაპიისა). თუმცა დანარჩენი ორი ქვეყნის მსგავსად, ეს მომსახურებები არ არის ფართოდ გავრცელებული და მარტივად ხელმისაწვდომი. სამივე ქვეყანაშია წარმოდგენილი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა მიზანს ციხის რეაბილიტაცია წარმოადგენს.

